მედიაციის განვითარების ინსტრუმენტარიუმი

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია **(CEPEJ)**

CEPEJ(2018)7REV

მიღებულია CEPEJ-ის 30-ე პლენარულ სხდომაზე, 2018 წლის 27-29 ივნისს, სტრასბურგში; დასრულდა CEPEJ-ის 31-ე პლენარულ სხდომაზე, 2018 წლის 3-4 დეკემბერს.

Translated within the framework of the Council of Europe Project "Promoting Alternative Dispute Resolution Mechanisms in Georgia"
Council of Europe

cepej
European Commission for the Efficiency of Justice
Commission européenne pour l'efficacité de la justice

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია 3

სასამართლო მედიაციის საპილოტე პროექტის ჩამოყალიბება: მართვის საკონტროლო სია 4

მედიაციის საპილოტე პროექტზე მონიტორინგის საკონტროლო სია 7

გზამკვლევი მოსამართლეთა მიერ საქმის მედიაციისთვის გადაცემის შესახებ 14

მედიატორთა საბაზისო ტრენინგის სასწავლო პროგრამა 19

ქცევის ევროპული კოდექსი მედიაციის პროვაიდერთათვის 24

მედიაციის სტანდარტული ფორმები 28

შესრულების ძირითადი ინდიკატორების საბაზისო ბაზე *(მედიაციის საბაზისო სტატისტიკა)* 40

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სახელმძღვანელო მითითებების შესრულება მედიაციის შესახებ 50

ხშირად დასმული კითხვები მედიაციის შესახებ: *გზამკვლევი მოსამართლეების, სასამართლოთა არამოსამართლე პერსონალის, მედიატორების, მედიაციის სამსახურების, იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლების, მედიაციის მხარეებისა და მისი მომხმარებლებისთვის* 50

მედიაციის გზამკვლევი ადვოკატებისთვის 58

ზოგადი ინფორმაცია

2006 წელს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულმა კომისიამ (CEPEJ) შექმნა მედიაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფი, რათა ხელი შეეწყო და მხარი დაეჭირა მინისტრთა კომიტეტის შემდეგი რეკომენდაციების განხორციელებისათვის:

- რეკომენდაცია (98) 1 საოჯახო მედიაციის შესახებ;
- რეკომენდაცია (99) 19 სისხლის სამართლის საქმეებში მედიაციის შესახებ;
- რეკომენდაცია (2001) 9 ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო მხარეებს შორის სასამართლო დავის ალტერნატივების შესახებ;
- რეკომენდაცია (2002) 10 სამოქალაქო საქმეებში მედიაციის შესახებ.

თავისი პირველი მანდატის ფარგლებში CEPEJ-GT-MED-მა გამოიკვლია ამ რეკომენდაციების ზეგავლენა და შეიმუშავა სახელმძღვანელო მითითებები, ასევე, კონკრეტული ზომები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში მათი ეფექტიანად განხორციელებისათვის.
კერძოდ, შემუშავდა სამი სახის სახელმძღვანელო მითითებები:

- სისხლის სამართლის საქმეებში მედიაციაზე არსებული რეკომენდაციის უკეთ განსახორციელებლად (CEPEJ(2007)13);
- საოჯახო და სამოქალაქო საქმეებში მედიაციაზე არსებული რეკომენდაციის უკეთ განსახორციელებლად (CEPEJ(2007)14);
- ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო მხარეებს შორის სასამართლო დავის ალტერნატივებზე არსებული რეკომენდაციის უკეთ განსახორციელებლად (CEPEJ(2007)15.

თითქმის ათწლიანი შესვენების შემდეგ, CEPEJ-ის მედიაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფმა მუშაობა განაახლა 2017[1] წელს. ახალი მანდატის ფარგლებში CEPEJ-GT-MED კვლავაც შეუწყობს ხელს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებისა და CEPEJ-ის მიერ მედიაციაზე შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების შესრულებას წევრ სახელმწიფოებში. მეორე მანდატის ფარგლებში, 2017 წლის 23-24 მაისს ჩატარებულ პირველ შეხვედრაზე, CEPEJ-GT-MED-მა მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ შეეტანა ცვლილებები სახელმძღვანელო მითითებებში და ისინი შეევსო პრაქტიკული ინსტრუმენტებით, რომლებიც წევრ სახელმწიფოებს დაეხმარებოდა მედიაციის კონკრეტული სახით გამოყენებასა და განვითარებაში, ასევე, მედიაციით დაინტერესებულ მხარეებს ხელს შეუწყობდა ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში.

ამრიგად, *მედიაციის განვითარების ინსტრუმენტარიუმის* ეს ვერსია არის CEPEJ-GT-MED-ის წევრების მიერ შემუშავებულ ინსტრუმენტთა პირველი პაკეტი. ქვემოთ წარმოდგენილი ორი ინსტრუმენტი შემუშავდა მედიაციის საერთაშორისო ინსტიტუტსა (IMI) და ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოსთან (CCBE) თანამშრომლობით.

მედიაციის განვითარების ინსტრუმენტარიუმი არის ინსტრუმენტთა დინამიკური ნაკრები, რომელიც მომავალშიც განვითარდება და მოიცავს ახალ ინსტრუმენტებს. გარდა ამისა, ყველა მათგანის მიზანია ისეთი ჩარჩოს შექმნა, რომელსაც წევრი სახელმწიფოები და მედიაციის დაინტერესებული მხარეები მოარგებენ თავიანთ კონკრეტულ საჭიროებებსა და სიტუაციებს.

ეს ვერსია მოიცავს შემდეგ ინსტრუმენტებს:[2]

- ორი საკონტროლო სია, რომლებიც დაეხმარება ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს სასამართლო მედიაციის საპილოტე პროექტთა შექმნასა და მონიტორინგში;
- დოკუმენტი, რომელიც ძირითადად გამიზნულია მოსამართლეებისა და სასამართლოს მოხელეებისთვის და ფოკუსირებულია მოსამართლის მიერ საქმის

მედიატორისთვის გადაცემაზე;

- მედიატორთა საბაზისო ტრენინგის პროგრამა, რომელიც შემუშავებულია მედიაციის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ;
- ცნობიერების ასამაღლებელი დოკუმენტი მედიაციის ძირითადი დაინტერესებული მხარეებისთვის, ხშირად დასმული კითხვების სახით;
- მედიაციის გზამკვლევი ადვოკატებისთვის, შემუშავებული ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოსთან (CCBE) ერთად.

[1] სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა: რიმანტას სიმაიტის (თავმჯდომარე), ლიეტუვა; ანა მაროვა, ჩეხეთის რესპუბლიკა; მარია ოლივეირა, პორტუგალია; ნინა ბეტეტო, სლოვენია; ჟან ა. მინიმანოფი, შვეიცარია; ჯერემი ტეგი, გაერთიანებული სამეფო; ვიოლეტა ბელეგანტე, ჯგუფის წევრის მოადგილე, რუმინეთი; ჯანკარლო ტისკარი, ჯგუფის წევრის მოადგილე, იტალია; ლეონარდო დურსო, სამეცნიერო ექსპერტი, იტალია.

[2] იმ თანმიმდევრობით, რომელიც მოცემულია CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებებში მედიაციის სტრუქტურის შესახებ (ანუ 1. ხელმისაწვდომობა; 2 წვდომა; 3 ინფორმირებულობა).

27.06.2018

CEPEJ(2018)7

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ)

მედიაციის განვითარების ინსტრუმენტარიუმი
მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სახელმძღვანელო მითითებების შესრულება მედიაციის შესახებ

სასამართლო მედიაციის საპილოტე პროექტის ჩამოყალიბება: მართვის საკონტროლო სია

ეს ინსტრუმენტი შემუშავდა 1-ელ პუნქტთან დაკავშირებით – CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების ხელმისაწვდომობა მედიაციის შესახებ.

1. წინაპირობები

სასამართლო მედიაციის საპილოტე პროექტის შექმნა სერიოზულ მხარდაჭერას მოითხოვს უმაღლესი სასამართლო ორგანოებისა და სასამართლოს თავმჯდომარის აპარატის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხრიდან. მნიშვნელოვანია წინასწარი და ყოვლისმომცველი თანამშრომლობა სასამართლოს, ადვოკატთა ასოციაციას (საჭიროების შემთხვევაში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის კომიტეტს (ADR)), მედიაციის ასოციაციებსა და მედიაციის სამსახურებს შორის. აუცილებელია, მათ წევრებს მიეწოდოთ დაწვრილებითი ინფორმაცია და მკაცრი რეკომენდაციები კონსტრუქციული მონაწილეობის შესახებ.

სასამართლოებში ტრენინგი მედიაციის საკითხებში უნდა ჩაუტარდეს მოსამართლეებისა და არამოსამართლე პერსონალის საკმარის რაოდენობას, რათა მათ შეეძლოთ:

a. მედიაციისთვის შესაფერისი საქმეების განსაზღვრა;
b. მხარეთა ინფორმირება მედიაციის მთავარ უპირატესობებსა და თავისებურებებზე;
c. მათი წახალისება მედიაციის ასარჩევად.

სასამართლო შენობაში ან მასთან ძალიან ახლოს უნდა არსებობდეს შესაბამისი ოთახები.

2. პროექტის გეგმა

საპილოტე პროექტის დაწყებამდე, აუცილებელია მისი გეგმის მომზადება და გუნდის შექმნა, რომელიც შეიმუშავებს და მართავს ამ პროექტს. პროექტის გუნდში უნდა შედიოდნენ დაინტერესებულ მხარეთა ძირითადი ჯგუფების წარმომადგენლები, მათ შორის, სასამართლოს პერსონალი, მოსამართლეები, მედიატორები, კანონიერი წარმომადგენლები და მომხმარებელთა ჯგუფების წარმომადგენლები. დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა საპილოტე პროექტის შემუშავებაში ხელს შეუწყობს ნებისმიერი წინააღმდეგობის განეიტრალებას.

პროექტის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ საკითხებს:

რა მიზანი აქვს საპილოტე პროექტს? ეს გარკვეულწილად განსაზღვრავს მედიაციის სქემის მიღებულ ტიპს.

რა არის ამ სქემის მთავარი მიზანი - სასამართლოში განსახილველ საქმეთა რაოდენობის ან სასამართლოს დატვირთულობის შემცირება, თუ უმთავრესად ალტერნატივის მიწოდება სასამართლოს მომხმარებლებისთვის?

თუ მისი მიზანია განსახილველ საქმეთა რაოდენობის შემცირება, სასამართლოს ან წევრ სახელმწიფოს შეუძლია, მეტი ინვესტიცია ჩადოს სქემაში და შესთავაზოს უფასო მედიაცია ან საერთო ხარჯების სუბსიდირება.

3. საპილოტე პროექტის ტიპი

სასამართლო მედიაცია საპილოტე პროექტის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელშიც პროგრამას ამტკიცებს, მართავს და ახორციელებს სასამართლო. ასეთ შემთხვევაში, მედიაცია შეიძლება დააფინანსოს სასამართლომ, დაიფაროს სასამართლო მოსაკრებლებიდან ან დაფინანსდეს სახელმწიფო სუბსიდიით. ამგვარ სქემაში შეიძლება გამოიყენონ დანიშნული

მედიატორები, რომლებიც დათანხმდნენ სასამართლოსთან თანამშრომლობას მედიაციის უზრუნველსაყოფად.

სასამართლო სქემები აადვილებს კონტროლს საპილოტე პროექტის შესრულებაზე და მის ინტეგრირებას საქმის მართვის პროცესში. თუმცა, საქმის მართვის ვადები არ იძლევა ხანგრძლივი მედიაციის საშუალებას, საუკეთესო მედიატორებს კი შეიძლება არ სურდეთ მონაწილეობა საპილოტე პროექტში, თუ ანაზღაურება დაბალია.

ამიტომ, ალტერნატივის სახით, სასამართლომ შეიძლება ამჯობინოს მხარეთა გადამისამართება ვებსაიტებზე, კერძო აკრედიტებულ მედიატორებთან დასაკავშირებლად, რომლებიც თავად დაადგენენ საკუთარ ანაზღაურებას.

4. საპილოტე პროექტის წესები

წესები უნდა შეათანხმოს პროექტის გუნდმა.

საქმეთა ტიპები: შემოიფარგლება თუ არა საპილოტე პროექტი მხოლოდ გარკვეული ტიპის სამოქალაქო საქმეებით ან გარკვეული ღირებულების სარჩელებით? ალტერნატივის სახით, უნდა მოიცვას საპილოტე პროექტმა საოჯახო საქმეები კონკრეტულ ფარგლებში?

შემოიფარგლება თუ არა საპილოტე პროექტი გეოგრაფიულად, კონკრეტული სასამართლოებით/სასამართლოს შენობებით?

როდის უნდა გადაეცეს საქმე მედიაციას?

უნდა გადაიხადონ თუ არა მხარეებმა რაიმე მოსაკრებელი, სასამართლო მოსაკრებლის გარდა? ეს თანხა სასამართლოს უნდა გადაუხადონ, თუ უშუალოდ მედიატორს?

როგორ დაიფარება მედიაციის ღირებულება, თუ ეს არ ხდება მოსაკრებლების მეშვეობით? მიუხედავად იმისა, რომ საპილოტე პროექტია, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ მედიაციის გრძელვადიანი მდგრადობა და, შესაბამისად, უფრო ფართოდ გავრცელების შესაძლებლობა. მაგალითად, მედიატორები შეიძლება მზად იყვნენ, რომ მოკლევადიანი საპილოტე პროექტის მიზნებისთვის, თავიანთი მომსახურებები შესთავაზონ სუბსიდირებული ტარიფით (ან თუნდაც უფასოდ), მაგრამ რა გავლენას მოახდენს ეს გრძელვადიან მდგრადობაზე, თუ საპილოტე პროექტი გაფართოვდება და გავრცელდება სხვა გეოგრაფიულ არეალშიც, ან საქმეთა სხვა ტიპებზეც?

ერთპიროვნული მედიაცია თუ თანამედიაცია?

მედიატორებმა უნდა გაიარონ მომზადება და აკრედიტაცია. როგორ უნდა განაწილდეს მათზე საქმეები (იხ. ზემოთ)?

რა წამახალისებელი ფორმების დანერგვას გეგმავთ მედიაციის გამოსაყენებლად? განიხილეთ შესაძლო ცვლილებები სასამართლო წესებში, კანონებსა და პრაქტიკაში და ამ ცვლილებათა შეტანის ვადები.

უნდა არსებობდეს თუ არა მედიაციის შეთანხმების სტანდარტული ფორმა?

რა ფორმით უნდა შედგეს მედიაციით მიღწეული შეთანხმება (მორიგება) და სავალდებულოა თუ არა მისი შესრულება? კონტრაქტის სახე უნდა ჰქონდეს, თუ ჩაერთოს მოსამართლის

გადაწყვეტილებაში, რომელიც ექვემდებარება აღსრულებას?

როგორ უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომ საქმეზე წარიმართა მედიაცია და შედგა/არ შედგა მორიგება?

საჯაროობა: როგორ მიეწოდებათ საზოგადოების წევრებს, სასამართლოს მომხმარებლებსა და კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაცია მედიაციის საპილოტე პროექტზე?

5. შეფასება

პროგრესის შესაფასებლად, საჭიროა გარკვეული მონაცემების შეგროვება - როგორც საპილოტე პროექტის დაწყებამდე, ისე მისი განხორციელებისას. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ჯერ კიდევ საპილოტე პროექტის დაწყებამდე შემუშავდეს მისი შეფასების გეგმა, როგორც რაოდენობრივი (გადაცემულ საქმეთა რაოდენობა, მედიაციების რაოდენობა, მედიაციით გადაწყვეტილ საქმეთა რაოდენობა, საქმეთა განხილვის ვადა გადაცემიდან მორიგებამდე, საქმეთა ტიპები და ა. შ.), ისე ხარისხობრივი კუთხით (მხარეთა და სხვა დაინტერესებულ პირთა კმაყოფილება, ანონიმური კითხვარების გამოყენებით), რათა საპილოტე პროექტის დასაწყისიდანვე შეგროვდეს გარკვეული მონაცემები.

27.06.2018

CEPEJ(2018)7

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ)

მედიაციის განვითარების ინსტრუმენტარიუმი
მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სახელმძღვანელო მითითებების შესრულება მედიაციის შესახებ

მედიაციის საპილოტე პროექტზე მონიტორინგის საკონტროლო სია

ინდიკატორი ერთი: ხელმისაწვდომობა მედიაციის მომსახურებათა თანაბარი ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, აუცილებელია ზომების მიღება მედიაციის ქმედითი სქემების ხელშესაწყობად და შესაქმნელად შეძლებისდაგვარად ფართო გეოგრაფიულ არეალში.					
მოსამართლეთა როლი მოსამართლეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მედიაციის განვითარებაში. მათ უნდა შეეძლოთ მედიაციაზე ინფორმაციის მიწოდება და საინფორმაციო სესიების ორგანიზება, საჭიროების შემთხვევაში კი მხარეთა წახალისება მედიაციის გამოსაყენებლად ან/და საქმეთა გადაცემა მედიაციისთვის.	არსებობს თუ არა ცნობები, რომ იმ სასამართლოს მოსამართლეები, სადაც მედიაციის საპილოტე პროექტი მიმდინარეობს, საქმეებს გადასცემენ მედიაციას?	როგორ გადაეცემათ საქმეები მედიატორებს?	რას ეუბნება მოსამართლე მხარეებს?	აწვდის თუ არა მოსამართლე მხარეებს რაიმე წერილობით ინფორმაციას ზოგადად მედიაციაზე ან/და სასამართლო მედიაციის საპილოტე პროექტის დეტალებზე?	მხარეებმა გადაწყვეტილება მაშინვე უნდა მიიღონ, თუ ეძლევათ რაიმე ვადა სასამართლოს/მოსამართლის ინფორმირებისთვის?
ადვოკატთა როლი ზოგადად, ადვოკატთა ქცევის კოდექსები უნდა შეიცავდეს ვალდებულებას ან რეკომენდაციას, რომ, სასამართლოსთვის მიმართვამდე, შესაბამის საქმეებში განიხილონ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების, მათ შორის, მედიაციის გამოყენება და თავიანთ კლიენტებს მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია და რჩევები.	არსებობს თუ არა ცნობები, რომ ადვოკატები ინფორმაციას აწვდიან თავიანთ კლიენტებს?	თუ არ არსებობს, რატომ: ადვოკატებმა არ იციან მედიაციის შესახებ, არ იციან, როგორ მუშაობს ის, თუ არ იციან საპილოტე პროექტის არსებობა?	თუ ადვოკატები აწვდიან ინფორმაციას მედიაციაზე, რა ფორმით აკეთებენ ამას? ის დაწერილია ადვოკატის მიერ, თუ ადვოკატებს ამობეჭდილი აქვთ დასარიგებელი მასალა? ეს ინფორმაცია ზოგადად მედიაციას ეხება, თუ კონკრეტულად სასამართლო მედიაციის საპილოტე პროექტს?		არსებობს თუ არა ცნობები, რომ ადვოკატთა და იურისტთა ასოციაციები ადვოკატებს აწვდიან ამ სახის ინფორმაციას?

მედიატორთა როლი მოსამართლეებისთვის (როდესაც საქმეს მედიაციას გადასცემენ), ადვოკატებისთვის (რომლებიც კლიენტებს უწევენ კონსულტაციებს) და მედიაციისადმი ფართო საზოგადოების ნდობისთვის, მნიშვნელოვანია, გარანტირებული იყოს მედიაციის ხარისხი. ამიტომ, მედიატორებმა უნდა გაიარონ შესაბამისი მომზადება, რომელიც აკმაყოფილებს მიღებულ სტანდარტებს.	გაიარა თუ არა შესაბამისი მომზადება ყველა მედიატორმა, რომლებსაც გადაეცათ საქმეები, და შეფასდა თუ არა ის როგორც შესაფერისი, მიღებული სტანდარტების მიხედვით?	არსებობს თუ არა ქცევის კოდექსი მედიატორებისთვის?	თუ არსებობს, იცავს თუ არა მას ყველა მედიატორი, რომლებსაც გადაეცათ საქმეები?
მედიაციის ხარისხი შესაძლებელია ითვლებოდეს, რომ მედიაცია ეფექტიანია, როცა მას ატარებს სათანადოდ მომზადებული მედიატორი. მნიშვნელოვანია, მედიაციის ნებისმიერი საპილოტე პროექტის ფარგლებში მიიღებოდეს შესაბამისი ზომები ხარისხის შესაფასებლად. ამიტომ, მედიაციის სქემათა ხარისხის შესაფასებლად, საჭიროა გარკვეული ზოგადი კრიტერიუმების შემუშავება, რომლებიც მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ასპექტებს.	იღებს თუ არა სასამართლო მონაცემებს საპილოტე პროექტთა ფარგლებში ჩატარებულ მედიაციებზე, რათა რაოდენობრივად შეფასდეს, მათ შორის, ისეთი საკითხები, როგორიცაა მედიაციისთვის გადაცემულ საქმეთა რაოდენობა, მედიაციის შედეგად მორიგებული საქმეები, ვადები, საქმეთა ტიპები და ა. შ?		არსებობს თუ არა გეგმები, რომ დამოუკიდებლად შეფასდეს საპილოტე პროექტის ხარისხის ასპექტები, ისეთი საკითხების ჩათვლით, როგორიცაა მომხმარებელთა კმაყოფილება?

<table>
<tr><td colspan="6">**ინდიკატორი ორი: წვდომა**

მაშინაც კი, როცა მედიაცია ხელმისაწვდომია სასამართლო მედიაციის საპილოტე პროექტების მეშვეობით, საჭიროა ძალისხმევის გაღება, რათა მხარეებს მაქსიმალური წვდომა ჰქონდეთ მათზე, ღირებულების, მანძილისა და წვდომასთან დაკავშირებული სხვა ზოგადი საკითხების კუთხით.</td></tr>
<tr><td>**მედიაციის ღირებულება**

მომხმარებლისთვის მედიაციის ღირებულება უნდა იყოს გონივრული და შესაბამისი საკითხის პროპორციული.</td><td>მომხმარებლებმა მედიაციის ღირებულება წინასწარ იციან, თუ მიმართვისას იგებენ მას?</td><td>მედიაციისთვის ერთიანი საფასურია დაწესებული, თუ სხვადასხვა ფიქსირებული ფასი, საქმის ღირებულები დან გამომდინარე?</td><td>თუ მედიატორები სხვადასხვა საფასურს აწესებენ, შეუძლიათ თუ არა მხარეებს მედიატორი არჩევა?</td><td>შეუძლიათ თუ არა მხარეებს იურიდიული დახმარების მიღება მედიაციისთვის?</td><td>- თუ შეუძლიათ, როგორ აგებინებენ მათ ამის შესახებ?

- თუ არ შეუძლიათ, გადაიდგა თუ არა ნაბიჯები ამ საკითხის გადასაჭრელად?</td></tr>
<tr><td colspan="2">**მედიაციის ვადები**

მედიაციის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა არის ის, რომ მისი მეშვეობით მხარეებს უფრო სწრაფად შეუძლიათ თავიანთი დავის გადაწყვეტა, ვიდრე ჩვეულებრივი სასამართლო პროცესით. ამისათვის აუცილებელია, მხარეებმა რაც შეიძლება ადრე გაიგონ მედიაციის შესახებ, მისი არჩევის შემთხვევაში კი სასამართლოს შეეძლოს მხარეთა გადამისამართება მედიაციაზე და მედიაცია ჩატარდეს რაც შეიძლება სწრაფად.</td><td colspan="2">გაზომვადია თუ არა მედიაციის ვადები?</td><td colspan="2">შეუძლია თუ არა სასამართლოს, განსაზღვროს სამედიაციო საქმეთა ვადები და ისინი შეადაროს საქმეთა განხილვის ანალოგიურ ვადებს სასამართლო სისტემაში?</td></tr>
</table>

ხანდაზმულობის ვადის შეჩერება ხანდაზმულობის ვადის გასვლის რისკი არ უნდა ართმევდეს მხარეებს მედიაციის გამოყენების შესაძლებლობას.	ითვალისწინებს თუ არა წევრი სახელმწიფო ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას საქმეთა მედიაციისთვის გადაცემისას?	თუ არ ითვალისწინებს, გეგმავს თუ არა წევრი სახელმწიფო დებულებათა დანერგვას ხანდაზმულობის ვადების შეჩერებასთან დაკავშირებით?

მედიაციის ადგილი მხარეები არ უნდა დაზარალდნენ იმით, რომ მედიაციის მისაღებად უფრო შორს მოუწევთ გამგზავრება, ვიდრე საქმის ჩვეულებრივი სასამართლო პროცესით გადაწყვეტისას.	სად ტარდება მედიაცია სასამართლოს მიერ გადაცემულ საქმეებზე საპილოტე პროექტის ფარგლებში?	თუ სასამართლო შენობის გარეთ, ხელმისაწვდომია თუ არა ერთზე მეტი ადგილი საპილოტე მედიაციის ჩასატარებლად?	თუ ხელმისაწვდომია, აქვთ თუ არა მხარეებს ადგილმდებარეობის არჩევის შესაძლებლობა?	ზოგადად, მედიაცია დაახლოებით იმავე მანძილზე ტარდება, რომელზეც მდებარეობს სასამართლო შენობა, თუ უფრო ახლოს ან შორს?
შეზღუდული შესაძლებლობის/ეთნიკური წარმომავლობის საკითხები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მხარეებს, რომელთა მშობლიური ენა არ არის წევრი სახელმწიფოს ძირითადი ენა, არ უნდა ეზღუდებოდეთ წვდომა მედიაციაზე.	შესაძლებელია თუ არა მედიაციაზე ინფორმაციის მიწოდება ალტერნატიული ფორმებით (მაგ: ბრაილით ან დიდი შრიფტით), ანდა სხვა ენებზე?	ხელმისაწვდომია თუ არა გონივრული მისადაგება, რათა შშმ პირებს მიეცეთ მედიაციაში მონაწილეობის შესაძლებლობა?		შესაძლებელია თუ არა მისადაგება, თუ მხარეებს არ შეუძლიათ წევრი სახელმწიფოს ძირითად ენაზე საუბარი (მაგ: ხელმისაწვდომები არიან ალტერნატიული მედიატორები)?
ხელმისაწვდომობის სხვა ზოგადი საკითხები				

მედიაციის საუკეთესოდ მუშაობისთვის, პროცესები უნდა წარიმართოს შეძლებისდაგვარად შეუფერხებლად. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია მედიაციის ოფიცრის დაქირავება, რომელიც საქმეს განიხილავს სასამართლოში წარდგენიდან უშუალოდ მედიაციამდე. შესაძლოა, ის მიმართვას იღებდეს მოსამართლისგან, უკავშირდებოდეს მხარეებსა და მედიატორს, ათანხმებდეს მედიაციის შეხვედრებს, ასევე, ოთახის განლაგებას და კვების საკითხებსაც კი.	ჰყავს თუ არა მედიაციის საპილოტე პროექტს მედიაციის ოფიცერი ან მსგავსი პირი და როგორ ინტეგრირდება ის სასამართლო წარმოებაში?	როგორ მუშაობს პრაქტიკაში პროცესი მედიაციისთვის მიმართვიდან მის განხორციელებამდე?	რამდენად სწრაფად შეიძლება მედიაციის ორგანიზება დაწყებიდან დასრულებამდე?

ინდიკატორი სამი: ინფორმირებულობა მაშინაც კი, როცა მედიაცია ყველასთვის ხელმისაწვდომია, ყველამ არ იცის მის შესახებ. მოსამართლეების, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების, მართლმსაჯულების სისტემის მომხმარებლებისა და ფართო საზოგადოების არაინფორმირებულობა ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა მედიაციისთვის. წევრ სახელმწიფოებსა და მედიაციის დაინტერესებულ მხარეებს უნდა ახსოვდეთ, რომ რთულია, დაძლიო საზოგადოების დამოკიდებულება ტრადიციულ სასამართლო პროცესზე, როგორც დავების გადაწყვეტის მთავარ მეთოდზე.					
სასამართლოს მომხმარებელთა ინფორმირებულობა სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა, პროკურორებმა, ადვოკატებმა და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებმა, აგრეთვე დავის გადაწყვეტაში ჩართულმა სხვა ორგანოებმა, წინასწარი ინფორმაცია და რჩევები უნდა მიაწოდონ მედიაციის საკითხებზე, რომლებიც დამახასიათებელია მხარეებისთვის მათ დავაში. ამიტომ, შეიძლება საჭირო გახდეს ადგილობრივი სასამართლოს ფორმების შეცვლა საპილოტე პროექტის ხანგრძლივობის განმავლობაში, რათა ცხადი გახდეს, რომ მედიაცია არ არის მხოლოდ სასამართლოს ალტერნატივა, არამედ სასამართლო დაინტერესებულია მედიაციის განვითარებით. მხარეებს შეიძლება სთხოვონ, მონიშნონ ფორმაზე ველი, რათა მიუთითონ, რომ მათ სურთ, სცადონ მედიაცია, ან, თუ ისინი არ თვლიან მიზანშეწონილად მედიაციას, მიუთითონ, რატომ.	შევიდა თუ არა ცვლილებები სასამართლო ფორმებში, რათა მხარეები წახალისდნენ მედიაციის გამოსაყენებლად?	ხელმისაწვდომია თუ არა სასამართლოში ბროშურები და პლაკატები?	ეგზავნებათ თუ არა მხარეებს ინფორმაცია მედიაციაზე, როდესაც ისინი პირველად ერთვებიან სასამართლო პროცესში/მიმართავენ სასამართლოს?	თუ სასამართლოში არსებობს მედიაციის ცენტრი/საინფორმაციო პუნქტი, მინიშნებულია თუ არა ის თვალსაჩინოდ?	ატარებს თუ არა სასამართლო რაიმე სხვა სარეკლამო ღონისძიებას, როგორიცაა ღია კარის დღეები ან მედიაციის ღია კარის დღეები? თუ ატარებს, რას მოიცავს ის? თუ არ ატარებს, ხომ არ იგეგმება მსგავსი ღონისძიება?

მოსამართლეთა ინფორმირებულობა მოსამართლეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დავების მშვიდობიანად გადაწყვეტის კულტურის შექმნაში. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია, სრულად იცოდნენ და გაიაზრონ მედიაციის პროცესი და სარგებელი. ამის მიღწევა შესაძლებელია საინფორმაციო ღონისძიებათა ჩატარებით, აგრეთვე, საწყისი და სამსახურებრივი ტრენინგპროგრამებით.	ჩაუტარდათ თუ არა მოსამართლეებს ტრენინგი საპილოტე პროექტის ფარგლებში, ან დაესწრნენ თუ არა ისინი საინფორმაციო შეხვედრებს?	არის თუ არა მედიაციის შესახებ ინფორმაცია მოსამართლეთა სამსახურებრივი ტრენინგის ნაწილი?	მოეწყო თუ არა სემინარები სხვა მოსამართლეებისთვის სასამართლოს შენობაში, ან ადგილობრივი სასამართლოს მოსამართლეებისთვის, საპილოტე პროექტზე სასაუბროდ და კითხვებზე პასუხების გასაცემად?	გამართეს თუ არა მოსამართლეებმა საპილოტე პროექტის ფარგლებში შეხვედრები მედიატორებთან, რომლებსაც ისინი გადასცემენ საქმეებს?
ადვოკატთა ინფორმირებულობა იმისათვის, რომ მედიაცია იყოს ეფექტიანი და ხელმისაწვდომი, მხარეთა ადვოკატებმა უნდა იცოდნენ მის შესახებ. ამიტომ, ადვოკატთა და იურისტთა ასოციაციები თავიანთ წევრებს უნდა აწვდიდნენ ინფორმაციას მედიაციაზე. გარდა ამისა, სასამართლომ უნდა წაახალისოს ადვოკატები, რომ აქტიურად განიხილონ მედიაცია თავიანთი კლიენტებისთვის. ამ მიზნით, შესაძლებელია, სასამართლო ფორმებში კანონიერ წარმომადგენლებს მოეთხოვებოდეთ მითითება, რომ განუმარტეს მედიაციის არსი თავიანთ კლიენტებს; თუ არ მიიჩნევენ მედიაციას მიზანშეწონილად, შეუძლიათ, ფორმაში ახსნან, რატომ.	აწვდიან თუ არა ადვოკატთა და იურისტთა ასოციაციები თავიანთ წევრებს ინფორმაციას მედიაციის შესახებ?		მოითხოვს თუ არა სასამართლო ადვოკატებისგან, რომ თავიანთ კლიენტებს აუხსნან მედიაციის არსი და მიუთითონ, რატომ შეიძლება მედიაცია არ იყოს მიზანშეწონილი?	ჩატარდა თუ არა სასამართლოში სემინარები მოსამართლეებისა და ადგილობრივი ადვოკატებისთვის, სადაც ისაუბრეს საპილოტე პროექტზე, პასუხი გასცეს კითხვებს და გააქარწყლეს შიშები?
ფართო საზოგადოების ინფორმირებულობა მიუხედავად იმისა, რომ ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მედიაციაზე სცდება ცალკეულ საპილოტე პროექტთა ფარგლებს, ცალკეულ სასამართლოებს შეუძლიათ, ბევრი რამ გააკეთონ ზოგადად მედიაციაზე ცნობიერების	ჩაატარა თუ არა სასამართლომ ფართო საზოგადოებისთვის რაიმე სხვა სარეკლამო ღონისძიება, როგორიცაა ღია კარის დღეები ან მედიაციის ღია კარის დღეები?			თუ არ ჩაუტარებია, ხომ არ იგეგმება რაიმე სარეკლამო ღონისძიება?

ასამაღლებლად, ღია კარის დღეების ან მედიაციის ღია კარის დღეების გამართვით.		

CEPEJ(2018)7

27.06.2018

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ)

მედიაციის განვითარების ინსტრუმენტარიუმი
მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სახელმძღვანელო მითითებების შესრულება მედიაციის შესახებ

გზამკვლევი მოსამართლეთა მიერ საქმის მედიაციისთვის გადაცემის შესახებ

ხშირად სასამართლო წერილობით აცნობებს მხარეებს მედიაციის შესახებ, მოსაწვევ წერილზე დართული ფორმის მეშვეობით. თუმცა, წევრ სახელმწიფოებში სასამართლო მედიაციის გამოყენების პრაქტიკა აჩვენებს, რომ ნებისმიერი პროგრამის წარმატებაში მთავარი ფაქტორია წახალისება მოსამართლის მხრიდან.

მოსამართლეებმა და სასამართლოს არამოსამართლე პერსონალმა მოსამზადებელი ეტაპიდანვე უნდა შეაფასონ მედიაციის შესაძლებლობა სასამართლო საქმის ზედმიწევნით განხილვისას. გარდა ამისა, დავის მონაწილე მხარეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ და ბევრმა იურისტმა, თუნდაც იცნობდნენ ტერმინს „მედიაცია“, სავარაუდოდ, შედარებით ცოტა რამ იციან მედიაციის პოტენციალზე დავების მოგვარებისას. ამიტომ, საჭიროა სათანადო ინფორმაციის მიწოდება - როგორც მედიაციის არსზე, ასევე მის შესაძლებლობებზე სპეციფიკურ საქმეთა გადაწყვეტაში. ამ ინფორმაციაზე შეძლებისდაგვარად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი თავად მხარეებსაც. მოსამართლეებს უნდა შეეძლოთ:

- გადაწყვიტონ მედიაციისთვის შესაფერისობის საკითხი;
- გასცენ პასუხი მხარეთა კითხვებს პროცესის შესახებ;
- ისაუბრონ სარგებელზე, რომელსაც დავის მხარეებს მოუტანს მედიაცია;
- პასუხი გასცენ ნებისმიერ პრეტენზიას, რომელსაც მხარეები ან მათი ადვოკატები გამოთქვამენ მედიაციის მიმართ.

პოლიტიკის შემმუშავებელმა პირებმა და სასამართლოს თავმჯდომარეებმა უნდა განავითარონ მოსამართლეთა წახალისების ფორმები, რათა მათ საქმეები გადასცენ მედიაციას (მაგ: არ უნდა შემცირდეს ცალკეულ მოსამართლეთა შეფასება, თუ ისინი საქმეს მედიატორს გადასცემენ და მიიღწევა მორიგება).

ეს კონკრეტული პროცედურები და ინდიკატორები შეიძლება მოერგოს მედიაციის გამოყენებას სხვა პროფესიონალთა და პირთა მიერ.

აღნიშნული ინსტრუმენტი შემუშავდა 1-ელ პუნქტთან დაკავშირებით – CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების ხელმისაწვდომობა მედიაციის შესახებ.

1. მედიაციისთვის გადაცემის წახალისების ვადები

მიუხედავად იმისა, რომ მედიაციისთვის გადაცემის ვადები შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტული საქმის ტიპისა და საჭიროებების მიხედვით, არსებითად, ეს უნდა გაკეთდეს შეძლებისდაგვარად ადრიანად, რათა მხარეებმა ინფორმირებული არჩევანი გააკეთონ მედიაციაში მონაწილეობის შესახებ.

კანონმდებლობითა და მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ ფარგლებში, ზოგჯერ მიზანშეწონილია, მედიაციის შეთავაზებამდე, დაველოდოთ მხარეთა მტრული დამოკიდებულების დაცხრობას: ამან შეიძლება, თუნდაც შემდგომ ეტაპზე (მათ შორის, სააღსრულებო წარმოებისა და გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას), გაზარდოს მათი მზადყოფნა მორიგებისათვის. ამიტომ, თუ მხარეები არ თანხმდებიან მედიაციას მოსამზადებელ ეტაპზე, სასურველია, სასამართლომ მუდმივად მისცეს შესაძლებლობა - მათაც და მოსამართლესაც - რომ განსაზღვრონ, როდის გადაეცემა საქმე მედიაციას განხილვის გვიან ეტაპებზე.

2. რა ტიპის საქმეები გადაეცემა მედიაციას?

მოსამართლე, რომელიც საქმეს გადასცემს მედიაციას, უნდა დარწმუნდეს, რომ ეს საქმე შეეფერება მედიაციას. არსებობს რამდენიმე სიტუაცია, რომლებშიც მედიაციას არ უშვებს კანონი. როდესაც დავა ან მისი ნაწილი ეხება საზოგადოებრივ წესრიგს (სავალდებულო

კანონი), საზოგადოებრივ საკითხებს, ან განუყოფელ უფლებებს, მედიაციას შეიძლება აზრი ჰქონდეს კონტექსტიდან გამომდინარე. ამასთან, მორიგების შეთანხმება უნდა დაიდოს სავალდებულო კანონებისა ან განუყოფელი უფლებების დაცვით. საზოგადოებრივი წესრიგის კრიტერიუმის გარდა, ასევე გამორიცხულია დავები, სადაც მხოლოდ სამართლებრივ საფუძველზე მიღებული სასამართლო განჩინებით შეიძლება საკითხის გადაწყვეტა ან სპეციალური სასამართლო პროცედურის მოთხოვნა, რომელიც გამოიყენება გარკვეული სამართლებრივი საკითხების გადასაჭრელად.

არსებობს წარმატებული მედიაციის სხვა კრიტერიუმებიც. მიუხედავად იმისა, რომ არ შემუშავებულა ერთიანი კრიტერიუმები საქმის მედიაციისთვის გადასაცემად, არსებობს კრიტერიუმები, რომლებსაც ზოგადად შეიძლება ეწოდოს „მიმართვის ინდიკატორები“. გამოცდილი მედიატორები თანხმდებიან, რომ მედიაციის წარმატებას განაპირობებს არა საქმის ტიპი, არამედ თავად მხარეთა დამოკიდებულება და გამჭრიახობა. მათ უნდა სურდეთ და შეეძლოთ კონფლიქტთა გადაწყვეტის გზების განხილვა ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით. კარგ მედიატორები ხშირად ახერხებენ სურვილის არქონის დაძლევას და მხარეებს ეხმარებიან პრობლემათა გადაჭრასა და მათ საქმესთან დაკავშირებული რისკების შეფასებაში, მაშინაც კი, თუ თავდაპირველად ისინი თავს არიდებენ მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომას.

მედიაციისთვის გადასაცემად, შეიძლება რელევანტური იყოს შემდეგი ინდიკატორები:

- მხარეთა ინტერესები სცდება დავის სამართლებრივ ჩარჩოს;
- არსებობს გრძელვადიანი ურთიერთობები (მეზობლები, ბიზნესი, ოჯახი…);
- კონფლიქტში ჩართულია უფრო მეტი მხარე, უშუალოდ საქმისწარმოების მხარეებთან შედარებით;
- განხილვას ელოდება უფრო მეტი საქმე, რომლებშიც მონაწილეობენ იგივე მხარეები;
- მხარეებს სურთ დავის სწრაფად გადაწყვეტა;
- დავის ღირებულებასთან მიმართებით, სამართლებრივი ხარჯები არაპროპორციულია;
- ერთ-ერთ მხარეს არ აქვს საკმარისი რესურსი სასამართლო პროცესისთვის;
- მხარეები დაიღალნენ სამართალწარმოებისგან;
- დიდი ალბათობით, საქმის გადაწყვეტა რთული იქნება;
- არსებობს ალბათობა, რომ გადაწყვეტილების აღსრულება რთული იქნება;
- გაურკვეველია სასამართლო გადაწყვეტილების შედეგი;
- არსებობს ორმხრივი სამომავლო ინტერესი;
- საქმე უაღრესად ემოციურია;
- აუცილებელია კონფიდენციალურობის დაცვა და კონფიდენციალურად მოპყრობა მხარეების (კერძო შეხვედრების) მიმართ;
- მნიშვნელოვანია ვადების კონტროლი და პროცესის ორგანიზება.

შემდეგი უკუმაჩვენებლები მიუთითებს, რომ სასამართლო პროცესი შეიძლება უფრო მიზანშეწონილი იყოს, როცა:

- სასურველია უკანასკნელი მედიაციის წარუმატებელი მცდელობის პრეცედენტი;
- სასურველია საჯარო გადაწყვეტილების მიღება;
- მხარეთა შორის იკვეთება ძალთა მნიშვნელოვანი დისბალანსი, არასათანადო ზეწოლა, ან წინა ძალადობის შემთხვევები, რომლებსაც ვერ მართავს მედიატორი ან/და რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად დაარღვიოს ერთ-ერთი მხარის თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა;
- არსებობს ალბათობა, რომ გადაწყვეტილება უსამართლო იქნება, სულ მცირე, ერთი მხარისთვის;
- მხარეებსა და ადვოკატებს არ აქვთ სრული და ზოგადი უფლებამოსილებები მოლაპარაკებისთვის;
- დადასტურებულად გასხვისებულია მშობლის უფლებები.

3. მედიაციაზე გადაცემასთან დაკავშირებული გასაუბრების ელემენტები

კონფლიქტის დიაგნოზი

მიზანი: მოსამართლემ, რომელიც საქმეს მედიაციას გადასცემს, უნდა დაიწყოს დავის გადაწყვეტის შესაბამისი ტიპის განხილვა.

ჩარევის გეგმა

კითხვების დასმით, მოსამართლემ უნდა შეძლოს დავის გადაწყვეტის სხვადასხვა მეთოდის შეთავაზება. პროცესში უნდა განისაზღვროს ისიც, შეუძლია თუ არა სასამართლო გადაწყვეტილებას მხარეთა ყველა ინტერესის დაკმაყოფილება.

მოლაპარაკებისთვის მზაობის შესწავლა და მისი გაძლიერება

მიზანი: მოსამართლემ, რომელიც საქმეს გადასცემს მედიაციას, უნდა შეამოწმოს მოლაპარაკებისთვის მზაობის ასპექტები, კერძოდ:

- ესკალაციის დონე;
- მოლაპარაკებისთვის მზაობა.

ესკალაციის დონე

მოსამართლემ უნდა დასვას კითხვები, რათა შეისწავლოს მხარეთა შორის ესკალაციის დონე და ყურადღებით მოეკიდოს ძლიერი ესკალაციის ნებისმიერ ნიშანს, როგორიცაა მუქარა ძალის გამოყენების შესახებ და მუდმივი და პირადი ზემოქმედება მოწინააღმდეგეზე. მედიაციის გამოყენება არ შეიძლება, თუ კონფლიქტი მივა იმ ეტაპამდე, რომელზეც მხარეებს აღარ სურთ ან არ შეუძლიათ ერთობლივ გადაწყვეტილებაზე მუშაობა.

მოლაპარაკებისთვის მზაობა

მოლაპარაკებისთვის მზაობაზე შეიძლება მიუთითებდეს კითხვები, რომელთა მიზანია, დადგინდეს შემდეგი მოტივების ერთობლიობა:

- დავის სწრაფი გადაწყვეტა;
- კონტროლი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ორგანიზებასა და ვადებზე;
- მორგებული გადაწყვეტა, რომელიც სცდება დავის სამართლებრივ ჩარჩოს;
- ეკონომიკური გადაწყვეტა;
- ურთიერთობის შენარჩუნება ან აღდგენა.

ინფორმაცია მედიაციის შესახებ

მნიშვნელოვანია, მხარეებმა იცოდნენ, რას მოიცავს მედიაცია და რას ნიშნავს ის მათთვის საქმისწარმოებაში. მოსამართლემ მხარეებს უნდა შეუქმნას რეალური მოლოდინები. ინფორმაცია მათ უნდა მიეწოდოთ კონკრეტულ საქმეში საჭირო მოცულობით, ამიტომ, მიზანშეწონილია, პროცესი დაიწყოს მხარეებისთვის კითხვის დასმით, თუ რა იციან მედიაციის შესახებ. გარდა ამისა, მოსამართლეს უნდა შეეძლოს პასუხის გაცემა ნებისმიერ პრეტენზიაზე, რომელსაც მხარეები ან მათი ადვოკატები გამოთქვამენ, არა მათთან კამათის მეშვეობით, არამედ ამ პრეტენზიის საფუძვლის შესწავლით.

არსებითად, განსახილველია შემდეგი თემები:

- მხარეთა ნებაყოფლობითობა და თანასწორობა;
- პროცესის კონფიდენციალურობა;
- ჩვენებებისა და მტკიცებულებების დაუშვებლობა სასამართლო პროცესზე;
- მედიატორის გონივრული წინდახედულობა და მიუკერძოებლობა;
- მედიატორის როლი;
- ადვოკატთა როლი;
- სასამართლო პროცესის გადადება;
- მედიატორის გასამრჯელო;
- მხარეთა შეთანხმება;
- რა უნდა გაკეთდეს მედიაციის დასაწყებად.

4. როგორ უნდა გადაეცეს საქმე მედიატორს: რა შეიძლება და რა არ შეიძლება

მედიაციისთვის მიმართვა მოითხოვს ბალანსის შენარჩუნებას: ერთი მხრივ, მოსამართლის მხრიდან „ბიძგი“, რომ საქმე გადაეცეს მედიაციას, შეიძლება შვება იყოს მხარეებისთვის, რადგან არცერთ მათგანს არ სურს მედიაციის შეთავაზება იმის შიშით, რომ სახეს დაკარგავს; მეორე მხრივ კი ამან შეიძლება გამოიწვიოს სურვილის არქონა მხარეებში. აქ მთავარია, საქმე მედიაციას ისე გადაეცეს, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს მხარეთა მოტივაცია დავის მედიაციით გადასაწყვეტად. იგივე პრინციპები მოქმედებს, როდესაც მხარეები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედი ნორმების შესაბამისად, ვალდებულნი არიან, მონაწილეობდნენ სავალდებულო შეხვედრაში, რომელიც იმართება მათი საქმის სასამართლოში განხილვამდე. დაბოლოს, მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის თანამშრომლობამ შეიძლება გაზარდოს საქმეთა მედიატორებისთვის გადაცემის ეფექტიანობა.

თითოეულ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს საკუთარი სტილი, თუმცა არის გარკვეული უნარ-ჩვევები, რომლებიც შეიძლება ყველასთვის სასარგებლო აღმოჩნდეს. მოსამართლემ მიმართვის საკუთარი სტილი უნდა აირჩიოს „დარწმუნებასა და ცდუნებას“ შორის:[1] პირველ შემთხვევაში, იგი იძლევა მედიაციის რეკომენდაციას, ან არწმუნებს მხარეებს, რომ კონკრეტულ საქმეში ეს საუკეთესო ვარიანტია, მეორე შემთხვევაში კი უბრალოდ სთავაზობს მედიაციას. მიუხედავად იმისა, რომელ სტილს აირჩევს მოსამართლე, უნდა ახსოვდეს, რომ მხარეებს აქვთ სასამართლოზე წვდომის უფლება, რაც ასევე გულისხმობს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას. ამიტომ, მოსამართლე არ უნდა ტოვებდეს შთაბეჭდილებას, რომ საქმის თავიდან მოცილება სურს.

[1] Machteld Pel, Referral to mediation: A practical guide for an effective mediation proposal, Hague 2008, გვ. 181.

რა შეიძლება და არ შეიძლება „დარწმუნებისას“:

აუცილებელია: ✓ კარგად მოემზადონ მოსმენისთვის, რომელზეც განიხილება საქმის გადაცემა და შეისაწავლონ საქმის მასალები, ორივე მხარის არგუმენტებთან ერთად; ✓ განმარტონ, რას გულისხმობს მედიაცია; ✓ განმარტონ მედიაციის უპირატესობები; ✓ გამოთქვან პროფესიული აზრი, თუ რატომ არის მედიაცია საუკეთესო მეთოდი ამ საქმეში; ✓ მოუსმინონ; ✓ გაიარონ მხარეთა ძირითადი საჭიროებები; ✓ აჩვენონ ინტერესი მხარეთა ინტერესების, საჭიროებებისა და პრობლემების მიმართ; ✓ აუხსნან მხარეებს, რომ საბოლოო სიტყვა მათ ეკუთვნით, როცა წყდება მედიაციის მეთოდის შესაბამისობა მათი კონფლიქტის გადასაჭრელად.	არ შეიძლება: ✓ ერთდროულად დიდი რაოდენობით ინფორმაციის მიწოდება; ✓ მუქარა; ✓ ნოტაციის წაკითხვა; ✓ მხარეებისთვის მითითება, რა უნდა გააკეთონ; ✓ მხარის დაჭერა რომელიმე მათგანისთვის; ✓ ვინმეს დადანაშაულების მცდელობა.

რა შეიძლება და არ შეიძლება „ცდუნებისას“:

აუცილებელია: ✓ კარგად მოემზადონ მოსმენისთვის, რომელზეც განიხილება საქმის გადაცემა და შეისაწავლონ საქმის მასალები და ორივე მხარის არგუმენტები; ✓ განმარტონ, თუ რას გულისხმობს მედიაცია; ✓ განმარტონ მედიაციის უპირატესობები; ✓ მოუსმინონ; ✓ აჩვენონ ინტერესი მხარეთა ინტერესების, საჭიროებებისა და პრობლემების მიმართ; ✓ გაიაზრონ მხარეთა ძირითადი საჭიროებები; ✓ დასვან კითხვები მხარეთა ინტერესებისა და მოტივების დასადგენად; ✓ შეინარჩუნონ ბალანსი თითოეული მხარის ინტერესების შესწავლისას; ✓ დაინტერესდნენ, რას გრძნობს თითოეული მხარე; ✓ შემლებისდაგვარად, დასვან ღია კითხვები; ✓ დასვან ჰიპოთეზური და გასააზრებელი კითხვები („რა მოხდება, თუ...?“ „რას ფიქრობთ ... შესახებ?“).	არ შეიძლება: ✓ ერთდროულად დიდი რაოდენობით ინფორმაციის მიწოდება; ✓ ძალიან ბევრი ზუსტი კითხვის დასმა (ვინ, რა, სად, როდის...?); ✓ მხარის დაჭერა რომელიმე მათგანისთვის; ✓ ვინმეს დადანაშაულების მცდელობა; ✓ კითხვის დასმა: „რატომ გააკეთეთ ეს?“

27.06.2018

CEPEJ(2018)7

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ)

მედიაციის განვითარების ინსტრუმენტარიუმი
მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სახელმძღვანელო მითითებების შესრულება მედიაციის შესახებ

მედიატორთა საბაზისო ტრენინგის სასწავლო პროგრამა

დოკუმენტი შემუშავდა მედიაციის საერთაშორისო ინსტიტუტთან ერთად

International Mediation Institute

აღიარებული ფაქტია, რომ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში არსებობს მედიაციის სწავლების ბევრი სხვადასხვა მეთოდი და მედიაციის ბევრნაირი პრაქტიკა. მედიატორთა საბაზისო ტრენინგის სასწავლო პროგრამა მედიაციის მთავარ ინსტრუმენტად განისაზღვრა, რადგან ის:

- იძლევა თემების განსაზღვრის საშუალებას მედიატორთა ტრენინგისთვის, საბაზისო სტანდარტის სახით;
- შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც საერთო სასწავლო სახელმძღვანელო მითითება სხვადასხვა იურისდიქციაში, რაც ქმნის მედიატორთა ცოდნისა და პროფესიული უნარების საერთო სტანდარტს და, შესაბამისად, ხელს უწყობს თანამედიაციის პრაქტიკას, კერძოდ, ტრანსსასაზღვრო კონფლიქტებში, სადაც ჩართულია ორი ან მეტი მედიატორი სხვადასხვა იურისდიქციაში;
- ხელს შეუწყობს სახელმძღვანელოების შედგენას და კვლევების ჩატარებას ამ სფეროში.

გავითვალისწინეთ რა გამოცდილება ყოვლისმომცველი პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში მედიატორებისა და ადვოკატებისთვის, ასევე, დავის ერთობლივად გადაწყვეტასა და მოლაპარაკებაში ჩართული სხვა პირებისთვის, ეს ინსტრუმენტი შემუშავდა მედიაციის საერთაშორისო ინსტიტუტთან ერთად. ინსტიტუტი აწყობს დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრებსაც, ხელს უწყობს ცოდნის გააზრებასა და გაზიარებას, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არ აწვდის მომსახურებას.[1]

ეს ინსტრუმენტი შემუშავდა 1-ელ პუნქტთან დაკავშირებით – CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების ხელმისაწვდომობა მედიაციის შესახებ.

1. მედიატორთა ტრენინგის სასწავლო პროგრამის პრინციპები

ტრენინგის სასწავლო პროგრამა უნდა აისახოს ტრენინგის გეგმაში და ჩამოყალიბდეს ისე, რომ განავითაროს მოქმედი მედიატორისთვის აუცილებელი ცოდნა, სამედიაციო უნარ-ჩვევები და ტექნიკა.

ტრენინგის შინაარსი და სწავლების მეთოდოლოგია უნდა ითვალისწინებდეს მსმენელთა განათლებას, ცოდნის საწყის დონეს და პრაქტიკულ გამოცდილებას.

მედიატორთა ტრენინგის სასწავლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს, ავლენდეს და ახალისებდეს საუკეთესო პრაქტიკას ამ სფეროში.

გასათვალისწინებელია ხარისხის კონტროლისა და დამოუკიდებელი მონიტორინგის ზომები, რათა ტრენინგის შინაარსი და მიწოდება იყოს სათანადო. მკაცრად რეკომენდებულია, ტრენინგის პრაქტიკული ნაწილი ჩატარდეს მოქმედ მედიატორთა ხელმძღვანელობით, რომლებსაც აქვთ ტრენერობის გამოცდილება.

[1] http://www.imimediation.org/

2. ცოდნის განვითარება

სასწავლო პროგრამები უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ ძირითად სფეროებს ცოდნის განვითარებაში:

2.1 კონფლიქტის თეორია

2.2 დავების ტრადიციული მორიგება და მედიაცია

2.3 მედიაციის საფუძვლები:

2.3.1 მედიაციის ძირითადი პრინციპები:

a. ნებაყოფლობითობა
b. კონფიდენციალურობა
c. მედიატორის დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და ნეიტრალურობა
d. მხარეთა თვითგამორკვევა და პროცესის გაკონტროლება
e. მხარეთა თანასწორობა
f. შემოქმედებითობა და მდგრადობა
g. მოქნილობა
h. ხარჯთეფექტურობა

2.3.2 მედიაციის მიზნები

2.3.3 მედიაციის ინდიკატორები და უკუმაჩვენებლები მედიაციისთვის საქმეთა შესაფერისობის შეფასებისას

2.4 მედიატორის მთავარი თვისებები:

a. მედიატორის დამოკიდებულება და როლი
b. სანდოობა
c. ძირითადი უნარ-ჩვევები და მეთოდები
d. პროფესიულ ეთიკასთან დაკავშირებული თვისებები
e. პროფესიული მოთხოვნები და პრაქტიკა

2.5 მხარეთა, ადვოკატთა და მედიაციის სხვა მონაწილეთა როლები

2.6 მედიაციის სტილი

2.7 მედიაციის ეტაპები:[2]

a. მომზადება
b. გახსნა
c. შესწავლა
d. მოლაპარაკება
e. შეთანხმება

2.8 მედიაციის სამართლებრივი ჩარჩოსა და მედიაციის კანონმდებლობის, მათ შორის, სავალდებულო და არჩევითი მედიაციების სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.9 ურთიერთქმედება მედიატორებს, მოსამართლეებს, ადვოკატებს, მედიაციის მომხმარებლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

2.10 მედიაციის ძირითადი მახასიათებლები და განსხვავებები სამოქალაქო, საოჯახო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ საქმეებში.

---

[2] არსებობს მედიაციის ეტაპების ბევრი განსხვავებული მოდელი, ხოლო ქვემოთ მოყვანილი მოდელი მოცემულია

მხოლოდ როგორც მაგალითი.

3. ტრენინგი პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში

უნარ-ჩვევების განვითარების თვალსაზრისით, ძირითადი თემები, რომლებსაც უნდა ფარავდეს, წარმოგვიდგენდეს და პრაქტიკულად იყენებდეს ნებისმიერი სასწავლო პროგრამა, ასეთია:

a. მოსმენის უნარებისა და კომუნიკაციის სტრატეგიების ფორმები
b. მედიაციის პროცესის მართვის უნარები და მეთოდები, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ), ერთობლივი და დახურული შეხვედრების გამოყენება
c. მოლაპარაკების სტრატეგიები და დავის შინაარსის მართვის უნარები
d. მხარეთა სხვადასხვაგვარ ქცევაზე რეაგირების გზები
e. პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარები
f. კონფლიქტის ანალიზისა და მართვის უნარები, მათ შორის, დავის გადაწყვეტის სტრატეგიებისა და მეთოდების გონივრულად არჩევა
g. თანამედიაციის უნარები

ტრენერებმა შეიძლება ჩართონ უნარებზე დაფუძნებული სხვა საკითხებიც, მათ შორის, ემოციების მართვა, რთულ ადამიანებთან ურთიერთობა, გამოუვალ მდგომარეობაზე რეაგირება, ნეიროლინგვისტური პროგრამირება და ა. შ.

მედიატორის უნარ-ჩვევების სასწავლო კურსები უნდა იყოს მონაწილეობითი, ინტერაქციული და მსმენელებზე ორიენტირებული. ამისათვის უნდა გამოიყენებოდეს სწავლების სხვადასხვა მეთოდოლოგია, მათ შორის: ლექციები, ვიდეოები, ინტერაქციული სავარჯიშოები, ინდივიდუალური მუშაობა, ჯგუფური განხილვა, წყვილებში კომუნიკაცია და როლური თამაშები. ნებისმიერი ასეთი კურსის პრაქტიკული ნაწილი, რომელიც შემუშავდა მედიაციის პროცესისა და ეფექტიანი მედიატორის უნარების სწავლებისთვის, სახელმძღვანელო მითითების სახით მნიშვნელოვანწილად უნდა მოიცავდეს როლურ თამაშებს, წვრთნასა და უკუკავშირს, ასევე განხილვებსა და სავარჯიშოებს.

4. მედიაციის სპეციალიზებული ტრენინგის თავისებურებები

დამატებითი თემები და უნარების განვითარების სავარჯიშოები უნდა ჩაერთოს მედიაციის სპეციალიზებულ ტრენინგებში:

საოჯახო საქმეებში მედიაციის ტრენინგისთვის:

a. საოჯახო მედიაციის ძირითადი პრინციპები
b. საოჯახო სამართლის სათანადო ცოდნა
c. საოჯახო მედიაციის მოდელები
d. საოჯახო მედიატორის უნარები
e. კონფიდენციალურობის პრინციპის შეზღუდვები
f. ბავშვზე ორიენტირებული მედიაცია და ბავშვის საუკეთესო ინტერესები
g. ბავშვთა მონაწილეობა
h. შეფასების შეხვედრები (მედიაციის წინა ეტაპი)
i. ოჯახში ძალადობა
j. ძალების დისბალანსი
k. საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო

სამოქალაქო საქმეებში მედიაციის ტრენინგისთვის:

a. საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალური დაცვის კანონმდებლობის სათანადო ცოდნა იმ სფეროებში, რომლებშიც საქმიანობენ, კერძოდ:
    i. იჯარისა და ქირავნობის დავები
    ii. შრომის კანონმდებლობა

iii. სამომხმარებლო სამართალი
b. ძალების დისბალანსი
c. სამოქალაქო მედიაციის მოდელები
d. საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო

სისხლის სამართლის საქმეებში მედიაციის ტრენინგისთვის:

a. სისხლის სამართლის სისტემის სათანადო ცოდნა
b. აღდგენითი მართლმსაჯულების სხვადასხვა მეთოდი
c. სისხლის სამართლისა და მედიაციის ურთიერთკავშირი
d. დაზარალებულებთან, დამნაშავეებსა და მედიაციის პროცესში ჩართულ სხვა მონაწილეებთან კომუნიკაციისა და მუშაობის უნარები და მეთოდები, მათ შორის, საბაზისო ცოდნა დაზარალებულთა და დამნაშავეთა რეაქციების შესახებ
e. მედიაციის სპეციალიზებული უნარ-ჩვევები მძიმე დანაშაულის საქმეებში, ასევე, საქმეებში არასრულწლოვანთა მონაწილეობით

ადმინისტრაციულ საქმეებში მედიაციის ტრენინგისთვის:

a. ადმინისტრაციულ საქმეებში მედიაციის ძირითადი პრინციპები
b. საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართლის სათანადო ცოდნა
c. ბალანსი მედიაციის კონფიდენციალურობისა და ადმინისტრაციული საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპთა შორის
d. საზოგადოებრივი ინტერესის საზღვრები
e. მედიატორის როლი – დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის მახასიათებლები
f. შეფასების შეხვედრები (მედიაციის წინა ეტაპი)
g. მედიატორის ეთიკის კოდექსი ადმინისტრაციულ სფეროში

5. ხანგრძლივობა

იმისათვის, რომ კურსმა მოიცვას საჭირო თემები, შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, სასწავლო საათების რაოდენობა არ უნდა იყოს 40-ზე ნაკლები[3], ფიზიკური დასწრებით.

6. ჯგუფის ზომა

მედიაციის ხარისხიან ტრენინგში უნდა გამოიყენებოდეს მონაწილეობითი სწავლების მეთოდოლოგია, ამიტომ, ჯგუფის ზომა უნდა შემოიფარგლოს, მაქსიმუმ, 30 მსმენელით, ხოლო ტრენერი/მსმენელის იდეალური თანაფარდობაა 1 ტრენერი 10 (მაქსიმუმ 15) მსმენელზე.

7. შეფასება

შეფასებამ უნდა მოიცვას მსმენელთა ცოდნა (თეორიული ნაწილი) და უნარები (პრაქტიკული ნაწილი), ტრენინგის პროგრამისა და გეგმის შესაბამისად. მედიატორის პროფესიული უნარების შესამოწმებლად გამოიყენება როლური თამაშები, რომლებსაც აფასებენ პრაქტიკოსი მედიატორები.

8. მომდევნო ქმედებები

მკაცრად რეკომენდებულია, მედიაციის ტრენინგს ახლდეს ზედამხედველობა, მენტორობა და უწყვეტი პროფესიული განვითარება, მედიატორის ცოდნისა და პროფესიული უნარების განმტკიცება, გაუმჯობესება და განახლება, ასევე, განათლების მიწოდება ამ სფეროში არსებულ ახალ განვითარებებზე.

[3] ეს არ მოიცავს კურსის წინა მომზადებას, სადილსა და შესვენებებს.

04.12.2018

CEPEJ(2018)24

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ)

მედიაციის განვითარების ინსტრუმენტარიუმი
მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სახელმძღვანელო მითითებების შესრულება მედიაციის შესახებ

ქცევის ევროპული კოდექსი მედიაციის პროვაიდერთათვის

მიღებულია მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) 31-ე პლენარულ სხდომაზე, სტრასბურგში, 2018 წლის 3-4 დეკემბერს

ეს ინსტრუმენტი შემუშავდა 1-ელ პუნქტთან დაკავშირებით – CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების ხელმისაწვდომობა მედიაციის შესახებ.

ქცევის კოდექსი ადგენს მთელ რიგ პრინციპებს, რომლებიც შეიძლება ნებაყოფლობით დაიცვან მედიაციის ცენტრებმა, ინსტიტუტებმა ან სხვა პროვაიდერებმა. მისი გამოყენება შეუძლიათ მედიაციის პროვაიდერებს (ყველა თანამშრომლისა და შვილობილი კომპანიის ჩათვლით), რომლებიც თავიანთ მომსახურებას სთავაზობენ დავის სხვადასხვა სფეროში (მაგ: სამოქალაქო, კომერციული, საოჯახო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეები). ინსტრუმენტი შეესაბამება მედიატორთა ქცევის ევროპულ კოდექსს[1], რომელიც ევროკავშირის ეგიდით შემუშავდა 2004 წელს, და უნდა გამოიყენებოდეს მასთან ერთად, ასევე, CEPEJ-ის რეკომენდაციებთან, სახელმძღვანელო მითითებებსა და სხვა ინსტრუმენტებთან ერთად, რომლებიც მიემართება მედიაციას და დავის ალტერნატიულ მოგვარებას.[2] ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლებს შეუძლიათ, ამ კოდექსის დებულებები ჩართონ მედიაციის ეროვნულ კანონმდებლობაში, როგორც ძირითადი სტანდარტი მედიაციის პროვაიდერებისთვის.

წინამდებარე დოკუმენტის გასაუმჯობესებლად, მედიაციის პროვაიდერებს, რომლებიც იღებენ ამ დოკუმენტის გამოყენების ვალდებულებას, CEPEJ-GT-MED სთავაზობს საკუთარი უკუკავშირის გაგზავნას CEPEJ-ის სამდივნოსთვის.

1. განმარტება

„მედიაციის პროვაიდერი“ - ნებისმიერი საჯარო ან კერძო პირი (მათ შორის, სასამართლოსთან არსებული მედიაციის ინსტიტუტი), რომელიც ადმინისტრირებას უწევს ნებისმიერი პროფესიისა და წოდების მქონე მესამე ნეიტრალური პირის (შემდეგში - მედიატორის) მიერ წარმართულ პროცესს. მედიაციის პროვაიდერი ორგანიზაციის დახმარებით, მედიატორი უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას მხარეებისთვის, დავის მორიგებით დამთავრების თვალსაზრისით.“

2. მომსახურების ხარისხი და კომპეტენტურობა

მედიაციის პროვაიდერებმა უნდა გადადგან ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა მათი მომსახურებები იყოს შესაბამისად ხარისხიანი და კომპეტენტური. ამისათვის მათ უნდა უზრუნველყონ:

a. საკმარისი ფულადი სახსრები, ადმინისტრაციული შესაძლებლობები და აფილირებული მედიატორები შესაბამის მომსახურებათა მისაწოდებლად;
b. შესაბამისობა ყველა რელევანტურ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასა და წესთან;
c. მათი ეგიდით მომუშავე მედიატორთა კვალიფიციურობა მედიაციის პროცესების ხარისხიანად წარმართვაში (რისთვისაც უნდა მიაწოდონ სათანადო საბაზისო და უწყვეტი ტრენინგები დავების მოგვარებასა და მედიაციის მეთოდებში და სათანადოდ გაითვალისწინონ აკრედიტაციის ან/და სერტიფიცირების მოქმედი სქემები ან/და სტანდარტები);
d. მათი ეგიდით მომუშავე მედიატორთა კომპეტენტურობა გარკვეული ტიპის დავების გადაჭრაში, რომლებიც მათ გადაეცემათ;

[1] მედიატორთა ქცევის ევროპულ კოდექსს გაეცნობით შემდეგ ბმულზე: http://ec.europa.eu/civiljustice/adr/adr_ec_code_conduct_en.pdf.

[2] შეგიძლიათ, გაეცნოთ შემდეგ ბმულზე: https://www.coe.int/en/web/cepej/cepej-work/mediation.

e. მედიატორთა შერჩევისა და დანიშვნის გამჭვირვალე, სამართლიანი და ეფექტიანი პროცედურები;
f. მონიტორინგის გამოყენება მედიაციის პროვაიდერისა და მასთან აფილირებული მედიატორების შესაბამისი და ეფექტიანი მუშაობისათვის, საჭიროებისამებრ, კლიენტთა კმაყოფილების კვლევით;
g. სტატისტიკური მონაცემების შეგროვება ძირითადი ინდიკატორების შესახებ;
h. მათი სამდივნოს ან საქმის მართვის სამსახურის თანამშრომელთა სათანადო მომზადება მხარეთა და მედიატორთა დასახმარებლად მედიაციის მთელ პროცესში;
i. მათ მიერ უზრუნველყოფილი შენობა-ნაგებობებისა და სამედიაციო ოთახების ადვილი ხელმისაწვდომობა, შესაბამისად აღჭურვა და კომფორტულობა მედიაციის სხდომების ჩასატარებლად;
j. მხარეთა მარტივი წვდომა მომსახურებებზე, მედიაციის მოთხოვნათა წარდგენა ონლაინ ან კომუნიკაციის ნებისმიერი სათანადო საშუალებით, და მათი მონაწილეობა პროცესში;
k. ხარისხის მართვის შესაბამისი სისტემა, მისი მონიტორინგი და ეფექტიანი გამოყენება.

3. გამჭვირვალობა და კომუნიკაცია

მედიაციის პროვაიდერებს უნდა ჰქონდეთ თანამედროვე და მოხერხებული ვებსაიტი ან/და სხვა საშუალებები, რათა მომხმარებლებს ზუსტი და ადვილად გასაგები ინფორმაცია მიაწოდონ შემდეგ საკითხებზე:

a. პროვაიდერის სახე და ისტორია, ასევე, პარტნიორთა, აფილირებულ პირთა, მენეჯმენტის წარმომადგენელთა და მთავარ დაინტერესებულ მხარეთა სახელები;
b. იმ მედიატორთა სახელები, ზუსტი და განახლებული ბიოგრაფიული მონაცემები და პროფესიული კომპეტენცია, რომლებიც მისი ეგიდით აწვდიან მომსახურებას;
c. მედიაციის პროცესი, წესები და შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც გამოიყენება ამ პროცესში;
d. მომსახურების მისაწოდებლად გამოყენებული მოსაკრებლები და გაანგარიშების კრიტერიუმები და მათი განაწილების პროცედურა მხარეთა შორის;
e. ქცევის კოდექსი, დადასტურებული მედიატორთა მიერ.

მედიაციის პროვაიდერმა არ უნდა გააკეთოს ყალბი, უსამართლო ან შეცდომაში შემყვანი განცხადებები თავის კომუნიკაციებსა ან მარკეტინგულ განცხადებებში, რომლებიც შეეხება მის ან მასთან აფილირებულ მედიატორთა მომსახურებებს.

4. მედიაციის წესები და ეთიკა

მედიაციის პროვაიდერებმა მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსი უნდა გამოიყენონ როგორც მინიმალური სტანდარტი მედიაციის მომსახურებათა მიწოდებისას. მათ უნდა დაიცვან შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დადგენილი წესები და პროცედურებიც, რომლებიც უკავშირდება მათ მუშაობას და სამედიაციო მომსახურების მიწოდებას.

5. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და ნეიტრალობა

მედიაციის პროვაიდერები დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი უნდა იყვნენ ყველა მოდავე პირისა და პრაქტიკოსი იურისტის მიმართ.

მედიაციის ყველა პროცესი უნდა წარიმართოს მიუკერძოებლად, ნეიტრალურად და დამოუკიდებლად.

მედიაციის პროვაიდერს არ შეუძლია თავისი მომსახურებების შეთავაზება სხვა პროფესიულ ან კომერციულ საქმიანობასთან ერთად, რომელიც არ უკავშირდება დავის გადაწყვეტას. მის პერსონალს, მონაცემთა წვდომაზე უფლებამოსილ პირებს, დაინტერესებულ მხარეებსა და აფილირებულ მედიატორებს არ შეუძლიათ მოქმედება ადვოკატების, მრჩევლების კონსულტანტების, ინსტრუქტორების ან მოსამართლეების სახით იმავე დავაში, ერთ-ერთი მხარისთვის დავის დასრულებამდე, ან გონივრული ვადის განმავლობაში დავის დასრულებიდან.

მედიაციის პროვაიდერებმა ასევე უნდა დაიცვან ყველა სხვა შეზღუდვა და პროცედურა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დასაცავად.

6. ინტერესთა კონფლიქტი

მედიაციის პროვაიდერებმა უნდა დაადგინონ პროცედურები პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის აღმოსაჩენად და აღმოსაფხვრელად.

პროვაიდერმა უნდა გაამჟღავნოს ნებისმიერი ფაქტის, ინტერესის ან ურთიერთობის არსებობა, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს მის მიუკერძოებლობასა თუ დამოუკიდებლობაზე, ანდა გონივრულად შექმნას წარმოდგენა, რომ პროვაიდერი მიკერძოებულია ან მოქმედებს რომელიმე მხარის სასარგებლოდ. მათ შორისაა:

a. ნებისმიერი ეკონომიკური ინტერესი ან შემოსავლის წყარო (მაგ: მფლობელობა, სპონსორობა, წლიური შენატანები, დაფინანსება და ა. შ.), რომელიც უკავშირდება ნებისმიერ მხარეს, მათ გაერთიანებებს ან მრჩევლებს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პროვაიდერის მიუკერძოებლობაზე;
b. ნებისმიერი ინტერესი მედიაციის შედეგისადმი;
c. ნებისმიერი ფაქტი ან მხარეებსა და მათ მრჩევლებთან ურთიერთობა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მიუკერძოებლობაზე, ანდა შექმნას მიკერძოებულობის ან ტენდენციურობის შთაბეჭდილება.

7. საჩივრები, დისციპლინური პროცედურები და დავების გადაწყვეტა

მედიაციის პროვაიდერებმა უნდა შექმნან და შეინარჩუნონ საჩივრებისა და დისციპლინირების სამართლიანი და ეფექტიანი მექანიზმები, მედიატორებსა ან მედიაციის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული დავების გადასაჭრელად.

პირველ რიგში, მედიაციის პროვაიდერებმა თავიანთ საქმეებში უნდა დაიცვან დავების მშვიდობიანად (მოლაპარაკებისა და მედიაციის მეშვეობით) გადაწყვეტის პრინციპი.

8. კონფიდენციალურობა

ვინაიდან, ზოგადი სტანდარტის სახით, მედიაციასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია კონფიდენციალურია, პროვაიდერებმა უნდა გადადგან ყველა გონივრული ნაბიჯი კონფიდენციალურობის დასაცავად იმ დონეზე, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისი კანონებითა და წესებით ან/და შეთანხმებულია მხარეთა მიერ.

04.12.2018

CEPEJ (2018)25

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ)

მედიაციის განვითარების ინსტრუმენტარიუმი
მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ)
სახელმძღვანელო მითითებების შესრულება მედიაციის შესახებ

მედიაციის სტანდარტული ფორმები

მიღებულია მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) 31-ე პლენარულ სხდომაზე, სტრასბურგში, 2018 წლის 3-4 დეკემბერს

ეს ინსტრუმენტი შემუშავდა 1-ელ პუნქტთან დაკავშირებით – CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების ხელმისაწვდომობა მედიაციის შესახებ.

შემდეგი ფორმების შემუშავების მიზანია მედიაციის პროვაიდერთა და წევრ სახელმწიფოთა დახმარება მედიაციის სტანდარტული ფორმების შეთავაზებით, რომლებსაც მხარეები გამოიყენებენ მედიაციის პროცესის დაწყებისას, მორიგებისას და უკუკავშირის მიღებისას, ასევე, მხარეთა კმაყოფილების შეფასებისას კითხვარის გამოყენებით. ასევე წარმოდგენილია დავის მედიაციით გადაწყვეტის შესახებ კონტრაქტის დებულების ნიმუში.

სახელები და ცნებები, რომლებიც გამოყენებულია ფორმათა ნიმუშებსა და სხვადასხვა დებულებაში, შეიძლება ადაპტირდეს ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით.

ამ ინსტრუმენტში წარმოდგენილია:

- მედიაციის თაობაზე შეთანხმების ნიმუში
- მედიაციის გზით მორიგებაზე შეთანხმების ნიმუში
- მედიაციაზე უკუკავშირის კითხვარის ნიმუში
- დავის გადაწყვეტის შესახებ კონტრაქტის დებულება

მომავალში ინსტრუმენტი შეიძლება შეივსოს და დაიხვეწოს. წინამდებარე დოკუმენტის გასაუმჯობესებლად, მედიაციის პროვაიდერებს, რომლებიც იღებენ ამ დოკუმენტის გამოყენების ვალდებულებას, CEPEJ-GT-MED სთავაზობს საკუთარი უკუკავშირის გაგზავნას CEPEJ-ის სამდივნოსთვის.

მედიაციის თაობაზე შეთანხმების ნიმუში

წინამდებარე შეთანხმება, რომელიც დათარიღებულია
.....……

იდება

მხარე A-ს,

.....

(*კომპანიის ან პირის სახელწოდება*)…….....

მხარე B-სა

.....

(*კომპანიის ან პირის სახელწოდება*).....

(ერთად მოხსენიებულნი როგორც „**მხარეები**“)

და

მედიატორს/მედიაციის პროვაიდერს[1]

.....

(მედიაციის პროვაიდერის სახელწოდება).....

შორის, მედიაციაზე, რომელიც უნდა განხორციელდეს

(თარიღი და დრო) .....

(ადგილი) .....

(„მედიაცია“)

წინამდებარე შეთანხმების ხელმომწერი მხარეები თანხმდებიან, რომ:[2]

[1] შეთანხმება მედიაციის თაობაზე შეიძლება დაიდოს მხარეებსა და ინდივიდუალურ მედიატორს (ან თანამედიატორს), ან მედიაციის პროვაიდერს შორის, მოქმედი წესების შესაბამისად.

[2] ეს არის დოკუმენტის ნიმუში და, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება დაემატოს სხვა დებულებები, როგორიცაა: მედიაციის ენა (ენები), მედიაციის ჩატარების ადგილი, ადვოკატისა და სხვა მესამე მხარის მონაწილეობა მედიაციაში, პროცესის ვადა და მედიატორისთვის სავალდებულო ეთიკის ნორმები.

მედიაცია

1. მხარეები თანხმდებიან, რომ კეთილსინდისიერად შეეცდებიან თავიანთი დავის გადაწყვეტას მედიაციის გზით. წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, მედიატორი იღებს მედიაციის ჩატარების, ხოლო მხარეები – მასში მონაწილეობის ვალდებულებას.

უფლებამოსილება და სტატუსი

2. პირი, რომელიც ხელს აწერს წინამდებარე შეთანხმებას თითოეული მხარის სახელით, იძლევა გარანტიას, რომ უფლებამოსილია, დაავალდებულოს მხარე და ყველა სხვა პირი, რომლებიც ამ მხარის სახელით არიან ჩართულნი მედიაციის პროცესში [ან მის რომელიმე ნაწილში], რომ შეასრულონ წინამდებარე შეთანხმების პირობები; იგი ასევე უფლებამოსილია, მხარეს დაავალდებულოს ნებისმიერი მორიგების პირობების დაცვა.

3. მედიატორი არ იქნება პასუხისმგებელი მხარეთა წინაშე რაიმე ქმედებასა ან უმოქმედობაზე მედიაციასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღმოჩნდება, რომ ასეთი ქმედება/უმოქმედობა თაღლითურია, ან მოიცავს განზრახ გადაცდომას.

კონფიდენციალურობა და ზიანის მიუყენებლობა

4. მედიაციაში ჩართულმა თითოეულმა პირმა უნდა:

4.1 დაიცვას ყველა იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომლებიც წარმოიშობა მედიაციიდან, ან უკავშირდება მას, მათ შორის, მორიგების პირობები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეები სხვაგვარად არიან შეთანხმებულნი წერილობით (იმ ფაქტის ჩათვლით ან ჩაუთვლელად, რომ მედიაცია შედგა ან შედგება), ანდა გამჟღავნება მოთხოვნილია კანონით, საჭიროა მორიგების განსახორციელებლად ან აღსასრულებლად, ან თავიანთი მზღვეველების, სადაზღვევო ბროკერების ან/და ბუღალტრებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად;

4.2 აღიაროს, რომ ყველა ასეთი ინფორმაცია, რომლებიც გადაეცემათ მხარეებსა და მედიატორს, რა სახითაც უნდა მოხდეს ეს, არ უნდა აზიანებდეს რომელიმე მხარის სამართლებრივ მდგომარეობას და არ უნდა წარედგინოს მტკიცებულებად ან გამჟღავნდეს რომელიმე მოსამართლესთან, არბიტრსა ან გადაწყვეტილების მიმღებ სხვა პირთან რომელიმე სამართლებრივ თუ ფორმალურ პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამას მოითხოვს კანონი.

5. თუ მხარე პირადად გაუმჟღავნებს მედიატორს კონფიდენციალურ ინფორმაციას მედიაციის პროცესის დაწყებამდე, მსვლელობისას, ან მის შემდეგ, მედიატორმა ის არ უნდა გაუმჟღავნოს რომელიმე სხვა მხარეს ან პირს, გამამჟღავნებელი მხარის თანხმობის გარეშე.

6. მხარეებს ესმით, რომ მედიატორი არ იძლევა იურიდიულ ან სხვა პროფესიულ რჩევას, და თანხმდებიან, რომ არ განაცხადებენ რაიმე პრეტენზიას მის მიმართ ამ მედიაციასთან კავშირში. მხარეები არ შეეცდებიან მედიატორის მოწმედ გამოძახებას და არ მოსთხოვენ მას, რომ მედიაციასთან დაკავშირებული რაიმე ჩანაწერი ან შენიშვნა მტკიცებულებად წარმოადგინოს რომელიმე დავაში, ანდა საარბიტრაჟო თუ სხვა ოფიციალურ სამართალწარმოებაში, რომელიც წარმოიქმნება მათი დავის შედეგად, ან მათ დავასა და მედიაციასთან დაკავშირებით; არც მედიატორი დათანხმდება მოწმის, ექსპერტის, არბიტრის ან კონსულტანტის სახით მოქმედებას რომელიმე ასეთ პროცესში. თუ რომელიმე მხარე მაინც გააკეთებს ასეთ განაცხადს, სრულად აუნაზღაურებს მედიატორს

ყველა ხარჯს, რომლებიც გაიღო ამ განაცხადისთვის წინააღმდეგობის გასაწევად ან/და მასზე რეაგირებისათვის, მათ შორის, სტანდარტული საათობრივი ტარიფით აუნაზღაურებს დროს, რომელიც დახარჯა ამ მიზნებით.

მორიგების ფორმალური პროცედურები

7. მედიაციის დროს მიღწეული მორიგების პირობები არ იქნება იურიდიულად სავალდებულო, თუ არ ჩამოყალიბდება წერილობით და ხელს არ მოაწერს თითოეული მხარე ან მათი სახელით მოქმედი პირი.

მედიაციის საფასური და ხარჯები

8. მხარეები პასუხისმგებელნი არიან მედიატორის/მედიაციის პროვაიდერის საფასურისა და ხარჯების ანაზღაურებაზე (შემდგომში „მედიაციის საფასური“), როგორც მითითებულია [მედიატორის საქმიანობის პირობებში], რომელიც მოქმედია წინამდებარე შეთანხმების თარიღით (მათ შორის, დებულებაში დამატებითი საათების შესახებ, თუ მედიაციის პროცესი სცდება გამოყოფილ საათებს).

9. თუ მხარეები და მედიატორი სხვაგვარად არ არიან შეთანხმებულნი წერილობით, თითოეული მხარე თანხმდება, რომ თანაბრად გაიყოფს მედიაციის საფასურს, ასევე, გაიღებს საკუთარი სამართლებრივ თუ სხვა ხარჯებსა და დანახარჯებს, რომლებიც უკავშირდება მედიაციის მომზადებას და მასში მონაწილეობას (შემდგომში „თითოეული მხარის იურიდიული ხარჯები“). თუმცა, თითოეული მხარე ასევე თანხმდება, რომ ნებისმიერ სასამართლოს ან ტრიბუნალს შეუძლია, მედიაციის საფასური და თითოეული მხარის იურიდიული ხარჯები განიხილოს როგორც საქმის ხარჯები, ნებისმიერ სასამართლო ან საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებით, რომელშიც ამ სასამართლოს ან არბიტრაჟს უფლება აქვს, შეაფასოს ხარჯები, ან მიიღოს გადაწყვეტილებები მათზე მიუხედავად იმისა, მოჰყვება თუ არა მედიაციას დავის მორიგება.

მედიაციის სამართლებრივი სტატუსი და შედეგი

10. წინამდებარე შეთანხმება რეგულირდება [წევრი სახელმწიფოს] კანონით და [წევრი სახელმწიფოს] სასამართლოებს აქვთ განსაკუთრებული იურისდიქცია, გადაწყვიტონ ნებისმიერი საკითხი, რომელიც წარმოიქმნება ამ შეთანხმებისა და მედიაციის შედეგად, ან მათთან დაკავშირებით.[3]

11. დავის მედიაციისთვის გადაცემა გავლენას არ ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად არსებულ უფლებებზე და, თუ ის არ გვარდება მედიაციის მეშვეობით, ხელშეუხებელი რჩება მხარეთა უფლება საქმის სამართლიან განხილვაზე.

---

[3] ექვემდებარება აღსრულებადი ავთენტიკური აქტის (*acte authenticique exécutoire*) გამოყენებას, თუ ეს გათვალისწინებული და ნებადართულია შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობით.

წინამდებარე შეთანხმების ცვლილებები
წინამდებარე შეთანხმებისთვის შეთანხმებული ცვლილებები წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელმოწერილი

მხარე A-ს

.....
[მოაწერეთ ხელი და სრულად დაწერეთ სახელი]

მხარე B-ს

.....
[მოაწერეთ ხელი და სრულად დაწერეთ სახელი]

მედიატორის მიერ

.....

მედიაციის გზით მორიგებაზე შეთანხმების ნიმუში[1]

თარიღი .....

მხარეები

მხარე A

.....

(*კომპანიის ან პირის სახელწოდება*).....

მხარე B

.....

(*კომპანიის ან პირის სახელწოდება*).....
(ერთად მოხსენიებული, როგორც „**მხარეები**“)

მხარე C და ა. შ.

ზოგადი ინფორმაცია

- მხარეთა შორის წარმოიშვა დავა შემდეგ საკითხზე [მოკლედ აღწერეთ] (შემდგომში „დავა“)[2], რომელსაც განიხილავს [მიუთითეთ სასამართლო/სამედიატორო სასამართლო] (შემდგომში „სარჩელი“)][3]

- ეს დავა ექვემდებარება მედიაციას (შემდგომში „მედიაცია“), რომელიც ხორციელდება შეთანხმების (შემდგომში „შეთანხმება მედიაციის თაობაზე“) შესაბამისად, მხარეებსა და

  [.....] (შემდგომში „მედიატორი“) შორის;

- მხარეები შეთანხმდნენ, რომ მორიგდნენ ამ დავაში, ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად („შეთანხმება მორიგების შესახებ“);

- [იხილეთ სქოლიო 1 და მიუთითეთ ყველა ძირითადი ფაქტი ან განცხადება]

---

[1] ეს შეთანხმების ნიმუში (და თანდართული განჩინება შეთანხმების დამტკიცების შესახებ) მხოლოდ საინფორმაციოა. მასზე დაფუძნებული ნებისმიერი შეთანხმება უნდა მოერგოს იმ მორიგების კონკრეტულ გარემოებებსა და სამართლებრივ მოთხოვნებს, რომელსაც ის ეხება. შეძლებისდაგვარად, ნებისმიერი ასეთი შეთანხმება უნდა შეადგინოს/დაამტკიცოს თითოეული მხარის ადვოკატმა. მიუხედავად იმისა, რომ მედიატორი შეიძლება დაეხმაროს მხარეებს მისაღები პირობების შემუშავებაში, ის არ აგებს პასუხს ხელშეკრულების შედგენაზე და არ უნდა იყოს მისი მხარე. შეთანხმება არ ათავისუფლებს მხარეებს სპეციალურ ფორმასთან შესაბამისობისგან, რომელსაც ითხოვს ეროვნული კანონმდებლობა, მათ შორის (და არა მხოლოდ), სპეციალური მოთხოვნებისგან ნოტარიულად დამოწმების ან/და გარკვეული სახის ხელშეკრულებათა რეგისტრაციის შესახებ.

[2] მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელი არ არის საქმის ფაქტობრივი მხარის აღწერა, ყველა ფაქტი და განცხადება, რომელთა ჭეშმარიტება მნიშვნელოვანი საფუძველია მორიგების პირობებისთვის, უნდა ჩამოყალიბდეს აქ, რათა აღმოიფხვრას ან მინიმუმამდე შემცირდეს ნებისმიერი შემდგომი ბრალდება შეცდომაში შეყვანის შესახებ.

[3] გამოტოვეთ ეს ფორმულირება და მე-4 პუნქტი, თუ არ მიმდინარეობს სასამართლო ან საარბიტრაჟო წარმოება.

მორიგების შეთანხმების პირობები
მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. A მიაწვდის ..... ……

   B-ს ……

   არაუგვიანეს [თარიღი და დრო].....[4]

2. B გადაუხდის .....A-ს არაუგვიანეს

[თარიღი და დრო] ……

პირდაპირი საბანკო გადარიცხვით

[ბანკის კოდი]…….....

[ანგარიშის ნომერი]……

3. [*ნებისმიერი სხვა პირობა*] .....

4.
   a. სარჩელის განხილვა შეჩერდება და მხარეები გამოთქვამენ თანხმობას განჩინების გამოცემაზე, თანდართული განჩინების პირობებით [*იხილეთ განჩინების თანდართული ფორმა*[5]].

   b. **ან** [A/B] შეწყვეტს სარჩელს იმ პირობით, რომ [B/A] აიღებს ვალდებულებას, არ მოსთხოვოს [A/B]-ს მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის ხარჯების ანაზღაურება.

   c. **ან** გადაწყვეტილება მიიღება [A/B]-ის სასარგებლოდ, მის [შესაგებელ] სარჩელზე, იმის მითითებით, რომ [B/A] აუნაზღაურებს [A/B]-ს ხარჯებს სტანდარტულად/კომპენსაციის საფუძველზე, რაც ექვემდებარება დეტალურ შეფასებას, თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა.

   d. **ან** სარჩელი უარყოფილი იქნება ხარჯების განსაზღვრის გარეშე.

5. წინამდებარე შეთანხმება სრულად და საბოლოოდ წყვეტს სარჩელის ყველა საფუძველს, რომლებიც მხარეებს [და მხარეთა ნებისმიერ ფილიალს]

   ……
   აქვთ ერთმანეთის წინააღმდეგ [*მნიშვნელოვანია, ასეთი დებულება შევიდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ზედმიწევნით შემოწმდება, ხომ არ არსებობს მხარეთა შორის სარჩელის სხვა შესაძლო მნიშვნელოვანი საფუძვლები, რომლებიც შეიძლება უსაფრთხოდ გადაიჭრას (ან არ უნდა გადაიჭრას) ამ გზით*].

---

[4] მიუთითეთ შეძლებისდაგვარად ზუსტად (მაგ: როგორ, როდისთვის და ა. შ.).

[5] ეს მორიგების ყველაზე გავრცელებული მეთოდია, როდესაც სასამართლო წარმოება უკვე მიმდინარეობს: სასამართლო წარმოების შემთხვევაში, მორიგების შეთანხმება მოქმედებს როგორც კონტრაქტი, რომელსაც აქვს სარჩელის ძალა, თუ მას ყველა მხარე მიიჩნევს იურიდიულად აღსრულებად დოკუმენტად. თუ დავა ტრანსსასაზღვროა და ყველა მხარე თანახმაა, სასამართლოში შეიძლება შეიტანონ განცხადება და მოითხოვონ მედიაციის გზით მორიგების სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

6. წინამდებარე შეთანხმება ანაცვლებს მხარეთა შორის არსებულ ყველა წინა შეთანხმებას [დავის ყველა საკითხთან მიმართებით], გარდა მედიაციის თაობაზე შეთანხმების პირობებისა, რომლებიც მუდმივად ძალაში რჩება. მათ შორისაა: მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა, მხარეთა ვალდებულება, არ გამოიძახონ მედიატორი ჩვენების მისაცემად და მედიატორის პასუხისმგებლობა.[6]

7. თუ რაიმე დავა წარმოიქმნება წინამდებარე შეთანხმებიდან, მის მოგვარებას მხარეები შეეცდებიან მედიაციის გზით, სანამ მიმართავენ დავის გადაწყვეტის რომელიმე სხვა საშუალებას. ასეთი მედიაციის დასაწყებად, მხარემ მედიატორს უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება. შეძლებისდაგვარად, მედიაციის თაობაზე შეთანხმების პირობები გავრცელდება ნებისმიერ ასეთ მედიაციაზე შემდგომში. თუ ამ დავის იურიდიულად სავალდებულო გადაწყვეტა ვერ მოხერხდება მედიატორისთვის შეტყობინებიდან [28] დღის ვადაში, ნებისმიერ მხარეს შეუძლია [დაიწყოს სამართალწარმოება/დავა გადასცეს არბიტრაჟს].

8. მხარეები დაიცავენ კონფიდენციალურობას და არ გამოიყენებენ წინამდებარე შეთანხმების პირობებს რაიმეს უზრუნველყოფის საგნად ან ფარული მიზნებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს აუცილებელია მისი რომელიმე პირობის შესასრულებლად და დასაცავად, ანდა მხარეების სხვაგვარად აქვთ შეთანხმებული წერილობით.

9. წინამდებარე შეთანხმება რეგულირდება, განიმარტება და ძალაში შევა [წევრი სახელმწიფოს] კანონმდებლობის შესაბამისად. [წევრი სახელმწიფოს] სასამართლოებს აქვთ ექსკლუზიური იურისდიქცია, რომ განიხილონ ნებისმიერი სარჩელი, დავა ან უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე შეთანხმების შედეგად, ან მასთან კავშირში.[7]

ხელმოწერილი

.....

ვისთვის ან ვისი სახელით[8] .....

.....

ვისთვის ან ვისი სახელით[9] .....

[6] საჭიროა მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს წინა შეთანხმებები.

[7] ჩვეულებრივ, ეს აუცილებელი არ არის, თუ მხარეები ერთსა და იმავე ქვეყანაში იმყოფებიან და შეთანხმების საგანი ეხება ერთ ქვეყანას.

[8] არ არის აუცილებელი, თუ დოკუმენტზე ხელმომწერი მხარე ფიზიკური პირია.

[9] არ არის აუცილებელი, თუ დოკუმენტზე ხელმომწერი მხარე ფიზიკური პირია.

მედიაციაზე უკუკავშირის კითხვარის ნიმუში

ძვირფასო მომხმარებელო,

ეს კითხვარი შემუშავდა ჩვენი სამედიაციო მომსახურებების ეფექტიანობის შესაფასებლად. გვსურს თქვენი შეხედულებების მოსმენა და ძალიან მადლობელნი ვიქნებით, თუ დაგვეხმარებით ქვემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემით. ყველა პასუხი კონფიდენციალურია, ჩვენ კი დაგვეხმარება, რომ მომსახურება გავაუმჯობესოთ ყველა მომხმარებლისთვის.

1. რა როლი გქონდათ ამ საქმეში:
   - ☐ [მოსარჩელე] - მე წარვადგინე საქმე სასამართლოში
   - ☐ [მოპასუხე] - საქმე წარდგენილი იყო ჩემ წინააღმდეგ
   - ☐ [მოსარჩელის] ადვოკატი
   - ☐ [მოპასუხის] ადვოკატი
   - ☐ სხვა (გთხოვთ, დააკონკრეტოთ):

2. როგორ გაიგეთ მედიაციის მომსახურების შესახებ?
   - ☐ ჩემი ადვოკატისგან
   - ☐ მოსამართლის ან სასამართლოს თანამშრომლისგან
   - ☐ დავის სხვა მხარისგან
   - ☐ ბროშურიდან ან პლაკატიდან
   - ☐ იურიდიული კონსულტაციის ცენტრიდან
   - ☐ სატელევიზიო, რადიო ან სოციალური ქსელების რეკლამებიდან
   - ☐ მეგობრისა ან ნათესავისგან
   - ☐ სხვა (გთხოვთ, დააკონკრეტოთ):

3. რამდენად კმაყოფილი ან უკმაყოფილო ხართ მედიატორთან შეხების/მედიაციის მომსახურების შემდეგი ასპექტებით?

	ძალიან კმაყოფილი	კმაყოფილი	არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილო	უკმაყოფილო	ძალიან უკმაყოფილო
მიღებული წერილობითი ინფორმაცია მომსახურების შესახებ					
რამდენად მარტივი იყო სამსახურთან დაკავშირება					
განმარტება, თუ როგორ დამეხმარება მომსახურება					
მედიატორის დახმარება მედიაციის ორგანიზებაში					

4. რამდენად კმაყოფილი ხართ მედიაციის შემდეგი ასპექტებით?

	ძალიან კმაყოფილი	კმაყოფილი	არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილო	უკმაყოფილო	ძალიან უკმაყოფილო

თქვენი შესაძლებლობა, მიიღოთ მონაწილეობა და გამოთქვათ მოსაზრებები					
მედიაციისთვის დაშვებული დრო					
მედიატორის პროფესიონალიზმი					
მედიაციის ჩატარების საშუალებები					

5. მორიგდა თუ არა საქმე მედიაციის შედეგად?
   - ☐ დიახ - მიღწეულია სრული მორიგება.
   - ☐ არა - მორიგება ვერ შედგა
   - ☐ ნაწილობრივ - მორიგება შედგა ზოგიერთ საკითხზე

6. ხომ არ გქონიათ სირთულეები სამედიაციო მორიგების აღსრულებაში?
   - ☐ დიახ
   - ☐ არა
   - ☐ არ ვიცი (ან არ აღსრულებულა ჯერ)

7. ხართ თუ არა მზად, რომ ისევ მიმართოთ მედიაციას?
   - ☐ დიახ
   - ☐ არა
   - ☐ არ ვიცი

8. ხომ არ გააკეთებდით რაიმე სხვა კომენტარს მედიაციის მომსახურებასთან დაკავშირებით?

   ……..

   ……..

9. ეს დაგვეხმარება დამატებითი ინფორმაციის მიღებაში თქვენ შესახებ, მრავალფეროვნებაზე მონიტორინგის მიზნით. ყველა ინფორმაცია კონფიდენციალურია.

[საჭიროებისამებრ, შეიტანეთ კითხვები ინფორმაციის შესაგროვებლად კლიენტის სქესის, ასაკის, განათლების, ეთნიკური წარმომავლობისა და შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ].

10. გმადლობთ კვლევაში მონაწილეობისათვის. თქვენი შეხედულებები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მიღებულ პასუხებს გავაანალიზებთ და გამოვიყენებთ საუკეთესო პრაქტიკის განვითარებისათვის ყველა სფეროში, ასევე, ჩვენი მომსახურების გასაუმჯობესებლად ყველა მომხმარებლისთვის.

11.11.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისათვის.

მედიაციის შესახებ კონტრაქტის დებულების ნიმუში

მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა დავა, უთანხმოება ან მოთხოვნა, რომელიც წარმოიშობა ამ კონტრაქტიდან ან უკავშირდება მას, წარედგინება მედიაციას, რათა საკითხი მშვიდობიანი გზით გადაიჭრას მედიატორის დახმარებით. ნებისმიერ მხარეს შეუძლია მედიაციის ინიციირება მეორე მხარისთვის წერილობითი მოთხოვნის წარდგენით (შემდგომში „მედიაციის მოთხოვნა“), რომელშიც მითითებულია დავის საგანი და მოთხოვნილი დახმარება და შეთავაზებულია მედიატორი ან მედიაციის პროვაიდერი.

მხარეები ერთობლივად შეთანხმდებიან აღიარებულ მედიატორსა ან მედიაციის პროვაიდერზე. თუ მედიაციის მოთხოვნის წარდგენიდან 15 დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან ამ საკითხზე, ნებისმიერ მხარეს შეუძლია, წარუდგინოს მოთხოვნა [მედიაციის კონკრეტულ პროვაიდერს ან მედიაციის წარმომადგენლობით ორგანოს წევრ სახელმწიფოში] აღიარებული მედიატორის დასანიშნად.

მედიაცია ჩატარდება კონფიდენციალურ საფუძველზე და ზიანის მიყენების გარეშე; თითოეული მხარე თანაბარი წილით გადაიხდის მედიაციის საფასურს და დაფარავს საკუთარ ხარჯებს.

პროცესში გამოყენებული იქნება მედიაციის მოქმედი წესები, რომლებიც დადგენილია შეთანხმებული მედიატორის ან მედიაციის პროვაიდერის მიერ.

თუ დავა ვერ მოგვარდება 90 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მედიაციის მოთხოვნა გაეგზავნება მეორე მხარეს, ან სხვა ვადაში, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან მედიაციის პროცესში, დავა გადაეცემა კომპეტენტურ სასამართლოს.[21]

[21] სასამართლოსთვის მიმართვის ნაცვლად, შეიძლება შევიდეს დებულება კომერციული არბიტრაჟის შესახებ.

04.12.2018

CEPEJ(2018)23

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ)

მედიაციის განვითარების ინსტრუმენტარიუმი
მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სახელმძღვანელო მითითებების შესრულება მედიაციის შესახებ

შესრულების ძირითადი ინდიკატორების საბაზისო ბადე

(მედიაციის საბაზისო სტატისტიკა)

განკუთვნილია მედიაციის პროვაიდერების, ასოციაციების, ინსტიტუტების ან/და ფედერაციების, ინდივიდუალური მედიატორებისა და ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის

მიღებულია მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) 31-ე პლენარულ სხდომაზე, სტრასბურგში, 2018 წლის 3-4 დეკემბერს

ეს ინსტრუმენტი შემუშავდა მედიაციის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების 1-3 პუნქტებთან დაკავშირებით.

CEPEJ-ის მიერ 2017 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მედიაციის სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდება შესრულების ძირითადი ინდიკატორების აღრიცხვითა და გაზომვით. ზოგ წევრ სახელმწიფოში ასეთი სტატისტიკა საერთოდ არ იწარმოება ეროვნულ დონეზე.

შესრულების ინდიკატორთა ერთგვაროვანი ჩანაწერების წარმოება წევრ სახელმწიფოებს ეხმარება მედიაციის სისტემებზე მონიტორინგში და, შესაბამისად, უკეთესად უწყობს ხელს პროგრესს მომავალი პოლიტიკის შემუშავებაში.

ამიტომ, აღნიშნული საბაზისო ბადის შემუშავების მიზანია, გაუმჯობესდეს მედიაციის სისტემათა მუშაობის გაზომვა. ამასთანავე, ინსტრუმენტი იძლევა საშუალებას, რომ ჩატარდეს ასეთ სისტემათა ეფექტიანობის შედარებითი ანალიზი სხვადასხვა წევრ სახელმწიფოს შორის.

ბადის გამოყენების განმარტებითი ბარათი

საქმეთა ტიპები და სხვა ინდიკატორები შეიძლება მოერგოს ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკას. თუმცა, სხვადასხვა წევრ სახელმწიფოს შორის შედარებითი ანალიზის ჩასატარებლად, რეკომენდებულია სტატისტიკის წარმოება ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მთავარი ინდიკატორების ამოკრება ქვემოთ წარმოდგენილი ბადის შესაბამისად.

ბადე გვიჩვენებს მხოლოდ საბაზისო სტატისტიკას. მედიაციის პროვაიდერები, ასოციაციები, ინსტიტუტები ან/და ფედერაციები, ინდივიდუალური მედიატორები და წევრი სახელმწიფოები შეიძლება აგროვებდნენ და აფასებდნენ მონაცემებს, რომლებიც ასახავს შესრულების სხვა ინდიკატორებს, მიზანშეწონილს და სასარგებლოს მათი კონკრეტული მიზნებისთვის.

თუ შესაძლებელია, სტატისტიკური მონაცემები უნდა შეგროვდეს და შეფასდეს უფრო ხშირად, და არა წელიწადში ერთხელ.

იმისათვის, რომ დაჩქარდეს და გაიზარდოს მედიაციის სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა-გაანალიზების ეფექტიანობა, რეკომენდებულია ინფორმაციული და ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება.

ნებისმიერ შემთხვევაში, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი არ უნდა არღვევდეს კონფიდენციალურობის პრინციპს, რომელიც ფუნდამენტურია მედიაციის სისტემაში.

_____წელი

1. მედიაციის პროცესების რაოდენობა

რაოდენობა	დავა					
	სამოქალაქო და კომერციული	საოჯახო	სისხლის სამართლის	ადმინისტრაციული	შრომითი	სამომხმარებლო
a) სულ მცირე, ერთი მხარის მიერ წარდგენილი განაცხადების ან მოთხოვნების რაოდენობა მედიაციის შესახებ, ან იმ საქმეთა რაოდენობა, რომლებიც მედიაციას გადასცეს სასამართლოებმა/სხვა ინსტიტუტებმა/მოხელეებმა	NA NAP	NA NAP	სრულწლოვანი NA NAP არასრულწლოვნები NA NAP სულ NA NAP	NA NAP	NA NAP	NA NAP
b) გაცნობითი საინფორმაციო სესიების ან შეხვედრების რაოდენობა, რომლებზეც მხარეებს მიეწოდებათ ინფორმაცია მედიაციის შესახებ	NA NAP	NA NAP	სრულწლოვანი NA NAP არასრულწლოვნები NA NAP სულ NA NAP	NA NAP	NA NAP	NA NAP
c) მედიაციების რაოდენობა ყველა მხარის მონაწილეობით	NA NAP	NA NAP	სრულწლოვანი NA NAP არასრულწლოვნები NA NAP სულ NA NAP	NA NAP	NA NAP	NA NAP
d) სრულად ან ნაწილობრივ მორიგებული მედიაციების რაოდენობა	NA NAP	NA NAP	სრულწლოვანი NA NAP არასრულწლოვნები NA NAP სულ NA NAP	NA NAP	NA NAP	NA NAP

2) მედიაციისთვის მიმართვისა (1c) და მორიგების (1d) ტიპები დავების მიხედვით

მედიაცია სამოქალაქო და კომერციულ დავებში

დახმარებისთვის მიმართვის ტიპები	*(x) მედიაციის პროცესების რაოდენობა*	*(y) ნაწილობრივ ან სრულად მორიგებული მედიაციების რაოდენობა*	*მორიგების კოეფიციენტი (y/x %)*
a) მოთხოვნილი კანონით, როგორც სასამართლოზე წვდომის წინაპირობა	NA NAP	NA NAP	
b) სასამართლო მედიაცია, გადაცემული ან დადგენილი მოსამართლის ან პროკურორის მიერ, სასამართლო წარმოებისას	NA NAP	NA NAP	
c) ნებაყოფლობითი მედიაცია მედიაციის თაობაზე შეთანხმებით, დავის წარმოშობის შემდეგ	NA NAP	NA NAP	
d) ნებაყოფლობითი მედიაცია კონტრაქტის დებულებით, რომელიც ხელმოწერილია დავის წარმოშობამდე	NA NAP	NA NAP	
სულ	*უდრის 1c*	*უდრის 1d*	

მედიაცია ოჯახურ დავებში

დახმარებისთვის მიმართვის ტიპები	**(x) მედიაციის პროცესების რაოდენობა**	**(y) ნაწილობრივ ან სრულად მორიგებული მედიაციების რაოდენობა**	**მორიგების კოეფიციენტი (y/x %)**
a) მოთხოვნილი კანონით, როგორც სასამართლოზე წვდომის წინაპირობა	NA NAP	NA NAP	
b) სასამართლო მედიაცია, გადაცემული ან დადგენილი მოსამართლის ან პროკურორის მიერ, სასამართლო წარმოებისას	NA NAP	NA NAP	

c) ნებაყოფლობითი მედიაცია მედიაციის თაობაზე შეთანხმებით, დავის წარმოშობის შემდეგ	NA NAP	NA NAP	
d) ნებაყოფლობითი მედიაცია კონტრაქტის დებულებით, რომელიც ხელმოწერილია დავის წარმოშობამდე	NA NAP	NA NAP	
სულ	*უდრის 1c*	*უდრის 1d*	

მედიაცია სრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებში

დახმარებისთვის მიმართვის ტიპები	**(x) მედიაციის პროცესების რაოდენობა**	**(y) ნაწილობრივ ან სრულად მორიგებული მედიაციების რაოდენობა**	**მორიგების კოეფიციენტი (y/x %)**
a) მოთხოვნილი კანონით, როგორც სასამართლოზე წვდომის წინაპირობა	NA NAP	NA NAP	
b) სასამართლო მედიაცია, გადაცემული ან დადგენილი მოსამართლის ან პროკურორის მიერ, სასამართლო წარმოებისას	NA NAP	NA NAP	
c) ნებაყოფლობითი მედიაცია მედიაციის თაობაზე შეთანხმებით, დავის წარმოშობის შემდეგ	NA NAP	NA NAP	
d) ნებაყოფლობითი მედიაცია კონტრაქტის დებულებით, რომელიც ხელმოწერილია დავის წარმოშობამდე	☐ ☐ NA NAP	☐ ☐ NA NAP	
სულ	*უდრის 1c*	*უდრის 1d*	

მედიაცია არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებში

დახმარებისთვის მიმართვის ტიპები	**(x) მედიაციის პროცესების რაოდენობა**	**(y) ნაწილობრივ ან სრულად მორიგებული მედიაციების რაოდენობა**	**მორიგების კოეფიციენტი (y/x %)**

a) მოთხოვნილი კანონით, როგორც სასამართლოზე წვდომის წინაპირობა	NA NAP	NA NAP	
b) სასამართლო მედიაცია, გადაცემული ან დადგენილი მოსამართლის ან პროკურორის მიერ, სასამართლო წარმოებისას	NA NAP	NA NAP	
c) ნებაყოფლობითი მედიაცია მედიაციის თაობაზე შეთანხმებით, დავის წარმოშობის შემდეგ	NA NAP	NA NAP	
d) ნებაყოფლობითი მედიაცია კონტრაქტის დებულებით, რომელიც ხელმოწერილია დავის წარმოშობამდე	NA NAP	NA NAP	
სულ	*უდრის 1c*	*უდრის 1d*	

მედიაცია ადმინისტრაციული საქმეებში

დახმარებისთვის მიმართვის ტიპები	**(x) მედიაციის პროცესების რაოდენობა**	**(y) ნაწილობრივ ან სრულად მორიგებული მედიაციების რაოდენობა**	**მორიგების კოეფიციენტი (y/x %)**
a) მოთხოვნილი კანონით, როგორც სასამართლოზე წვდომის წინაპირობა	NA NAP	NA NAP	
b) სასამართლო მედიაცია, გადაცემული ან დადგენილი მოსამართლის ან პროკურორის მიერ, სასამართლო წარმოებისას	NA NAP	NA NAP	
c) ნებაყოფლობითი მედიაცია მედიაციის თაობაზე შეთანხმებით, დავის წარმოშობის შემდეგ	NA NAP	NA NAP	
d) ნებაყოფლობითი მედიაცია კონტრაქტის დებულებით, რომელიც ხელმოწერილია დავის წარმოშობამდე	NA NAP	NA NAP	
სულ	*უდრის 1c*	*უდრის 1d*	

მედიაცია შრომითი დავის საქმეებში

დახმარებისთვის მიმართვის ტიპები	**(x) მედიაციის პროცესების რაოდენობა**	**(y) ნაწილობრივ ან სრულად მორიგებული მედიაციების რაოდენობა**	**მორიგების კოეფიციენტი (y/x %)**
a) მოთხოვნილი კანონით, როგორც სასამართლოზე წვდომის წინაპირობა	NA NAP	NA NAP	
b) სასამართლო მედიაცია, გადაცემული ან დადგენილი მოსამართლის ან პროკურორის მიერ, სასამართლო წარმოებისას	NA NAP	NA NAP	
c) ნებაყოფლობითი მედიაცია მედიაციის თაობაზე შეთანხმებით, დავის წარმოშობის შემდეგ	NA NAP	NA NAP	
d) ნებაყოფლობითი მედიაცია კონტრაქტის დებულებით, რომელიც ხელმოწერილია დავის წარმოშობამდე	NA NAP	NA NAP	
სულ	*უდრის 1c*	*უდრის 1d*	

მედიაცია სამომხმარებლო დავებში

დახმარებისთვის მიმართვის ტიპები	**(x) მედიაციის პროცესების რაოდენობა**	**(y) ნაწილობრივ ან სრულად მორიგებული მედიაციების რაოდენობა** **მორიგებული**	**მორიგების** **კოეფიციენტი (y/x %)**
a) მოთხოვნილი კანონით, როგორც სასამართლოზე წვდომის წინაპირობა	NA ☐ ☒NAP	NA ☐ ☒NAP	
b) სასამართლო მედიაცია, გადაცემული ან დადგენილი მოსამართლის ან პროკურორის მიერ, სასამართლო წარმოებისას	NA NAP	NA NAP	
c) ნებაყოფლობითი მედიაცია მედიაციის თაობაზე შეთანხმებით, დავის			

წარმოშობის შემდეგ	NA NAP	NA NAP	
d) ნებაყოფლობითი მედიაცია კონტრაქტის დებულებით, რომელიც ხელმოწერილია დავის წარმოშობამდე	NA NAP	NA NAP	
სულ	*უდრის 1c*	*უდრის 1d*	

შენიშვნა: მედიაციის პროცესის თითოეული ჯგუფი შეიძლება ჩაიშალოს კონკრეტული სადავო საკითხების (მაგ: ქირავნობა, საბანკო საქმე, განქორწინება, ტელეკომუნიკაცია და ა. შ.), დავების მნიშვნელობის ან/და სხვა შესაბამისი პარამეტრების მიხედვით

3) თანაფარდობა მედიაციებსა და სასამართლო წარმოებით განსახილველ საქმეებს შორის პირველი ინსტანციის სასამართლოში, სადავო საკითხების მიხედვით (*გამოითვლება წევრი სახელმწიფოების მიერ*)

დავა	**(x) მედიაციის სრული პროცესების რაოდენობა (1c)**	**(y) პირველი ინსტანციის სასამართლოში შემომავალი საქმეების რაოდენობა**	**ბალანსის თანაფარდობა კოეფიციენტი (y/x %)**
a) სამოქალაქო და კომერციული			
b) საოჯახო			
c) ადმინისტრაციული			
d) შრომითი			
e) სამომხმარებლო			
f) სისხლის სამართლის	სრულწლოვანი არასრულწლოვნები	სრულწლოვანი არასრულწლოვნები	სრულწლოვანი არასრულწლოვნები

4) მედიატორთა რაოდენობა და კვალიფიკაციები[1]

კვალიფიკაციები	**აკრედიტებულ ი მედიატორები**	**არააკრედიტებული პროფესიონალები, რომლებიც მოქმედებენ მედიატორების სახით**

a) სასამართლოში წარმომადგენელი ან სხვა ადვოკატები	NA NAP	NA NAP
b) ნოტარიუსები	NA NAP	NA NAP
c) აღმასრულებელი აგენტები/ოფიცრები	NA NAP	NA NAP
d) მოსამართლეები	NA NAP	NA NAP
e) ფსიქოლოგები	NA NAP	NA NAP
f) სხვა[2]	NA NAP	NA NAP
სულ		

[1] ქსელის ეფექტიანობაზე მონიტორინგისთვის, რეკომენდებულია მედიატორთა და მედიაციის პროვაიდერთა რაოდენობის ჩაშლა ქვეყნის ქალაქებისა და რეგიონების მიხედვით.

[2] გთხოვთ, დააკონკრეტოთ.

5) მედიატორთა სპეციალიზაცია

სპეციალიზაცია დავის საქმეებში	აკრედიტებულ მედიატორთა რაოდენობა	არააკრედიტებული პროფესიონალები, რომლებიც მოქმედებენ მედიატორების სახით
a) სამოქალაქო და კომერციული	NA NAP	NA NAP
b) საოჯახო	NA NAP	NA NAP
c) ადმინისტრაციული	NA NAP	NA NAP
d) შრომითი	NA NAP	NA NAP
e) სამომხმარებლო	NA NAP	NA NAP
f) სისხლის სამართლის	სრულწლოვანი NA NAP არასრულწლოვნები NA NAP	სრულწლოვანი NA NAP არასრულწლოვნებ NA NAP

6) მედიაციის პროვაიდერთა რაოდენობა, კუთვნილების ტიპი და სპეციალიზაცია

კუთვნილების ტიპი	სპეციალიზაცია დავის საქმეებში					
	სამოქალაქო და კომერციული	ოჯახური	სისხლის სამართლის	ადმინისტრაციული	შრომითი	სამომხმარებლო
a) კერძო	NA NAP	NA NAP	სრულწლოვანი NA NAP არასრულწლოვნები NA NAP სულ NA NAP	NA NAP	NA NAP	NA NAP

b) სასამართლო	NA NAP	NA NAP	სრულწლოვანი NA NAP არასრულწლოვნები NA NAP სულ NA NAP	NA NAP	NA NAP	NA NAP
c) სავაჭრო პალატა	NA NAP	NA NAP	სრულწლოვანი NA NAP არასრულწლოვნები NA NAP სულ NA NAP	NA NAP	NA NAP	NA NAP
d)ადვოკატთა ასოციაციები	NA NAP	NA NAP	სრულწლოვანი NA NAP არასრულწლოვნები NA NAP სულ NA NAP	NA NAP	NA NAP	NA NAP

e)სახელმწიფო ან მუნიციპალი ტეტები	NA NAP	NA NAP	სრულწლოვანი NA NAP არასრულწლოვნები NA NAP სულ NA NAP	NA NAP	NA NAP	NA NAP
f) სხვა[3]	NA NAP	NA NAP	სრულწლოვანი NA NAP არასრულწლოვნები NA NAP სულ NA NAP	NA NAP	NA NAP	NA NAP
სულ			სრულწლოვანი NA NAP არასრულწლოვნები NA NAP სულ NA NAP			

[3] გთხოვთ, დააკონკრეტოთ.

CEPEJ(2018)7

27.06.2018

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ)

მედიაციის განვითარების ინსტრუმენტარიუმი
მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სახელმძღვანელო მითითებების შესრულება მედიაციის შესახებ

ხშირად დასმული კითხვები მედიაციის შესახებ:

გზამკვლევი მოსამართლეების, სასამართლოთა არამოსამართლე პერსონალის, მედიატორების, მედიაციის სამსახურების, იურიდიული და სხვა პროფესიის წარმომადგენლების, მედიაციის მხარეებისა და მისი მომხმარებლებისთვის

ორი ათწლეული გავიდა მას შემდეგ, რაც ევროპის საბჭომ მიიღო მთელი რიგი სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომელთა მიზანია მედიაციისა და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის (ADR) სხვა ფორმების განვითარება სამოქალაქო, საოჯახო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ საქმეებში[1], და ერთი ათწლეული მიილია სახელმძღვანელო მითითებების მიღებიდან.[2]

ასევე თითქმის ორი ათწლეული გავიდა მას შემდეგ, რაც წევრ სახელმწიფოთა უმეტესობამ ეროვნულ კანონმდებლობაში შეიტანა დებულებები, რომელთა მიზანიც არის მედიაციისთვის გადაცემის პრაქტიკის განვითარება სამოქალაქო საქმეებში. ამრიგად, ახლა შეიძლება ითქვას, რომ დავის მედიაციაზე გადაცემა სამოქალაქო საქმეთა მოსამართლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა.

თუმცა, ყველა წევრი სახელმწიფოს გათვალისწინებით, პროგრესი ამ კუთხით მცირეა: მედიაციისთვის გადაცემული დავების რაოდენობა უმნიშვნელოა და შეადგენს სამოქალაქო სასამართლოში შესულ საქმეთა 0,1-1%-ს.

ამ სიტუაციაში მეტად დაზარალებულები არიან მხარეები, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება, კერძოდ, ის პირები და კომპანიები, რომლებისთვისაც მედიაცია ყველაზე ხელსაყრელი იქნებოდა. უმეტეს შემთხვევაში, მათ მედიაციაზე (როგორც სასამართლო პროცესის ალტერნატივაზე) წვდომა არ აქვთ მხოლოდ იმიტომ, რომ მედიაციას არ ახსენებს, წარადგენს ან ურჩევს მოსამართლე სასამართლო წარმოების სხვადასხვა ეტაპზე. მათი ადვოკატებიც თითქმის არაფერს ამბობენ ამ პროცედურის შესახებ.

სამოქალაქო საქმეებში სასამართლო მედიაციის ეფექტიანი განვითარება მოითხოვს ერთიან, სისტემურ და პრაგმატულ მიდგომას მისი განხორციელებით დაინტერესებული ყველა პირის მხრიდან. ეს მიდგომა შეესაბამება CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებებში წარმოდგენილ კონკრეტულ რეკომენდაციებს. თუმცა, წევრი სახელმწიფოები მხოლოდ მაშინ შეძლებენ რეალური პროგრესის მიღწევას ამ სფეროში, როდესაც ექნებათ პოლიტიკური ნება, ხელი შეუწყონ სასამართლო მედიაციის განვითარებას.

ამ კონტექსტში, წინამდებარე გზამკვლევი შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც მოსამართლეებისა და სასამართლოს არამოსამართლე პერსონალის მხარდაჭერის საშუალება, ასევე, დამატებითი საშუალება საწყის თუ უწყვეტ ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებსა და ტრენინგებში (რომლებიც შეეხება საქმის მედიაციისთვის გადაცემას) და სასამართლო მედიატორთა საქმიანობის პროცესში. იმისათვის, რომ მედიაცია იყოს ეფექტიანი პროცესი, ასეთი მომზადება სავალდებულო უნდა გახდეს. იგივე უნდა გავრცელდეს იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებზეც. ამ გზამკვლევის გამოყენება შეიძლება ყველა იმ მხარის დასახმარებლადაც, რომლებიც ჩართულნი არიან აუცილებელ თანამშრომლობაში სასამართლო ორგანოებს, ადვოკატთა ასოციაციებს, სხვა იურიდიულ პროფესიონალთა საზოგადოებებს, მედიაციის ასოციაციებსა და მედიაციის სამსახურებს შორის, სასამართლოებში საპილოტე მედიაციის პრაქტიკის დანერგვისას (მაგ: მედიაციის საინფორმაციო ცენტრები). ასეთმა საპილოტე პრაქტიკამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააძლიეროს მოსამართლეებისა და სასამართლოს არამოსამართლე პერსონალის მიერ საქმის მედიაციაზე გადაცემის შემდგომი ქმედებები.

---

[1] რეკომენდაცია (98) 1 საოჯახო მედიაციის შესახებ, რეკომენდაცია (99) 19 სისხლის სამართლის საქმეებში მედიაციის შესახებ, რეკომენდაცია (2001) 9 ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო მხარეებს შორის სასამართლო დავის ალტერნატივების შესახებ და რეკომენდაცია (2002) 10 სამოქალაქო საქმეებში მედიაციის შესახებ.

[2] CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებები *სისხლის სამართლის საქმეებში მედიაციის შესახებ* (CEPEJ(2007)13), *საოჯახო და სამოქალაქო საქმეებში მედიაციის შესახებ* (CEPEJ(2007)14) და *ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო მხარეებს შორის სასამართლო დავის ალტერნატივების შესახებ* (CEPEJ(2007)15).

ეს გზამკვლევი მიჰყვება ევროპის საბჭოს ზემოაღნიშნულ სამართლებრივ ინსტრუმენტთა ძირითად მიდგომებს, თუმცა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო და საოჯახო დავებზე. შესაბამისად, ხშირად დასმული კითხვები შემოსაზღვრულია ამ თემით, მაგრამ როგორც ნიმუში, ისინი შეიძლება დახვეწონ ცალკეულმა წევრმა სახელმწიფოებმა და მოარგონ ეროვნულ გარემოებებს, მაგალითად, ხარჯებისა და იურიდიული დახმარების (FAQ 9) ან ოფიციალური რეესტრებისა თუ სერტიფიცირებულ მედიატორთა სიების (FAQ 10) საკითხებში.

გზამკვლევი შემუშავდა მე-3 პუნქტთან დაკავშირებით: ინფორმირებულობა მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სახელმძღვანელო მითითებებზე მედიაციის შესახებ.

1. რა არის მედიაცია?

მედიაცია, უპირველეს ყოვლისა, მენტალიტეტია. ეს არის განსხვავებული აზროვნება და ქცევა, დავისადმი ჰუმანური მიდგომით. დავები ჩვეულებრივი მოვლენაა ცხოვრებაში და, იმის მიხედვით, თუ როგორ მოგვარდება, მათ შეიძლება მოჰყვეს კარგი ან ცუდი შედეგები.

უფრო ტექნიკურ დონეზე, მედიაცია არის ყველა სახის დავის გადაწყვეტის ან, თუნდაც, არიდების საშუალება. მესამე მხარეს, ანუ მედიატორს, ორი ძირითადი ამოცანა აქვს: ერთი მხრივ, აღადგინოს, შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს მხარეთა შორის დიალოგი და, მეორე მხრივ, დაეხმაროს მათ გამოსავლის პოვნაში, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა, რომ მედიაციის განმარტება წარმოდგენილია შესავალში ნახსენებ სამართლებრივ ინსტრუმენტებში, შემდგომი, უფრო სრულყოფილი და სასარგებლო დეფინიცია აღებულია ევროკავშირის დირექტივიდან მედიაციის შესახებ:[3]

„მედიაცია არის სტრუქტურირებული პროცესი - მიუხედავად იმისა, როგორ უწოდებენ ან მიმართავენ მას - რომელშიც დავის ორი ან მეტი მხარე ცდილობს, დამოუკიდებლად, ნებაყოფლობით საფუძველზე მიაღწიონ შეთანხმებას მათი დავის მოგვარებაზე, მედიატორის დახმარებით. პროცესი შეიძლება ინიციირებული იყოს მხარეთა მიერ, შესთავაზოს ან დაუკვეთოს სასამართლომ, ან გათვალისწინებული იყოს წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით. ის მოიცავს მედიაციას მოსამართლის მიერ, რომელიც არ არის პასუხისმგებელი რაიმე სასამართლო წარმოებაზე სადავო საკითხის შესახებ და გამორიცხავს სასამართლოს ან მოსამართლის მცდელობას, დავა მოაგვაროს სადავო საკითხთან დაკავშირებული სასამართლო საქმისწარმოებით.“

მედიაციის *ძირითადი მიზანია* მხარეთა დახმარება, რომ: (ა) დიალოგი წარმართონ ერთმანეთთან; და (ბ) დამოუკიდებლად იპოვონ გამოსავალი, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე.

2. რა უპირატესობები აქვს მედიაციას?

სასამართლო დავის მხარეებისთვის

- მედიაციის ერთიანი (გლობალური) მიდგომა საშუალებას იძლევა, რომ დაიფაროს კონფლიქტის ყველა ასპექტი – როგორც სასამართლო (სარჩელის საგანი), ისე არასასამართლო თუ არასამართლებრივი ელემენტები (მაგ: მხარეთა ემოციები, საჭიროებები, ფასეულობები და ინტერესები);
- მედიაციის პროცესში გაძლიერება მხარეებს საშუალებას აძლევს, რომ შეიმუშაონ დავის საკუთარი გადაწყვეტა, მათი კონკრეტული ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე (ინდივიდუალური მიდგომა);
- მედიაციის მომგებიანი სტრატეგია გამორიცხავს წაგებული მხარის სურვილს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მიმართოს ანგარიშსწორებას - გასაჩივრების, ახალი სასამართლო პროცესის, ან სხვა ზომების მეშვეობით;
- თავისუფლება მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, რომ აირჩიონ პროცესი (გადაწყვეტის საშუალება, მიდგომა, მესამე მხარე და ა. შ.) და დავის გადაწყვეტის შინაარსი, მათი ინტერესების შესაბამისად;
- მორიგების პროცესში მომავალ მოვლენათა გათვალისწინების შესაძლებლობა მხარეებს საშუალებას აძლევს, რომ შეიმუშაონ წარმოსახვითი გადაწყვეტები, რომლებიც ხელს უშლის შემდგომი კონფლიქტების განვითარებას;

[3] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 21 მაისის დირექტივა 2009/52/EC სამოქალაქო და კომერციულ საქმეებში მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ.

- პროცესის შეზღუდვის ან შეწყვეტის შესაძლებლობა მხარეებს საშუალებას აძლევს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მართონ თავიანთი დრო და ხარჯები;
- მედიაციის მშვიდობიანი პროცესი და კრეატიული გადაწყვეტა მხარეებს საშუალებას აძლევს, რომ არ დაკარგონ სახე და შეინარჩუნონ კონსტრუქციული სამუშაო ურთიერთობები (როგორც საოჯახო, ასევე კომერციულ საქმეებში);
- პროცედურა მოქნილი, ეფექტიანი და კრეატიულია, რადგან მხარეებს შეუძლიათ, თავისუფლად შეთანხმდნენ მედიაციის პროცესსა და შინაარსზე (სამართალწარმოებისგან განსხვავებით, სადაც წესები დადგენილია კანონით - და, შესაბამისად, უცვლელია - და არც მოსამართლეს და არც მხარეებს არ შეუძლიათ, გასცდნენ სარჩელის ფარგლებს);
- განცალკევებასთან, განქორწინებასა და კერძო სამართლის სხვა საოჯახო საკითხებთან მიმართებით, მედიაცია მხარეებს ეხმარება ისეთი შეთანხმების მიღწევაში, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ბავშვის საჭიროებებსა და საუკეთესო ინტერესებს;
- საოჯახო მედიაციას შეუძლია დახმარება ხელმისაწვდომი ვარიანტების გააზრებაში, კერძოდ, ბავშვის აღზრდისა და ალიმენტის გადახდის კუთხით, ასევე, თუ როგორ უნდა გაიყონ ქონება და ფული, მათ შორის, დანაზოგები, ერთობლივი ვალი, პენსიები და იპოთეკა.

მოსამართლეებისთვის

- შესაბამისი საქმეების მედიაციისთვის გადაცემის შესაძლებლობამ შეიძლება გაზარდოს მთელი სასამართლო სისტემის ეფექტიანობა, ვინაიდან, მედიაციით გადაწყვეტილ საქმეთა მატებასთან ერთად, სასამართლოს მეტი დრო რჩება დარჩენილი დავების განსახილველად და გადასაწყვეტად;
- მედიაციისთვის გადაცემა საბოლოოდ დაასრულებს დავას (რაც გამორიცხავს წაგებული მხარის ცდუნებას, მოითხოვოს ანგარიშსწორება გასაჩივრების ან სხვა სარჩელის წარდგენის გზით);
- საქმის მედიაციისთვის გადაცემა მოსამართლეს საშუალებას აძლევს, დრო გამონახოს სხვა საქმეთა განსახილველად, ვინაიდან მედიაციების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება წარმატებული იყოს;
- დანარჩენ საქმეებშიც კი მედიაცია გარკვეულწილად შეამცირებს უთანხმოებებს და დააკმაყოფილებს მხარეებს, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად იკლებს შემდგომი სასამართლო პროცესები;
- მედიაციისთვის გადაცემა ითვალისწინებს მხარეთა დავის დროულ და ეფექტიან გადაწყვეტას, რითაც ხელს უწყობს მართლმსაჯულების სისტემის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებას.

ადვოკატებისთვის

- წარმატებული სამედიაციო პროცესების მაღალი მაჩვენებლები ზრდის იურიდიული ფირმის ავტორიტეტსა და რეპუტაციას;
- პროცესის სისწრაფე იურიდიულ ფირმას მეტ დროს უტოვებს სხვა საქმიანობისთვის;
- იურიდიული ფირმის მიერ მიღწეული წარმატება ზრდის კლიენტთა ლოიალობას მის მიმართ;
- ეს ყველაფერი ხელს უწყობს იურიდიული ფირმის მომგებიანობას ისეთი საკითხების გათვალისწინებით, როგორიცაა მორიგების სისწრაფე, კლიენტთა კმაყოფილება მორიგების შედეგებით და მათი დროის გამოთავისუფლება.

3. რა სიტუაციებშია მედიაცია მიზანშეწონილი?

მედიაციის ჩატარება შესაძლებელია სამოქალაქო, კომერციულ, საოჯახო და სოციალურ საკითხთა უმეტესობაში, FAQ4-ში მითითებულ საქმეთა გათვალისწინებით.

საქმის მარეგულირებელი სამართლებრივი სფეროს გარდა, გასათვალისწინებელია შემდეგი კრიტერიუმებიც:

- მხარეები არიან სამართლებრივ ურთიერთობაში (როგორიცაა საოჯახო დავები, ქირავნობის კონფლიქტები, თანამფლობელობის პრობლემები, პარტნიორობა, აქციონერობა, ექსკლუზიური წარმომადგენლობა, ფრენჩაიზინგი და სხვა კომერციული კონტრაქტები და ა. შ.), ან სხვა სახის ხანგრძლივ ურთიერთობაში (მაგ: ოჯახი, დასაქმება, მეზობლები, კოლეგები, ასოციაციის წევრები და ა. შ.);
- სარჩელი აგვარებს დავის მხოლოდ ნაწილს, რადგან მის უკან შეიძლება იმალებოდეს უფრო მნიშვნელოვანი დავა ან პრობლემა;
- დავა მოიცავს ძლიერ ემოციურ საკითხებს;
- არსებობს თანმხვედრი ან დამატებითი ეკონომიკური ინტერესები, რომლებიც მხარეებს საშუალებას აძლევს, გადახედონ თავიანთ ურთიერთობებსა და მოქმედებებს, ან დაამყარონ ახალი თანამშრომლობა;
- ორივე მხარის ინტერესებშია სწრაფი მორიგება, ხანგრძლივ იურისდიქციულ ან საარბიტრაჟო წარმოებასთან შედარებით; სასამართლო დავის ხარჯები და ხანგრძლივობა შესაბამისი ინტერესების არაპროპორციულია;
- პრობლემები უკიდურესად კომპლექსურია და ეხება რამდენიმე მოთხოვნას ან ფიზიკურ/იურიდიულ პირს (პასუხისმგებელია რამდენიმე პირი, მზღვეველი, ჯგუფის სხვა კომპანია, პარტნიორი, ლიცენზიანტი და ა. შ.);
- დავა ეხება რამდენიმე ქვეყანას;
- მხარეებს სურთ კონფიდენციალურობის დაცვა.

4. როდის შეიძლება მედიაცია არ იყოს მიზანშეწონილი?

როდესაც:

- მხარეები უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებებს დამაკმაყოფილებლად და მესამე მხარის დასწრება საჭირო არ არის;
- სამართლებრივი პრეცედენტი საჭიროა იურისპრუდენციისთვის;
- შესაძლებელია სასამართლო მორიგება, გონივრულ ფასად და სწრაფად, და მისი ღირებულება მინიმალურია;
- ფაქტები სადავო არ არის და, შესაბამისად, შესაძლებელია სასამართლოს ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სწრაფად ან იაფად გამოტანა;
- ყველა მხარეს სურს სასამართლოში დავა;
- რომელიმე კონკრეტულ მხარეს ინდივიდუალურად სჭირდება კანონიერი დაცვის მოპოვება;
- მხარეებს შორის არსებობს ძალთა სერიოზული დისბალანსი;
- პირი უარყოფს ან განმეორებით სჩადის ძალადობას;
- ერთ-ერთი მხარისგან იკვეთება გადაცდომა (დადგენილი არაკეთილსინდისიერება) ან ოჯახში ძალადობა, გარკვეულ გარემოებებში;
- ერთ-ერთი მხარე ქმედუუნაროა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჰყავს მეურვე, რომელიც წარმომადგენლობას უწევს პროცესში);
- საქმე ეხება საოჯახო დავას, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვების დასაცავად.

5. რა გარანტიებს იძლევა მედიაცია?

მხარეებს, მათ ადვოკატებსა და მოსამართლეს მედიაცია გარანტიებს სთავაზობს რამდენიმე

დონეზე:

მედიატორის პიროვნებასთან დაკავშირებით: ოფიციალურად რეგისტრირებული, ნაფიცი ან აკრედიტებული მედიატორი (სერტიფიცირებული ზემდგომი ორგანიზაციის მიერ) ან სხვა კარგად მომზადებული პროფესიონალი პირი, რომელსაც კანონით მიეცა უფლება, იმოქმედოს მედიატორის სახით და შეირჩა მისი პროფესიონალური კვალიფიკაციების, გამოცდილების, სპეციალიზაციის, კონფლიქტის მართვაში მიღებული განათლების და ეთიკის წესებთან შესაბამისობის საფუძველზე.

პროცესთან დაკავშირებით: მედიაცია რეგულირდება ძირითადი პრინციპებით, რომლებიც, ჩვეულებრივ, ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, ასოციაციების წესდებებში, ან ქცევის კოდექსებში.
ისინი ხშირად მოხსენიებულია თავდაპირველ შეთანხმებაში მედიაციის შესახებ:

- ჰუმანურობა: ადამიანი იმყოფება მედიაციის ცენტრში, რომლის მიზანია დიალოგის აღდგენა, ხოლო შედეგი – დავით გამოწვეული ყველა სახის ტანჯვისა და დანაკარგის შემცირება ან შემსუბუქება;
- მედიატორის მრავალმხრივობა და ემპათია: იგი იღებს ვალდებულებას, რომ მხარეებს მოემსახურება სამართლიან საფუძველზე და არ განასხვავებს მათ არახელსაყრელად; ამასთანავე, ის პასუხისმგებელია პროცესის შეუფერხებლად წარმართვაზე;
- თავისუფლება და ავტონომია: მხარეებს შეუძლიათ, დათანხმდნენ ან უარი თქვან პროცესში მონაწილეობაზე, რომლის დატოვებაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ; მედიატორს აქვს თავისუფლება, დაიწყოს, გააგრძელოს, შეაჩეროს ან, საჭიროების შემთხვევაში, შეწყვიტოს პროცესი;
- პასუხისმგებლობა: მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომ პროცესში ჩაერთონ კეთილსინდისიერად, იმოქმედონ პატივისცემით და გამჭვირვალედ და დაიცვან კონფიდენციალურობა. მედიატორი პასუხისმგებელია პროცესის სწორად წარმართვაზე; ის ვალდებულია, დარწმუნდეს, რომ მხარეებმა გაიაზრეს პროცესის თავისებურებები, ასევე, თავიანთი და მედიატორის როლი; მედიატორის ძალისხმევით, მხარეებმა საბოლოო შეთანხმებას უნდა მიაღწიონ თავისუფალი და სრულად ინფორმირებული თანხმობით. საჭიროების შემთხვევაში, მედიატორს შეუძლია, შესთავაზოს ადვოკატთან კონსულტაცია; იგი ვალდებულია, შეწყვიტოს პროცესი, თუ შემოთავაზებული გადაწყვეტა ვერ შესრულდება ან ეწინააღმდეგება კანონს;
- დამოუკიდებლობა: მედიატორი დამოუკიდებელია. მან მხარეებს უნდა აცნობოს ნებისმიერი გარემოება, რომელმაც შეიძლება, ობიექტურად თუ სუბიექტურად, ეჭვქვეშ დააყენოს მისი დამოუკიდებლობა;
- ნეიტრალობა: მედიატორი თავს იკავებს დავაში მონაწილეობისა და ისეთი განცხადებების გაკეთებისგან, რომლებიც ეხება დავის არსს;
- თავმდაბლობა ან ძალაუფლების არქონა: მედიატორს არ აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება;
- კონფიდენციალურობა: პროცესის განმავლობაში მხარეებმა და მედიატორმა თავი უნდა შეიკავონ მესამე მხარის ინფორმირებისგან ნებისმიერი განცხადების, მოსაზრების ან წინადადების შესახებ, ასევე, შემდგომ სამართალწარმოებაში დოკუმენტების წარდგენისგან ზემოაღნიშნულთან მიმართებით. მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ მედიატორის მოწმის სახით გამოძახებისგან. გარდა ამისა, მედიატორმა არ უნდა გაამჟღავნოს პროცესის არსებობა და მხარეთა სახელები. თუმცა, ზოგ სიტუაციაში არსებობს გამონაკლისები (მაგ: სასკოლო მედიაცია ან სისხლის სამართლის დანაშაულის აღმოჩენა მედიაციის პროცესში). საოჯახო საქმეებში კონფიდენციალურობაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით, ან თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული გადაულახავი ვალდებულება. ეს ხდება მაშინ, როცა მედიაციის

დროს გაკეთებული განცხადება მიუთითებს უსაფრთხოების რისკზე, ან ამჟღავნებს სისხლის სამართლის დანაშაულს.

6. რა როლი აქვს მედიატორს?

მედიატორი არის დამოუკიდებელი, ნეიტრალური და მიუკერძოებელი მესამე მხარე, რომელიც პასუხისმგებელია პროცესის წარმართვაზე მოსამზადებელი ეტაპიდან დასრულებამდე. მოსამზადებელ შეხვედრებზე ის, პირველ რიგში, რწმუნდება, რომ მხარეები საკუთარი ნებით მივიდნენ და, სრული ინფორმაციის მიღების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ავსებს ამ ინფორმაციას. შემდეგ ის ამზადებს თავდაპირველი შეთანხმების პროექტს, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ან მისი ასოციაციის წესდებით, ან როცა ამას ითხოვენ მხარეები. ამ დოკუმენტში მითითებულია კონფიდენციალურობის შესახებ.

მედიატორი ხელს უწყობს მხარეთა შორის კომუნიკაციას, ქმნის პატივისცემის ატმოსფეროს და ეხმარება მათ საკუთარი გადაწყვეტის მოძებნაში დავის გადასაჭრელად.

მედიატორი იყენებს რამდენიმე კონკრეტულ ინსტრუმენტს, მათ შორის, აქტიურ მოსმენასა და პრინციპულ მოლაპარაკებებს.

მხარეებმა ან მედიატორმა პროცესისთვის შეიძლება აირჩიონ თანამედიატორიც, თუ მონაწილეთა რაოდენობა დიდია, ან მიზანშეწონილია, რომ მესამე მხარეს წარმოადგენდეს კაცი და ქალი, ანდა აუცილებელია სხვადასხვა განათლებისა და გამოცდილების მქონე მედიატორთა მონაწილეობა (იურისტი, ინჟინერი და ა. შ.), რომლებიც უფრო ეფექტიანები იქნებიან პროცესში.

მედიატორი არც მოსამართლეა და არც არბიტრი, ვინაიდან არ იღებს კანონიერ გადაწყვეტილებას; ის არც მომრიგებელია, რადგან არ გასცემს სამართლებრივ დასკვნას ან რჩევას; არც ომბუდსმენი, რადგან არ ატარებს გამოძიებას, არ იღებს ჩვენებებს მოწმეთაგან და არ იძლევა რეკომენდაციებს; არც ექსპერტი, რადგან არ გასცემს ტექნიკურ დასკვნას ან რჩევას; და არც სოციალური ასისტენტი, რადგან არ ეხმარება ადამიანებს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში.

7. რა როლი აქვს ადვოკატს?

როდესაც კლიენტი მიმართავს რჩევისთვის, ადვოკატი ვალდებულია, განიხილოს, რამდენად შეეფერება დავა მედიაციას და კლიენტს აცნობოს ისე, რომ მან თავისუფლად აირჩიოს შესაბამისი გზა საკუთარი პრობლემის გადასაჭრელად, კონკრეტული მიმართულებით ზედმეტი ბიძგის გარეშე. ადვოკატის პროფესიული მოვალეობაა, კლიენტს სრული და სანდო ინფორმაცია მიაწოდოს მედიაციაზე და დაეხმაროს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში.

მედიაციის არჩევისას, მხარეები ხშირად თვითონ წყვეტენ, სურთ თუ არა თავიანთი ადვოკატების დასწრება პროცესზე, და თუ სურთ, კონკრეტულად რომელ შეხვედრებსა და ეტაპებზე უნდა მოხდეს ეს.

ადვოკატის როლი განსხვავდება ჩვეულებრივი შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული და სადავო მიდგომისგან და განისაზღვრება ურთიერთშეთანხმებით. მედიაციაში ზოგადი მიდგომაა, კლიენტმა გამოხატოს თავისი აზრი, ადვოკატის რჩევის გათვალისწინებით, რომელიც მასთან მუშაობს ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტის მოსაძებნად.

ადვოკატის დასწრება მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც მხარეები შეიმუშავებენ ვარიანტებს. ის

ეხმარება კლიენტს ხელმისაწვდომი ვარიანტების განხილვაში და მათ ადარებს სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტას სასამართლო პროცესის მეშვეობით, კერძოდ, კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით.

საბოლოო შეთანხმება მზადდება ადვოკატის მიერ ან მისი ზედამხედველობით.

მორიგების შემდეგ, ადვოკატი შეისწავლის დოკუმენტს და ეხმარება მის განხორციელებას.

8. რა პროცესი? რომელი ნაბიჯები? როგორი ხანგრძლივობით?

ყველა ეს პუნქტი განიხილება მოსამზადებელ სესიებზე, გადაწყდება მხარეებისა და მედიატორის მიერ და აღინიშნება მედიაციის თავდაპირველ სხდომაზე. მხარეებს, ადვოკატებთან ერთად ან მათ გარეშე, შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მიდგომის არჩევა მედიატორის მიერ; შეხვედრების რაოდენობა და ტიპი (ერთობლივი სესიები, კერძო შეხვედრები, თუ მათ გარეშე, ტრანსპორტირება და ა. შ.); პროცესის ხანგრძლივობა და, საჭიროების შემთხვევაში, ვადები, თუ ისინი უკვე არ არის ასახული ეროვნულ კანონმდებლობაში.

სიტუაციიდან გამომდინარე, მედიაციის პროცესი შეიძლება დასრულდეს რამდენიმე საათში ან, გამონაკლისის სახით, გაგრძელდეს რამდენიმე თვე.

9. რა ღირს მედიაცია? რა ეკონომიკური უპირატესობები აქვს მას? შეიძლება თუ არა იურიდიული დახმარების მინიჭება?

მედიაციის ღირებულება

მედიაციის ხარჯები შეიძლება მოიცავდეს მედიატორის მოსაკრებელს და შესაძლო ხარჯებს, რომლებიც უკავშირდება თარგმანს, ოთახების დაქირავებას, საქმის მართვას და ა. შ. მოსამზადებელ ეტაპს მხარეები და მედიატორი იწყებენ ფინანსურ პირობებზე შეთანხმებით. მედიატორის მოსაკრებელი, როგორც წესი, თანაბრად იყოფა მხარეთა შორის, მაგრამ შეიძლება დიფერენცირებულიც იყოს (მაგ: მხარეთა განსხვავებული ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით).

მოსაკრებლის ოდენობის დადგენისას ასევე გათვალისწინებულია მხარეთა ფინანსური მდგომარეობა, საქმის ღირებულება, დამსწრე მხარეთა რაოდენობა, დავის ბუნება და კომპლექსურობა და ა. შ. უმეტეს შემთხვევაში, ტარიფი თავიდანვე ცნობილია, ვინაიდან ის რეგულირდება მედიაციის ინსტიტუტთა წესებით. მხარეები შეიძლება ფიქსირებულ ტარიფზეც შეთანხმდნენ მედიატორთან.

ფინანსური უპირატესობები

ხშირად, განსაკუთრებით კომერციულ საქმეებში, მედიაცია ორიენტირებულია მხარეთა შორის ურთიერთობის შენარჩუნებასა ან შეცვლაზე. საპირისპიროდ, სამოქალაქო ან საარბიტრაჟო სამართალწარმოება ხშირად იწვევს ურთიერთობების რღვევას, სამართლებრივი დავის გამო; თავის მხრივ, ეს ზრდის ფარულ ხარჯებს, რომლებიც არ შედის სამართალწარმოების ხარჯებში. მართლაც, თითოეულ მხარეს შეუძლია, დახარჯოს დრო, ფული და ენერგია ახალი კომერციული პარტნიორის, პროდუქტის, მომსახურების, პატენტის, სავაჭრო ნიშნის, სამრეწველო დიზაინის, პარტნიორის, დაფინანსების, საოფისე ფართისა თუ ბაზრის ძიებაში. ყველა ამ მნიშვნელოვანი ხარჯის აცილება ან არსებითად შემცირება შესაძლებელია, თუკი დავის გადაწყვეტის მეთოდად შეირჩევა მედიაცია.

იურიდიული დახმარება და საჯარო დაფინანსება (უნდა ადაპტირდეს ქვეყნის სისტემის

მიხედვით)

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები თავიანთ კანონმდებლობაში განსაზღვრავენ იურიდიული დახმარების პირობებს, ასევე, ფარავს თუ არა (და რამდენად) ეს დახმარება მედიაციის პროცესის ხარჯებს, მათ შორის, მედიატორის მოსაკრებელს. ზოგიერთი კანონმდებლობის მიხედვით, თუ მხარეები მშვიდობიანი გზით მიაღწევენ მორიგებას, შეიძლება ანაზღაურდეს იურიდიული/სასამართლო ხარჯები; სხვაგან სახელმწიფო დაფინანსება შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მედიაციის ხარჯების დასაფარად.

10. როგორ იწყება მედიაცია? როდის? ვის მიერ? ვისთან?

როდის?

მედიაცია შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ დროს. დავის წარმოშობამდეც კი, მხარეებს შეუძლიათ, პრევენციული ღონისძიების სახით, კონტრაქტში შეიტანონ დებულება მედიაციის შესახებ. მათ შეუძლიათ, მედიაციას მიმართონ დროებითი ზომების მიღების ეტაპზეც, ან მორიგების მცდელობის შემდეგ. გარდა ამისა, სასამართლო (ან საარბიტრაჟო) საქმისწარმოების დაწყებისას, მედიაციის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ ეტაპზე, პირველ ან მეორე ინსტანციაში.

მედიატორის მიერ ჩატარებულ საინფორმაციო ან/და შესაფასებელ შეხვედრაზე დასწრება ზოგ იურისდიქციაში საოჯახო საქმეზე სამართალწარმოების დაწყების პირობაა.

ვის მიერ?

მედიაციის პროცესი, პირველ რიგში, ინიციირებულია მოსამართლის, მხარეების ან მათი ადვოკატების მიერ. თუმცა, უკვე სასამართლო მოსმენისთვის მზადებისას, მოსამართლე საქმის მასალებში ეძებს კონკრეტულ ელემენტებს, რომლებმაც შეიძლება უბიძგოს მედიაციის შეთავაზებისკენ. მოსამართლეს უნდა შეეძლოს მხარეთათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება მედიაციის პროცესზე, ასევე, სარგებელზე, რომელიც კონკრეტულ საქმეში შეიძლება მოიტანოს მედიაციის გამოყენებამ.

მოსამართლეთა პოზიცია და ინფორმირებულობა იდეალურ შესაძლებლობას აძლევს მათ, რომ შეასრულონ სამი ნაბიჯი, რომლებიც უკავშირდება სასამართლოს მიერ დადგენილ მედიაციას: განსაზღვრონ მედიაციისთვის შესაფერისი საქმე (იხ. ხშირად დასმული კითხვები 3 და 4 ზემოთ), მხარეებს განუმარტონ მედიაციის არსი და შესთავაზონ მედიაციაში ჩართვა.

ვისთან ერთად? (უნდა ადაპტირდეს ქვეყნის სისტემის მიხედვით)

ზოგიერთი სახელმწიფო და სუბიექტი ინახავს და აახლებს მედიატორთა სიებს, რომლებშიც მითითებულია მათი კვალიფიკაცია, გამოცდილება, სპეციალიზაცია და ა. შ. ეს რეესტრები საჯაროა და მხარეებს მედიატორის არჩევა შეუძლიათ მათი ადვოკატებისა და, საჭიროების შემთხვევაში, მოსამართლის რჩევით.

ზოგ იურისდიქციაში წინასასამართლო ან სასამართლოს მიერ დადგენილ მედიაციაში უნდა ჩაერთონ მხოლოდ კვალიფიციური საოჯახო მედიატორები, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან განქორწინებისა და განცალკევების ყველა ასპექტში.

ბევრ წევრ სახელმწიფოში მედიაციის ასოციაციები საკუთარ წესდებებსა ან დებულებებში ადგენენ, რომ მათმა წევრებმა უნდა გაიარონ სერტიფიცირების პროცედურა, მსგავსი

პირობებით. ეს სიები განთავსებულია მათ ვებსაიტებზე, ეცნობებათ იურისდიქციებს, ან სხვა სახით ქვეყნდება.

27.06.2018

CEPEJ(2018)7

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ)

მედიაციის განვითარების ინსტრუმენტარიუმი
მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ)
სახელმძღვანელო მითითებების შესრულება მედიაციის შესახებ

მედიაციის გზამკვლევი ადვოკატებისთვის

დოკუმენტი შემუშავდა ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოსთან (CCBE) ერთად.

დოკუმენტი მიიღო ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭომ, 2018 წლის 23 მარტს. CEPEJ-ის მედიაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის (CEPEJ-GT-MED) პირველ შეხვედრაზე, 2017 წლის მაისში, საბჭოს დაევალა დახმარება ადვოკატთა გზამკვლევის შემუშავებაში, ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში მედიაციის უკეთ განსახორციელებლად. მიზანი იყო ის, რომ CCBE/CEPEJ-ის ერთობლივი დოკუმენტი წარედგინა დასამტკიცებლად CEPEJ-ის პლენარულ სხდომაზე, 2018 წლის ივნისში. სწორედ ამ მიზნით შეიმუშავა გზამკვლევი ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭომ, CEPEJ-GT-MED-თან კონსულტაციით.

შინაარსი

თავი 1 – შესავალი 60

1. *მიზანი და საგანი* *60*

2. *მედიაცია, როგორც სასამართლო გადაწყვეტილების ალტერნატივა* *60*

3. *მედიაცია, როგორც მართლმსაჯულებაზე წვდომის საშუალება* *61*

თავი 2 – ადვოკატის როლი მედიაციაში 62

1. *მედიაცია ადვოკატის დახმარებით* *62*

2. *კონკრეტულად რას აკეთებს მედიატორი?* *63*

3. *მედიაციის მთავარი მახასიათებლები* *63*

4. *ადვოკატთა როლი მედიაციაში* *64*

5. *მედიატორის შერჩევა და დანიშვნა* *69*

6. *როგორ ვიპოვოთ მედიატორი* *70*

7. *მედიატორთა სახით მოქმედი ადვოკატები* *71*

თავი 3 – ადვოკატთა და იურიდიულ საზოგადოებათა როლი მედიაციისთვის მეგობრული გარემოს შექმნაში 72

თავი I - შესავალი

1. მიზანი და საგანი

ამ გზამკვლევის მიზანია, აამაღლოს ადვოკატთა ცნობიერება მედიაციის შესახებ და აჩვენოს სხვადასხვა პროფესიული გამოწვევა, შესაძლებლობა და წამახალისებელი ფორმები, რომლებიც უკავშირდება მედიაციის გამოყენებას, ასევე, მისი სარგებელი კლიენტებისთვის. გზამკვლევი შემუშავდა მე-3 პუნქტთან დაკავშირებით – ინფორმირებულობა მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სახელმძღვანელო მითითებებზე მედიაციის შესახებ.

ისეთ საკითხების მნიშვნელობას, როგორიცაა პრაქტიკოს ადვოკატთა ჩართვა კონფლიქტის მართვის მეთოდებში და აქტიური მონაწილეობა დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ პროცესებში (მაგ: მედიაცია), ფართოდ აღიარებს და სათანადოდ ასახავს ქცევის სხვადასხვა კოდექსი.

წინამდებარე გზამკვლევის მიზნებისათვის, ტერმინი *„მედიაცია“* აღნიშნავს დავის გადაწყვეტის ნებაყოფლობით, არასავალდებულო და კონფიდენციალურ პროცესს, რომელშიც ნეიტრალური და დამოუკიდებელი პირი (პირები) მხარეებს ეხმარება (ეხმარებიან) ერთმანეთთან კომუნიკაციაში, რათა გადაჭრან სირთულეები და მიაღწიონ შეთანხმებას. ის არსებობს სამოქალაქო, საოჯახო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებში. გარდა ამისა, ტერმინი *„მედიატორი“* გულისხმობს პირს, რომელსაც ნიშნავს სასამართლო ან სხვა ორგანო ან/და ერთობლივად განსაზღვრავენ დავის მხარეები, რათა მათ დაეხმაროს ორმხრივად მისაღები შეთანხმების მიღწევაში დავის გადასაწყვეტად.

მართალია, გზამკვლევი შეიცავს პრაქტიკულ რჩევებს, მასალებსა და ინსტრუმენტებს იმ ადვოკატებისთვის, რომლებიც კლიენტებს წარმოადგენენ მედიაციაში, ან მოქმედებენ როგორც მედიატორები, ის არ ცდილობს მედიაციაზე არსებული ტრენინგისა და სასწავლო მასალების ჩანაცვლებას. პირიქით, ამ გზამკვლევის მიზანია ჩვენება, თუ რატომ შეიძლება იყოს მედიაცია მნიშვნელოვანი და სასარგებლო ადვოკატებისა და მათი კლიენტებისთვის და როგორ შეიძლება ამ პროცესის გამოყენება ადვოკატთა ყოველდღიურ პრაქტიკაში წარმოქმნილი ზოგიერთი პრობლემის გადასაჭრელად (მაგ: როგორიცაა კლიენტის ინტერესების განსაზღვრა და გააზრება).

ადვოკატთა მოვალეობის გათვალისწინებით - იმოქმედონ კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე - გზამკვლევის ამოსავალი წერტილია, ადვოკატებმა ყველა ვარიანტის განხილვით მისცენ რჩევა დავის გადაწყვეტის ყველაზე შესაფერისი პროცესის შესახებ. ამიტომ, ადვოკატის მიდგომა მედიაციისა და დავის გადაწყვეტის სხვა პროცესებისადმი კონცეპტუალურად ნეიტრალური უნდა იყოს, სასურველი ვარიანტის არჩევანი კი მან უნდა დააფუძნოს დასაბუთებას და განიხილოს ანალიტიკური და ობიექტური თვალსაზრისით.

ამ მიმართებით, ისევე, როგორც მედიაციის ფართოდ გავრცელება-დანერგვის ხელშეწყობის კონტექსტში, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მედიაციის სფეროში ადვოკატთა ინფორმირებულობა და მომზადება სავალდებულოა.

2. მედიაცია, როგორც სასამართლო გადაწყვეტილების ალტერნატივა

მედიაცია დავების გადაწყვეტის ძალიან პრაქტიკული და მოქნილი მეთოდია. ზოგ შემთხვევაში ის შეიძლება იყოს უფრო სწრაფი, ეფექტიანი და იაფი, ვიდრე სასამართლო პროცესი.

სპეციფიკური და თანამშრომლობითი ბუნების გამო, მედიაციის მეთოდებმა შეიძლება შემოგვთავაზოს კონფლიქტის ძალიან ეფექტიანი გადაწყვეტა, რომელიც ზოგჯერ ხელმიუწვდომელია სასამართლო პროცესის მეშვეობით. მესამე სუბიექტმა (სასამართლომ), რომელიც უცხოა მხარეებისთვის, დისტანცირებულია მათგან და მოქმედებს პროცედურული შეზღუდვების ფარგლებში (რაც ჩვეულებრივი ამბავია ნებისმიერ სასამართლო პროცესში), შეიძლება ვერ შეძლოს უფრო კრეატიული ან კომპლექსური გადაწყვეტების შემუშავება. ამ შეზღუდვებს ემატება ის ფაქტიც, რომ სამართალწარმოებაში მხარეები არიან მოწინააღმდეგეები, ამიტომ მათი კომუნიკაცია უფრო ტაქტიკურია, ხოლო თანამშრომლობა - რთული და გაძნელებული. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღვიქვათ სასამართლოს ან სასამართლო სისტემის კრიტიკად, თუმცა ასეთია მიღებული პროცესისა თუ პროცედურის შესაძლო შედეგები.

ფაქტობრივად, სასამართლოების ან არბიტრების როლია, გადაწყვიტონ, *„ვინ არის მართალი და ვინ - მტყუანი“.* ეს მორალისტური თუ სამართლებრივი მიდგომა საკმაოდ ლოგიკურია - და, ხშირად, საჭიროც - მაგრამ, რა თქმა უნდა, არ არის ერთადერთი შესაძლო მეთოდი.

და ბოლოს, აღსანიშნავია სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესის კიდევ ერთი შეზღუდვა - ყოველთვის არ არის გათვალისწინებული მხარეთა საჭიროებები და ინტერესები. ზოგჯერ სადავო საკითხი არ წარმოადგენს საქმის არსს და მხარეები ვერ ახერხებენ ჩიხიდან გამოსვლას. გარდა ამისა, „მართლის ან მტყუანის საკითხის“ დასმა შეიძლება იყოს შეუსაბამო ან პასუხგაუცემელი დარჩეს; ზოგჯერ დავის გადასაწყვეტად პასუხის გაცემაც არ არის საჭირო, ან პასუხის ამგვარი ძიება დამანგრეველია მხარეთა ურთიერთობისთვის.

მედიაცია თვითგამორკვევის პროცესია, რომელშიც მხარეები მოქმედებენ სახელშეკრულებო თავისუფლების პარადიგმის ფარგლებში, სრული ავტონომიით, რაც შეიძლება უფრო ხელსაყრელი იყოს მართვის რთულ პრობლემათა გადასაჭრელად. ამასთანავე, მედიაციის დროს მედიატორი მხოლოდ პროცესს აკონტროლებს. მხარეები ინარჩუნებენ კონტროლს შედეგზე, ამიტომ, ბუნებრივია, მათ მეტი არჩევანი და სივრცე აქვთ მანევრირებისთვის, სასამართლო განხილვასთან შედარებით. ეს არის თვისება, რომელიც ახასიათებს ნებისმიერი კონსენსუსური გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რომელიც უფრო თანამშრომლობითია და უფრო თავისუფალიც მრავალი კონცეპტუალური თუ პროცედურული შეზღუდვისგან.

3. მედიაცია, როგორც მართლმსაჯულებაზე წვდომის საშუალება

რიგ დოკუმენტებში ევროპის საბჭომ და მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულმა კომისიამ (CEPEJ) აღიარეს, რომ მედიაციის გამოყენების ხელშემწყობ ზომებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ წვდომას მართლმსაჯულებაზე.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭო (CCBE) არის საერთაშორისო არაკომერციული ასოციაცია, რომელიც დაარსებიდან მოწინავე იყო ევროპელ იურისტთა შეხედულებების განვითარებაში, ასევე, იმ სამართლებრივი პრინციპების დაცვაში, რომლებსაც ეფუძნება დემოკრატია და კანონის უზენაესობა. ეს ფასეულობები და პრინციპები, რომლებიც ყველა ადვოკატმა უნდა გაიზიაროს, მოიცავს მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლებას, ასევე, კლიენტთა დაცვას ძირითადი პროფესიული ფასეულობების ხელშეწყობით.

სამართლიანობა ის ძირითადი ღირებულებაა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს თითოეული მოქალაქის ცხოვრებაში. თითოეულ პირს უნდა ჰქონდეს მართლმსაჯულებაზე

წვდომა, მაგრამ სამართლიანობა ყოველთვის არ მოდის სასამართლოდან. ამიტომ, იურისტებმა უნდა აჩვენონ მოწინავე აზროვნება და სიღრმისეული ცოდნა დავის გადაწყვეტის ყველა პროცესზე, რომლებიც არსებობს ფართო სპექტრით, მათ შორის, მედიაციაზე. მედიაცია, რა თქმა უნდა, სამართლიანობის აღსრულების ერთ-ერთი შესაძლო მეთოდია, ამიტომ, კლიენტებმა უნდა იცოდნენ მედიაციით შეთავაზებულ შესაძლებლობათა შესახებ. რა თქმა უნდა, ეს არის მხარეთა თვითგამორკვევის ნებაყოფლობითი პროცესი, რომელთაც შეიძლება მიეცეთ რჩევა, რომ მათი ინტერესები შეიძლება საუკეთესოდ დაკმაყოფილდეს, თუკი დავის გადაწყვეტის საშუალებად აირჩევენ მედიაციას.

დამოუკიდებელ სასამართლოთა ფუნდამენტური როლი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ძალზე დაფასებულია, მაგრამ, ამავე დროს, ინსტიტუციურ მართლმსაჯულებაზე წვდომა შესაძლოა შეზღუდული და, ზოგ შემთხვევაში, საზიანოც კი იყოს. გარდა ამისა, ვერცერთი მართლმსაჯულების სისტემა ვერ იქნება სრულყოფილი. ამ სისტემის ფუნქციონირება არის და მუდმივად უნდა იყოს განხილვისა და გაუმჯობესების საგანი, მაგრამ მისი ხარვეზები და შეზღუდვები გარდაუვალია, რაც ზოგჯერ იმედგაცრუებას ან ზიანს იწვევს.

მედიაცია შეიძლება განვიხილოთ ერთ-ერთ გამოსავლად ამ სიტუაციიდან და ისევე, როგორც დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული პროცესები, მივიჩნიოთ მართლმსაჯულების სისტემის კიდევ ერთ კომპონენტად, რომელსაც შეუძლია სასამართლო სისტემის მხარდაჭერა და მართლმსაჯულებაზე წვდომის გაუმჯობესება. ეს არის შესაბამისობისა და ეფექტიანობის საკითხი: სასამართლო სისტემამ უნდა გადაწყვიტოს საქმეები, რომლებიც მოითხოვს სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ არის სიტუაციები, როდესაც შეიძლება უფრო მიზანშეწონილად ჩაითვალოს დავის გადაწყვეტის სხვა მეთოდები.

მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების ხარვეზები ან მართლმსაჯულებაზე წვდომის ტიპური (ფინანსური ან ინსტიტუციური) ბარიერები არ არის ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც მედიაცია დავის გადაწყვეტის მიმზიდველ პროცესად მიიჩნევა. როდესაც ფორმალური/ინსტიტუციური მართლმსაჯულება მიუწვდომელი ან არაადეკვატურია საქმის ბუნებიდან თუ კლიენტთა კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარე, მედიაცია, ისევე, როგორც დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული მეთოდები, შეიძლება შესაფერისი ალტერნატივა იყოს. არსებობს სიტუაციები, როდესაც კლიენტის გარკვეული ინტერესები, საფუძვლიანობისა და ლეგიტიმურობის მიუხედავად, ვერ იქნება ეფექტიანად დაცული სასამართლო სისტემის ფარგლებში, მაგალითად, ისეთი მიზეზების გამო, როგორიცაა კანონის კონცეპტუალური შეზღუდვები, სამართლებრივ მოთხოვნათა ფორმალური ვადის ამოწურვა ან ხელმიუწვდომლობა, შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის ან პრეცედენტის არარსებობა, ფორმალური ან სათანადო მტკიცებულებების არარსებობა, ან სხვადასხვა პროცედურული სირთულეები. სავარაუდოდ, ზემოაღნიშნული შეზღუდვები შეიძლება არარელევანტური იყოს მედიაციასა და დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიულ პროცესებში, თუ *„მართლის ან მტყუანის საკითხი“* არ მოითხოვს სამართლებრივად დასაბუთებულ პასუხს.

თავი II – ადვოკატის როლი მედიაციაში

ადვოკატები, ცხადია, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ (და უნდა ასრულებდნენ) კონფლიქტის მართვის პროცესებში და ამით შეიძლება დიდ გავლენას ახდენდნენ კონფლიქტურ სიტუაციათა რეალურად გადაწყვეტაზე კლიენტებისთვის. ამიტომ, აუცილებელია, მათ შეეძლოთ სიღრმისეული ცოდნისა და შესაბამისი ტექნიკური უნარების ჩვენება, რომლებიც საჭიროა კლიენტთა ეფექტიანი მხარდაჭერისათვის დავის მოგვარების ყველა პროცედურაში, როგორც სასამართლო, ისე მეგობრულ პროცესებში, მედიაციის ჩათვლით. იურიდიული პროფესია არავითარ შემთხვევაში და არანაირი მიზეზით (მაგ: შესაბამისი გააზრების ან ცოდნის ნაკლებობა, ან პრაქტიკული უნარების ნაკლოვანებები) არ უნდა აღიქმებოდეს მედიაციის

დაბრკოლებად, რადგან ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ადვოკატთა რეპუტაციაზე. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, მედიაციის თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას უნდა ითვალისწინებდეს იურიდიულ ფაკულტეტთა სასწავლო პროგრამები, ასევე, ადვოკატთა და იურიდიულ საზოგადოებათა მიერ ორგანიზებული უწყვეტი განათლების კურსები.

1. მედიაცია ადვოკატის დახმარებით

ადვოკატის დახმარებით მედიაციაში ერთ ან რამდენიმე მხარეს მომზადებაში ეხმარება ან/და მედიაციის სესიებზე ახლავს საკუთარი ადვოკატი, რომელიც ინფორმაციასა და რჩევებს აწვდის მედიაციის პროცესში. ამ პროცესის ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც განსაზღვრავს მის ეფექტიანობას, არის მოდავე მხარეთა შესაძლებლობა, პირდაპირ ესაუბრონ და მოუსმინონ ერთმანეთს. ადვოკატის დახმარებით მედიაცია შეიძლება უაღრესად მომგებიანი იყოს, თუ ორივე მხარეს მიეწოდება ხარისხიანი და დამოუკიდებელი იურიდიული კონსულტაცია: ეს მათ საშუალებას მისცემს, რომ თავდაჯერებულად ჩაერთონ ინფორმირებულ დიალოგში და მოაგვარონ ძალთა დისბალანსი. კერძოდ, ადვოკატებს შეუძლიათ მედიაციის პროცესის ხელშეწყობა და მედიატორის მხარდაჭერა დადებითი შედეგის მიღწევაში.

გასათვალისწინებელია, რომ მედიაცია ეფუძნება პარადიგმას, რომელიც სრულიად განსხვავდება სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესისგან: ისტორიული ფაქტები, მიზეზები, მხარეთა უფლებები და არგუმენტები არ არის უგულებელყოფილი, თუმცა ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან მედიაციაში ისინი არ არის განსაზღვრული სასამართლო ან სხვა წესით და, ფაქტობრივად, ხშირად წინააღმდეგობრივია. ამ პარადიგმის სწორად გააზრება ძალიან მნიშვნელოვანია ადვოკატებისთვის, რათა კონსტრუქციულად ჩაერთონ მედიაციაში და ეფექტიანად დაეხმარონ თავიანთ კლიენტებს ამ პროცესში. მედიაციისას აქცენტი კეთდება მხარეთა მომავალ საჭიროებებსა და ინტერესებზე. ამასთანავე, მხარეები მუშაობენ ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის რეჟიმში, რაც საშუალებას აძლევთ, უკეთ გაუგონ ერთმანეთს და კონფლიქტი გაიაზრონ მთელი თავისი სირთულით. ამ საფუძვლით, ისინი ერთობლივად შეიმუშავებენ გადაწყვეტას, რომელიც შეიძლება ორივესთვის მისაღები იყოს და ითვალისწინებდეს მათ ორმხრივ საჭიროებებსა და ინტერესებს. ეს ხდება სტრუქტურირებული, მაგრამ არაფორმალური პროცესის მეშვეობით, რომელსაც მართავს და ხელს უწყობს დამოუკიდებელი და ნეიტრალური მედიატორი.

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ადვოკატის ფუნქციები და ამოცანები, რომლებიც მხარს უჭერს კლიენტის მონაწილეობას მედიაციაში, განსხვავდება ადვოკატთა შეჯიბრებითობის პრინციპით მოქმედებისგან სასამართლოში. ადვოკატები, რომლებიც თანამშრომლობით და კონსტრუქციულ მიდგომას იყენებენ მედიაციაში, მედიატორებს ეხმარებიან, რომ ეფექტიანად წარმართონ მხარეები მორიგებისკენ და კლიენტებმა მიაღწიონ ისეთ გადაწყვეტას, რომელიც უკეთესად ასახავს მათ ნამდვილ ინტერესებსა და საჭიროებებს. მედიაციის გააზრების ან გაგების მრავალი გზა არსებობს, მაგრამ ერთ-ერთია მისი განხილვა ეფექტიან პროცედურად კლიენტის ინტერესების უკეთ განსაზღვრისა და განმარტებისთვის. ადვოკატის პერსპექტივიდან, მედიაცია შეიძლება ძალიან სასარგებლო ინსტრუმენტი იყოს ასეთ შემთხვევაში. ბოლოსდაბოლოს, ეთიკურად და პროფესიულად, ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას და გააცნობიეროს კლიენტის ინტერესები, რომლებიც ადვოკატის პერსპექტივიდან შეიძლება ძალიან ბუნდოვანი ან ძნელი დასადგენი იყოს. სხვა სიტყვებით, მედიაცია შეიძლება იყოს სხვადასხვა მეთოდოლოგიური, კონცეპტუალური, საკომუნიკაციო ან ურთიერთობითი პრობლემის გადაჭრის საშუალება, რომლებიც, როგორც წესი, წარმოიქმნება კლიენტის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა-განმარტების პროცესში. რა თქმა უნდა, მედიაციისას კლიენტის ინტერესი ბევრად ნათელი და გასაგები ხდება ყველა მონაწილისთვის და, რაც მთავარია, მას უფრო გონივრულად და რეალისტურად განსაზღვრავს კლიენტი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წარმატებული მედიაცია, ჩვეულებრივ, მთავრდება მორიგებით, ანუ მიიღწევა კონსენსუსზე დაფუძნებული შეთანხმება. ეს საბოლოო შედეგი უნდა მიიღოს ორივე მხარემ. როგორც წესი, მას ასრულებენ ნებაყოფლობით და ძალიან იშვიათად აყენებენ ეჭვქვეშ. მაშასადამე, სასამართლო დავისგან განსხვავებით, მედიაცია ნამდვილად წყვეტს კონფლიქტს და ძნელია უარყოფა, რომ ეს მდგომარეობა ხშირად სასურველია ბევრი კლიენტისთვის. რა თქმა უნდა, ორმხრივად მიღებულ მორიგებას ხშირად დიდი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, მედიატორის თანდასწრებით შედგენილი წერილობითი მორიგება იურიდიულად სავალდებულო კონტრაქტია, რომელიც უნდა შესრულდეს, ზოგ იურისდიქციაში კი ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო გადაწყვეტილების ეკვივალენტურ სამართლებრივ აღსრულებას, გარკვეულ ფორმალურ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2. კონკრეტულად რას აკეთებს მედიატორი?

მედიატორი არის მედიაციის თეორიისა და პრაქტიკის პროფესიონალი სპეციალისტი, რომლის ძირითადი ელემენტია მოლაპარაკება. ის პროფესიონალურ მომსახურებას სთავაზობს კონფლიქტის მხარეებს. მედიატორი მოლაპარაკების მექანიკოსია: როდესაც მოლაპარაკების ძრავა ჩერდება ან ყოვნდება, მედიატორი, თავისი გამოცდილებითა და მეთოდების ნაკრებით, კვლავ აამუშავებს მას, და რაც ტიპურია მედიაციისთვის – ოპტიმალურად. ნებისმიერ მედიაციას ახლავს ოპტიმალური გადაწყვეტის პოვნის სურვილი.

მედიატორი მომსახურების მიმწოდებელია, რომელიც თავის პროფესიონალურ მომსახურებას აწვდის ანაზღაურების სანაცვლოდ.[1] მედიატორსა და მხარეებს შორის დადებული შეთანხმება შეიცავს სახელშეკრულებო დებულებებს, რომელთა თანახმადაც უნდა შესრულდეს მომსახურების ხელშეკრულება. ამ მომსახურებათა მიწოდებით, მედიატორი ერთდროულად სამ რამეს აკეთებს: მართავს საუბარს კონფლიქტის მოსაგვარებლად; ხელს უწყობს მხარეებს შორის კომუნიკაციას, რათა მოუსმინონ და გაუგონ ერთმანეთს; ეხმარება, რომ მოლაპარაკებები არ შევიდეს ჩიხში და, საჭიროების შემთხვევაში, იყენებს სწორ მეთოდებს ჩიხიდან გასასვლელად.

ერთ-ერთი ასეთი მეთოდია მედიატორის ინდივიდუალურად მუშაობა მხარეებთან, რათა კონფიდენციალურად შეისწავლოს, თუ რა უშლით ხელს კონსტრუქციულ მოლაპარაკებაში და მათთან ერთად იპოვოს ჩიხიდან გამოსავალი. ამ საუბრის შინაარსი კონფიდენციალურია, მათ შორის, სხვა მხარისთვისაც.

3. მედიაციის მთავარი მახასიათებლები

როგორც ცნობილია, მედიაცია ნებაყოფლობითი პროცესია - ის არ იწყება მხარეთა მკაფიო თანხმობის გარეშე და კლიენტს შეუძლია, ნებისმიერ დროს თქვას უარი პროცესზე, ისე, რომ ამას უარყოფითი შედეგები არ ჰქონდეს ნებისმიერ სხვა პროცესში, რომელიც აუცილებელია დავის გადაწყვეტისთვის.

---

[1] საფასური შეიძლება შეგროვდეს მხარეებისგან, ასევე, იურიდიული დახმარებისა თუ სხვა დამფინანსებელი სუბიექტებისგან, ანდა მედიატორი შეიძლება მოქმედებდეს *pro bono* საფუძველზე.

რა თქმა უნდა, არის სიტუაციები, როდესაც შეიძლება არსებობდეს პატივსაცემი მიზეზები სასამართლო პროცესის დასაწყებად ან გასაგრძელებლად (მაგ: როდესაც საჭიროა წინმსწრები სამართლებრივი ზომა). გარდა ამისა, მედიაციის ნებაყოფლობითობა ნიშნავს, რომ ის ყველა სხვა ვარიანტს ღიად ტოვებს კლიენტისთვის, განსხვავებით დავის გადაწყვეტის მრავალი სხვა მეთოდისგან, რომლებიც შეიძლება ცალმხრივი იყოს, ფორმალური თუ პრაქტიკული მიზეზების გამო.

მარტივად რომ ვთქვათ, კლიენტს არა მხოლოდ მედიაციაში შესვლა და მისი დატოვება შეუძლია, არამედ დატოვების შემდეგაც ინარჩუნებს წვდომას იმავე რაოდენობის ვარიანტებზე. ამ შემთხვევაშიც, მედიაცია არის ვარიანტი, რომელიც შეიძლება „სამართლიანად“ შეფასდეს სხვა ვარიანტებთან მიმართებით: ჩვეულებრივ, ის არ გამორიცხავს, ზღუდავს ან ართულებს კლიენტის წვდომას კონფლიქტის მოგვარების სხვა სტრატეგიებზე, მეთოდებსა თუ პროცედურებზე, ანუ სასამართლოში დაბრუნების გზაზე. ზოგადად, მედიაცია უარყოფითად არ მოქმედებს კლიენტის მანევრირების სივრცეზე და არ ართმევს მას რაიმე მოთხოვნას ან უფლებას. ფაქტობრივად, ყველაფერი პირიქითაა - ანუ მედიაცია ხშირად უხსნის კარს ახალ შესაძლებლობებს, რომლებიც მანამდე დახურული იყო ან გამოუყენებელი რჩებოდა კლიენტისთვის.

ხშირად არსებობს მცდარი მოსაზრება, რომ მედიაცია მარტივი, მეგობრული, მაგრამ არაეფექტიანი პროცესია. მართლაც, მედიაციას არაკონფრონტაციული ბუნება აქვს, მაგრამ, ამავდროულად, ის მოითხოვს ინტელექტუალურ ძალისხმევას, რადგან მედიაცია უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ საკუთარი ნარატივებისა და თეორიების შექმნა და შემდეგ დამხმარე არგუმენტების ძიება.

მედიაცია არ გულისხმობს დარწმუნებას იმაში, თუ ვინ არის მართალი და ვინ - მტყუანი, რადგან შეუძლებელია კონფლიქტთა ეფექტიანად გადაჭრა ამ გზით. როგორც წესი, არცერთ მხარეს არ აქვს საკმარისი დამაჯერებელი არგუმენტი ან ძალა მეორე მხარის ნების ან ხედვის შესაცვლელად. სინამდვილეში, დარწმუნება ერთის თვალსაზრისის სისწორეში, რომელიც სრულად ეწინააღმდეგება მეორის ხედვას, ხშირად პრობლემის მთავარი ნაწილია და, თავისთავად, სულაც არ არის საფუძვლიანი მიზეზი მედიაციაზე უარის თქმისთვის, რადგან ყოვლად შესაძლებელია, მხარეები ცდებოდნენ თავიანთ რეალურ პოზიციასთან მიმართებით, რომელიც შეიძლება სწორედ მედიაციის მეშვეობით გამოვლინდეს.

მედიაცია არის მიმდინარე პრობლემათა განსაზღვრა და მათი გადაჭრის გზების ძიება. ეს ამოცანა გულისხმობს აზროვნების გარკვეული (ჩვეულებრივ, უსარგებლო ან დესტრუქციული) შაბლონების რღვევას და მთელი კონფლიქტური სიტუაციის შემოქმედებითად განმარტებას, რათა მან იმუშაოს ორივე მხარის სასარგებლოდ. შესაძლებელია ითქვას, რომ მედიაცია გააზრება და კრეატიულობაა. უმეტესობის აზრით, ეს სათანადო მართვის ნაწილია, რომელიც, როგორც წესი, ნაყოფსაც იძლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მედიაცია უნდა განიხილებოდეს ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციის მოგვარების ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად, მრავალთა შორის. თუმცა, იმისათვის, რომ კლიენტმა ისარგებლოს არჩევანის თავისუფლებით, ყველა ასეთი ვარიანტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს მისთვისაც. ამ შემთხვევაში, კლიენტმა უნდა იცოდეს მედიაციისა და მისი უპირატესობების შესახებ და ჭეშმარიტად გაიაზროს პროცესი. ამ მიზნით, კლიენტი სათანადოდ და ობიექტურად უნდა იყოს ინფორმირებული პროცესის ყველა შესაძლო ვარიანტზე, მათ შორის, მედიაციაზე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც შეესაბამება მის საუკეთესო ინტერესს. რა თქმა უნდა, ადვოკატის პროფესიული მოვალეობაა, კლიენტს სრული და სანდო ინფორმაცია მიაწოდოს მედიაციაზე და დაეხმაროს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში.

4. ადვოკატთა როლი მედიაციაში

a. დავის გადაჭრის მეთოდის არჩევა, როგორც საქმის ანალიზის თანდაყოლილი ნაწილი

საქმის გაანალიზებისას ან კლიენტის დავის განხილვისას, ადვოკატებმა ყოველთვის უნდა იხელმძღვანელონ დასაბუთებული მიდგომით და არ იმოქმედონ არანაირი მიკერძოებით, ტენდენციურობით ან წინასწარგანწყობით. კერძოდ, როდესაც საქმე ეხება ხელმისაწვდომი მეთოდების არჩევას კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად, მნიშვნელოვანია, ადვოკატები საკითხს მიუდგნენ ანალიტიკურად და ობიექტურად. ასეთი პროფესიონალური დამოკიდებულება ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ნებისმიერი საქმის გაანალიზებისას. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია კლიენტთა მახასიათებლები, სპეციფიკური საჭიროებები და უპირატესობები, ასევე, მეორე მხარის დამოკიდებულება და ქმედებები.

იმისათვის, რომ კლიენტმა სწორი არჩევანი გააკეთოს, პრაქტიკოსი ადვოკატები კარგად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი დავის გადაწყვეტის ყველა არსებულ მეთოდზე, მათ მახასიათებლებზე, რეკომენდებულ ინსტიტუტებსა და მომსახურების მიმწოდებლებზე, რათა შეძლონ ამ მეთოდების ეფექტიანად შეთავაზება კლიენტისთვის, შემდეგ კი პროფესიონალური დახმარების გაწევა არჩეულ პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღწერილი მეთოდოლოგიის შეუსრულებლობას შეიძლება თავისი შედეგები ჰქონდეს კლიენტისთვის, და ბევრად უფრო სერიოზულიც, ვიდრე გულისხმობს დავის გადაწყვეტის შეუსაბამო მეთოდის არჩევა. დავის გადაწყვეტის შესაბამისი პროცესის არჩევა საგულისხმოა იმ თვალსაზრისითაც, რომ შეუძლია, მნიშვნელოვნად იმოქმედოს კლიენტის პოზიციაზე, ანუ წინასწარ განსაზღვროს ან შეამციროს შესაძლო შედეგების რაოდენობა და ამით ზედმეტად შეზღუდოს იმ ვარიანტთა დიაპაზონი, რომლებიც, ჩვეულებრივ, ხელმისაწვდომი იქნებოდა კლიენტისთვის. ამ მიზეზით, ადვოკატებმა არ უნდა გამოტოვონ/უგულებელყონ დავის გადაწყვეტის კონკრეტულ პროცესთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა საკუთარ კლიენტებთან. ეს არის მეთოდოლოგიური შეცდომა, რომელიც შეიძლება კვალიფიცირდეს ადვოკატის დაუდევრობად და პროფესიულ გადაცდომადაც კი.

ამიტომ, როდესაც კლიენტი ირჩევს დავის გადაწყვეტის ყველაზე შესაფერის მეთოდს, ადვოკატმა ყოველთვის გულდასმით უნდა მისცეს რჩევა ამ საკვანძო საკითხზე, რადგან ეს საქმის ფრთხილი და სწორი ანალიზის განუყოფელი ნაწილია. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ კლიენტის ინტერესი მოიცავს როგორც მატერიალურ, ასევე პროცედურულ ასპექტებს, რომლებიც თანაბრად მნიშვნელოვანია მისთვის და, შესაბამისად, ორივე სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა. აქედან გამომდინარე, პირებმა, რომლებიც საქმეს სამართლებრივად აანალიზებენ, თავიდანვე უნდა განიხილონ კონფლიქტური სიტუაციის მოგვარების ყველა შესაძლო ვარიანტი და ამ კონტექსტში შეაფასონ საქმის პოზიცია.

აღსანიშნავია, რომ დავის გადაწყვეტის შესაფერისი მეთოდის არჩევანი შეიძლება განისაზღვროს ადრეულ ეტაპზევე და კონფლიქტის წარმოშობამდე ბევრად ადრეც, ანუ ხელშეკრულების დადებისას. ამიტომ, კონტრაქტის შედგენისას ადვოკატმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს, ხომ არ შეუძლია მედიაციას ხელშემკვრელ მხარეთა დახმარება, ან არის თუ არა ის განსაკუთრებულად აქტუალური გარკვეულ სიტუაციებში, მაგალითად, სახელშეკრულებო ურთიერთობის ბუნებიდან ან ტიპიდან გამომდინარე. თუ ასეა, გასათვალისწინებელია, რომ კონტრაქტში შეიძლება შევიდეს დებულება მედიაციის შესახებ. ფაქტობრივად, ეს ყველაზე შესაფერისი მომენტია მედიაციის ცნების შემოსაღებად, რა დროსაც ხელშემკვრელ მხარეებს აქვთ კარგი ერთობლივი პერსპექტივები და ერთმანეთს კვლავაც პარტნიორებად განიხილავენ.

b. კლიენტისთვის რჩევის მიცემა კონფლიქტის გადაჭრის შესაფერის მეთოდზე

იმისათვის, რომ კლიენტს რჩევა მისცეს დავის გადაწყვეტის პროცესის არჩევისას, ადვოკატი საკმარისად უნდა იცნობდეს კონკრეტულ საკითხს; ამასთანავე, მან საფუძვლიანად უნდა გაანალიზოს არსებული ვარიანტები ხარჯებისა და სარგებლის თვალსაზრისით. ეს ნაბიჯი ადვოკატმა არ უნდა გამოტოვოს ან უგულებელყოს; მას ყოველთვის უნდა შეეძლოს თავისი კლიენტისთვის ჩვენება, რომ აღნიშნული პროფესიული დავალება სათანადოდ შეასრულა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე, კლიენტმა გააცნობიეროს პროცესის შესაძლო ხანგრძლივობა, ღირებულება, არსებული რისკები, სასურველი შედეგის მიღწევის ალბათობა და აღსრულების ეტაპთან დაკავშირებული რისკები.

ამიტომ, აუცილებელია, ადვოკატმა საქმეში შეაფასოს ეს რისკები, გასაზღვროს საუკეთესო და უარესი სცენარები და რეალისტური მიზნები, რის მიხედვითაც კლიენტი შეძლებს პროცესის ხელმისაწვდომ ვარიანტთა შეფასებას. რისკების შეფასებას შეიძლება დასჭირდეს გადახედვა და განახლება საქმის განვითარების მიხედვით (მაგ: არჩეულ პროცესში მეტი ინფორმაციისა და მტკიცებულებების შეგროვების გამო). საქმის წინასწარი შესწავლა და სიტუაციის დოკუმენტირებული შეფასება კლიენტს ეხმარება ხელმისაწვდომ ვარიანტთა უკეთ შეფასებასა და რეალისტური მოლოდინების ჩამოყალიბებაში.

თუ დამაჯერებელი მიზეზები (მაგ: გადაუდებელი მდგომარეობა) სხვაგვარად არ მოითხოვს, კლიენტმა სასამართლო ან საარბიტრაჟო წარმოება უნდა დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეისწავლის დავის გადაწყვეტის ყველა შესაძლო ვარიანტს, მათ შორის, მედიაციასა და სხვა ალტერნატიულ მეთოდებს. მედიაცია შეიძლება განსაკუთრებულად შესაფერისი პროცესი იყოს, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:

- კლიენტი უპირატესობას ანიჭებს მედიაციას;
- კლიენტს სურს, თავი აარიდოს სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვას;
- კლიენტი ხელშეკრულებით ვალდებულია, სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვისთვის მიმართვამდე, გამოიყენოს მედიაცია;
- კლიენტს არ აქვს სამართალწარმოებისთვის საჭირო სახსრები;
- წამოიჭრება მოქმედი კანონმდებლობის/იურისდიქციის საკითხები, რაც მედიაციას უფრო მიზანშეწონილს ხდის;
- არცერთი სადავო საკითხი არ არის სამართლებრივად კომპლექსური ან ახალი და არ მოითხოვს სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას;
- მხარეებს აქვთ საერთო საქმიანი ან პირადი ინტერესები, რომლებსაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დავამ (მაგ: მიმდინარე საქმიანი ან ოჯახური ურთიერთობა);
- მნიშვნელოვანია დავის სწრაფად გადაწყვეტა: კერძოდ, სასამართლო პროცესს შეიძლება სხვა (შიდა ან გარე) უარყოფითი შედეგები ჰქონდეს კლიენტისა ან მისი საქმიანობისთვის;
- სასამართლო გადაწყვეტილება საკმარისად ვერ წყვეტს ძირითად საკითხებს ან, რაიმე სხვა მიზეზის გამო, შეუსაბამო ან არასასურველია დავის წარდგენა გარე მესამე მხარისთვის (მაგ: სახელმწიფოსა ან საარბიტრაჟო სასამართლოსთვის);
- სასამართლო წარმოებას შეუძლია დავის მხოლოდ ნაწილობრივ გადაჭრა;
- არსებობს რისკი, რომ სასამართლო გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება ეფექტიანად;
- სასამართლო პროცესის ჩატარება ეწინააღმდეგება კლიენტის სხვა სასიცოცხლო ინტერესებს;
- დავის საგანს უპირატესად მმართველობითი ბუნება აქვს;
- სარჩელის ხარჯები არ არის არსებული ინტერესების პროპორციული;
- დავა შეიძლება გამოწვეული იყოს არასწორი კომუნიკაციით, როგორიცაა განსხვავებები მონაცემებში, პირადი კონფლიქტი, ან კულტურული განსხვავებები;
- კლიენტისთვის მნიშვნელოვანია, დავა მკაცრად კონფიდენციალური იყოს.

დავის გადაწყვეტის სხვა პროცესები მოიცავს ექსპერტის განსაზღვრას, ადრეულ ნეიტრალურ შეფასებას, განსჯას, განმხილველი საბჭოების მუშაობას და ა. შ. გადაწყვეტილების მიღების

ასეთი მეთოდები შეიძლება მიზანშეწონილი იყოს, როდესაც, მაგალითად, დავა ეხება აშკარად ტექნიკურ ან სახელშეკრულებო უთანხმოებას.

ნებისმიერი დავა, რომელიც ვერ გადაიჭრება არასასამართლო გადაწყვეტით, შეიძლება საბოლოოდ გადაწყდეს სასამართლოს ან არბიტრაჟის გზით.

c. კლიენტის დახმარება მედიაციის მაგიდასთან ან/და მის მიღმა

ადვოკატი შეიძლება სხვადასხვა გზით ჩაერთოს მედიაციის პროცესში:

1. თავისი კლიენტი მოამზადოს მედიაციისთვის და შემდეგ დატოვოს, რათა მან მარტომ გაიაროს მედიაციის პროცესი;

2. თავისი კლიენტის გვერდით იყოს მთელ მედიაციის პროცესში;
   ეს, რა თქმა უნდა, ოპტიმალური სიტუაციაა ადვოკატის პერსპექტივიდან, ვინაიდან მას საუკეთესოდ შეუძლია კლიენტის დახმარება პროცესის ყველა კრიტიკულ ეტაპზე, როგორიცაა:

   a) კლიენტის დახმარება პროცესის სრულად გააზრებაში და პასუხის გაცემა კითხვებზე;
   b) გადაწყვეტილების მიღება პროცესის არჩევასა და საქმის მედიაციისთვის გადაცემაზე;
   c) მედიაციის შეთავაზება/შეთავაზების მიღება მეორე მხარისგან:
   d) შესაბამისი მედიატორის განსაზღვრა, შერჩევა და დანიშვნა;
   e) მედიაციის თაობაზე შეთანხმების/ჩართულობის წესების (არსებობის შემთხვევაში) გაფორმება;
   f) მედიატორის ინსტრუქტაჟი;
   g) მონაწილეობა წინასამედიაციო შეხვედრებში კლიენტსა და მედიატორს შორის (არსებობის შემთხვევაში);
   h) საჭიროებისას, ექსპერტთა შერჩევა, დანიშვნა და ინსტრუქტაჟი;
   i) კლიენტისთვის იურიდიული კონსულტაციის/მოსაზრების მიწოდება სამართლებრივ საკითხებზე, უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც წარმოიშობა დავის დროს;
   j) კლიენტის საქმის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება;
   k) სხვა მხარეთა საქმეების ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება;
   l) იმ ხარჯების დაგეგმვა (იურიდიული მომსახურების ხარჯების ჩათვლით), რომლებიც კლიენტმა აქამდე გაწია დავასთან დაკავშირებით;
   m) სავარაუდო ხარჯების გამოთვლა (იურიდიული მოსაკრებლების ჩათვლით), რომლებიც გაიწევა, თუ საკითხი არ გადაწყდება მედიაციის დროს;
   n) კლიენტის დახმარება მოლაპარაკების სტრატეგიის მომზადებაში ფინანსურ საქმეებში მედიაციისთვის/მორიგებისთვის;
   o) კლიენტის დახმარება, რომ განსაზღვროს თავისი საჭიროებები და ინტერესები დავის მედიაციის გზით გადაწყვეტაში;
   p) ალტერნატიული სცენარების განხილვა კლიენტთან ერთად და, ზოგადად, მისი მოლოდინის მართვა იმის მითითებით, თუ რისი მიღწევა შეიძლება სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვისას;
   q) კლიენტის დახმარება, რომ შეიმუშაოს მედიაციის მოკლე შეჯამება, ან განცხადება პოზიციის შესახებ, ნებისმიერი ერთობლივი სამედიაციო შეხვედრისთვის;
   r) კლიენტის დახმარება გადაწყვეტილების მიღებაში, თუ ვინ დაესწრება მედიაციის შეხვედრებს იმ გუნდის შემადგენლობაში, რომელიც კლიენტის მხარეს წარმოადგენს შეხვედრებზე;
   s) კლიენტის დახმარება დავის მოგვარების ალტერნატიული ვარიანტების განსაზღვრაში, ან/და მათი შეთავაზება;
   t) ზოგადად, კლიენტის დახმარება მედიაციისთვის მომზადებაში, გააზრება, რომ მედიაციაში, ისევე, როგორც ყველა სხვა პროცესში, მოუმზადებლობა, როგორც წესი, უდრის წარუმატებლობას;
   u) კლიენტისთვის რჩევის მიცემა, როდესაც მუშავდება შეთანხმების პროექტი მედიაციის გზით მორიგებისათვის;

v) მედიატორის დახმარება საჭიროების ან მოთხოვნის შესაბამისად.

3. კლიენტი მარტოა მედიაციის დასაწყისში, მისი ადვოკატი კი პროცესში ერთვება საბოლოო ეტაპზე – ის ეხმარება დასკვნის შემუშავების პროცესში, რომელიც უნდა მიიღოს სხვადასხვა ვარიანტებიდან, ასევე, საბოლოო (მორიგების ან სხვა) შეთანხმების მომზადებაში;

4. ადვოკატი პროცესში წარმოადგენს კლიენტს, როდესაც ეს უკანასკნელი პირადად არ იმყოფება მედიაციაზე. მედიაციის პროცესში კლიენტის ყოფნა, როგორც წესი, საჭიროა ან, სულ მცირე, რეკომენდებულია მედიატორთა მხრიდან. მედიატორი დაჟინებით მოითხოვს, რომ მედიაციის თითოეული მხარე, ფიზიკური პირი იქნება ეს, თუ იურიდიული, წარმოდგენილი იყოს ერთი ადამიანით, რომელსაც ექნება სრული უფლებამოსილება დავის მოსაგვარებლად და მოგვარების სავალდებულო შეთანხმების დასადებად, ამ მხარის სახელით. როდესაც იზღუდება მხარის წარმომადგენლის სრული უფლებამოსილება, რომ დაავალდებულოს მხარე მორიგების შეთანხმებით, მედიატორი ვალდებულია, განსაზღვროს ეს შეზღუდვები და ყველა სხვა მხარეს აცნობოს მათი არსებობისა და მასშტაბის შესახებ. თავად მხარეთა დასწრება (მაგ: აღმასრულებელი დირექტორის ან კორპორაციული მხარის სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლის) აიოლებს ახალი გადაწყვეტების მოძებნას. მედიაციის წარმატებით განსახორციელებლად, აუცილებელია სრული უფლებამოსილება მორიგების გადაწყვეტილების მისაღებად.

მაგალითი 1: ადვოკატის დასწრება მედიაციის შეხვედრაზე შეიძლება აუცილებელი არ იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის პრობლემა გამოწვეულია კომუნიკაციის შეცდომით, ან მთავარი პრობლემა ემოციური საკითხია და არა სამართლებრივი. ამ შემთხვევაში, ადვოკატს უნდა ესმოდეს, რომ კლიენტს შეიძლება არ დასჭირდეს მეორე მხარესთან კომუნიკაცია პროფესიონალური სამართლებრივი მხარდაჭერით, რადგან არანაირი სამართლებრივი საკითხი არ განიხილება. მედიატორს შეუძლია ხელსაყრელი გარემოს შექმნა ღია დისკუსიისთვის, კლიენტის უფლებათა დაცვით. თუმცა, უაღრესად მნიშვნელოვანია, ვიდრე კლიენტი მოაწერს ხელს, ადვოკატმა განიხილოს მედიაციის თაობაზე შეთანხმება (ეს შეიძლება დამოკიდებული იყოს დავის საგანზე).

კლიენტის მომზადება ამ შემთხვევაში მოიცავს მის ინფორმირებას იმ უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც აქვს მედიაციის პროცესში. მედიატორთა ძალისხმევით, მხარეებმა უნდა გაიაზრონ პროცესის არსი და საკუთარი უფლება-მოვალეობები ამ პროცესში. აღნიშნული კუთხით, ადვოკატებს შეუძლიათ, თავიანთ კლიენტებს ინფორმაცია მიაწოდონ შემდეგ საკითხებზე:

- მედიაციის ნებაყოფლობითი ბუნება;
- დოკუმენტები, რომლებსაც ხელი უნდა მოაწერონ მედიაციის დასაწყისში (შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით);
- კონფიდენციალურობის დაცვა;
- მედიატორის მოსაკრებელი;
- მედიაციის პროცესის ხანგრძლივობა;
- შეზღუდვებისა და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ეფექტი;
- მედიაციის შეთანხმების მოქმედების ვადა;
- მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღიარება და აღსრულება (დამოკიდებულია სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემაზე ან განსხვავებებზე საერთაშორისო საქმეებში).

კლიენტის მომზადება განხილვის არსის შესახებ (მაგ: რა ფაქტები უნდა დააყენოს მან და რომელი ინფორმაცია არ უნდა გამჟღავნდეს მედიაციის შეხვედრაზე) დამოკიდებულია არა მხოლოდ მედიაციის ბუნებაზე სხვადასხვა იურისდიქციაში, არამედ თითოეული ადვოკატის მუშაობის ინდივიდუალურ სისტემასა და მოლაპარაკების სტრატეგიაზე, რაც წინასწარ უნდა

განიხილონ.

მაგალითი 2: თუ ადვოკატი კლიენტს ახლავს პროცესის დაწყებიდან დასრულებამდე, მისი როლი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოცულობის დახმარებას სთხოვენ მედიაციის პროცესში. ნებისმიერ შემთხვევაში, იურისტები მოქმედებენ, როგორც იურიდიული კონსულტანტები.

თუ ერთ-ერთი მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, მედიატორს შეუძლია, მოითხოვოს, რომ მეორე მხარესაც ეხმარებოდეს ადვოკატი. თუ მედიაციის დროს ვერ ხერხდება, რომ ორივე მხარე ადვოკატით იყოს წარმოდგენილი, მედიატორს შეუძლია, არ გააგრძელოს პროცესი, თუკი უადვოკატოდ წარმოდგენილი მხარე გააპროტესტებს მეორე მხარის ადვოკატის დასწრებას პროცესზე. გარდა ამისა, მედიატორებმა უნდა შეაფასონ ძალთა ბალანსიც მხარეთა შორის, რათა განსაზღვრონ, მიზანშეწონილია თუ არა, მხოლოდ ერთ მხარეს ეხმარებოდეს ადვოკატი.

მაგალითი 3: მედიაციის დასაწყისში მედიატორი, როგორც წესი, ითვალისწინებს მხარეთა დამოკიდებულებას, აფასებს ყველა საკითხს და შემდეგ მხარეებთან ერთად განსაზღვრავს გადასაწყვეტ საკითხებს. ამ ეტაპს „მარტივ“ საქმეებში შეიძლება ერთი საათი დასჭირდეს, კომპლექსურ საქმეებში კი - ორზე მეტი შეხვედრა, მედიატორის მეთოდოლოგიიდან და მედიაციის მოდელიდან გამომდინარე. მხოლოდ ამ ეტაპის შემდეგ უნდა დაიწყონ მხარეებმა კონკრეტული გადაწყვეტების ძიება და მისი დასრულებისას განიხილება სხვადასხვა ვარიანტი საბოლოო შეთანხმების საპოვნელად. როდესაც შეთანხმება მიიღწევა, ის, ჩვეულებრივ, იდება წერილობითი ფორმით. თუ ადვოკატს სურს დასწრება მედიაციის ნაწილზე, მაგრამ არა მთელ პროცესზე, ის პროცესში უნდა შევიდეს შეთანხმების მომზადებამდე, რათა კლიენტს დაეხმაროს შესაბამისი გადაწყვეტების შერჩევაში და, საჭიროებისას, მიაწოდოს რჩევაც.

მაგალითი 4: თუ ადვოკატი კლიენტს წარმოადგენს კლიენტის დაუსწრებლად (რაც ზოგადად არ არის რეკომენდებული, ზოგ წევრ ქვეყანაში კი სულაც შეუძლებელია), ადვოკატს უნდა ჰქონდეს შეძლებისდაგვარად ბევრი ინფორმაცია და სრულად იცნობდეს მის სურვილებს, საჭიროებებსა და უპირატესობებს. მედიატორს (სამართლებრივი სისტემის მიხედვით) შეუძლია, მოითხოვოს წერილობითი მინდობილობა, კონკრეტული მითითებებით მედიაციის პროცესთან მიმართებით.

d. მორიგების შეთანხმების შემუშავება

როდის უნდა მოეწეროს ხელი შეთანხმებას?

მედიაციისას მიღწეულმა შეთანხმებამ უნდა გაუძლოს დროს. თუ შეთანხმება კარგია დღეს, კარგი უნდა იყოს ხვალაც და სამ თვეშიც.

ამ მიდგომით, შეთანხმების ხელმოწერა მედიაციის სესიის დასრულებისთანავე არ არის აბსოლუტურად „სავალდებულო პირობა“, თუმცა ხშირად ეს ასე ხდება, ან ასე ითხოვენ მხარეები, რომლებიც შეიძლება შიშობდნენ, რომ მეორე მხარე აზრს შეიცვლის.

თუ შეთანხმება „მარტივია“ (მაგ: მოიცავს ერთჯერად გადახდას და სრულად აგვარებს მიმდინარე დავას), მისი დაუყოვნებლივ ხელმოწერა შეიძლება სასურველი ვარიანტი იყოს.

თუ შეთანხმება უფრო კომპლექსურია და მისი შესრულება მოიცავს სხვადასხვა ეტაპს ან დამოკიდებულია გარკვეულ პირობებზე, კონტრაქტის დაუყოვნებლივ შედგენა შეიძლება არ იყოს საუკეთესო ვარიანტი. იმისათვის, რომ კონტრაქტი კარგად იყოს გააზრებული და ფარავდეს შეთანხმების პროცესში წამოჭრილ ყველა საკითხს, მის შემუშავებას შეიძლება უფრო მეტი დრო დასჭირდეს, ვიდრე ხელმისაწვდომია მედიაციის (ხშირად ხანგრძლივი ან დამღლელი) სესიის ბოლოს. ასეთ შემთხვევაში, მედიატორმა მხარეებსა და მათ ადვოკატებთან

ერთად უნდა გაუწიოს ორგანიზება შემუშავების პროცესსა და მის ვადებს, რომლებიც მისაღები იქნება მხარეებისთვის.

ვინ წერს შეთანხმებას?

როგორც წესი, თუ მხარეთა ადვოკატები მონაწილეობენ მედიაციის პროცესში, შეთანხმების პროექტი მათ უნდა შეიმუშაონ. ეს მათი საქმის ნაწილია: ისინი კლიენტებმა დაიქირავეს, რათა ითანამშრომლონ გადაწყვეტის საპოვნელად და დაწერონ მედიაციისას მიღწეული შეთანხმება. შეთანხმების შემუშავება უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე გულისხმობს წამოჭრილი ზოგადი და ძირითადი პრინციპების წერილობით ჩამოყალიბება. მედიატორმა არ უნდა (ეცადოს) ჩამოართვას ადვოკატებს პასუხისმგებლობის ეს ნაწილი. ამას შეიძლება უარყოფითი შედეგები მოჰყვეს განხილვის მოლოდინში არსებული სარჩელებისთვისაც, რომლებზეც ადვოკატებმა უნდა იზრუნონ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ხშირად მედიატორები არ არიან კვალიფიციური ადვოკატები და, შესაბამისად, არ აქვთ იურიდიული რჩევის მიცემის უფლება.

მხარეთა ადვოკატების წვლილი შეიძლება ასევე მნიშვნელოვანი იყოს შეთანხმების შესრულების ორგანიზებასა ან მონიტორინგში (მაგ: კრედიტორის ადვოკატი იმ სიტუაციაში, როდესაც შეთანხმების გაფორმების დროისათვის არ არის მიღწეული სრული მორიგება). ეს შეიძლება მოიცავდეს საკითხებს, რომლებიც საჭიროებს განხილვას: მაგალითად, სააღსრულებო ფურცლის მიღება სასამართლოსგან, ნოტარიუსისა ან სხვა ორგანოსგან, საგირავნო უფლებების ორგანიზება, რომლებიც შეთანხმდა გადახდების უზრუნველსაყოფად და ა. შ.

კონტრაქტის შედგენა სცდება ძირითადი დებულებების ფარგლებს, რომლებიც ზოგადად შეთანხმდება მედიაციის დროს. ის ფოკუსირებულია იმ დეტალებსა ან საკითხებზეც, რომლებიც შესაძლოა დეტალურად არ განხილულა (ან გამორჩათ, რადგან მათი მნიშვნელობა თავიდან აშკარა არ იყო და მხოლოდ შეთანხმების შემუშავებისას გამოიკვეთა, ან სხვა მიზეზით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციის (არა)ნებაყოფლობით დამალვას შემუშავების პროცესამდე). ეს პუნქტები შეიძლება პრობლემატური აღმოჩნდეს და ახალი, გაუთვალისწინებელი სირთულეები წარმოშვას.

ზოგ იურისდიქციაში მხარეებმა, რომლებსაც არ ეხმარებათ ადვოკატი, შეიძლება მედიატორს სთხოვონ შეთანხმების შემუშავება. თუ საქმე სწორხაზოვანია და მასზე ვრცელდება ზემოაღნიშნული დათქმები, შეიძლება ეს მისაღები იყოს. თუმცა, რეკომენდებულია, მედიატორს კავშირი ჰქონდეს მხარეთა ადვოკატებთან (არსებობის შემთხვევაში). საუკეთესო პრაქტიკა შეიძლება მოითხოვდეს, რომ მედიატორმა მხარეებს შესთავაზოს შემუშავების პროცესის გადაბარება ადვოკატებისთვის, რომლებიც გამოიყენებენ მედიატორის მიერ მიღწეული შეთანხმების დეტალთა მოკლე შეჯამებას.

თუმცა, როცა მხარეები ან/და მათი ადვოკატები მედიატორს სთხოვენ შეთანხმების შემუშავებას, დოკუმენტი უნდა მომზადდეს პროფესიონალ ადვოკატებთან კონსულტაციით, რომლებიც დაამტკიცებენ მას: ანუ მედიატორმა პროექტი განსახილველად უნდა გადაუგზავნოს ადვოკატებსა და მხარეებს, სთხოვოს კომენტარებისა და წინადადებების წარმოდგენა და კავშირი შეინარჩუნოს მათთან იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც შეიძლება იწვევდეს დაძაბულობას.

თუ ადვოკატი არ იყო ჩართული პროცესში, მედიატორმა მხარეებს უნდა მიაწოდოს თავისი პროექტი და საბოლოოდ შესთავაზოს შეთანხმების დამოუკიდებლად განხილვა ადვოკატთან. გაუგებრობის ასაცილებლად, მედიატორმა მხარეებს უნდა შესთავაზოს, რომ მათი ადვოკატებიც დაუკავშირდნენ მას, რათა განუმარტოს მიღწეული შეთანხმების ლოგიკა და მიზეზები. ადვოკატი, რომელიც არ დასწრებია მედიაციას, შეიძლება გაკვირვებული დარჩეს ნაპოვნი გადაწყვეტის ზოგიერთი ელემენტით, რადგან ვერ გაიგოს მიღწეული შეთანხმების ყველა პარამეტრი და მიზეზი.

e. მორიგების შეთანხმების აღსრულება

2008 წლის დირექტივა მედიაციის შესახებ, კერძოდ, მისი მე-6 მუხლი, ითვალისწინებს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მედიაციის შედეგად მიღებულ შეთანხმებათა აღსრულება. მათი ძალისხმევით, მხარეებმა - ან ერთ-ერთმა მხარემ, მეორის ცალსახა თანხმობით - უნდა მოითხოვონ, რომ მედიაციის შედეგად მიღწეული წერილობითი შეთანხმების შინაარსი იყოს აღსრულებადი.

ასეთი შეთანხმების შინაარსი ექვემდებარება აღსრულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსახილველ საქმეში შეთანხმების შინაარსი ეწინააღმდეგება წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობას, სადაც გაკეთდა მოთხოვნა, ან ამ ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მის აღსრულებას. შეთანხმების შინაარსი შეიძლება აღსრულებადი გახდეს სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით/განჩინებით, ან საჯარო აქტით, იმ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც გაკეთდა მოთხოვნა.

მედიაციის შეთანხმების აღსრულებისათვის სასამართლოში მიმართვის პროცედურა დამოკიდებულია იმ სახელმწიფოში მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობაზე, სადაც გაკეთდა მოთხოვნა (locus regit actum).

5. მედიატორის შერჩევა და დანიშვნა

მედიაციის პროცესში ადვოკატთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კლიენტთა დახმარება მედიატორის შერჩევასა და დანიშვნაში. მედიაცია შეიძლება საუკეთესო (თუ არა ერთადერთი) ვარიანტი იყოს კლიენტისთვის, რომ დავა გადაწყვიტოს შეთანხმებით, სასამართლო დავის გარეშე, ხოლო ადვოკატებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმაზე, რომ მედიაციას ჰქონდეს წარმატების შეძლებისდაგვარად დიდი შანსი. მედიატორის შერჩევა გადამწყვეტი ფაქტორია ამ მიზნის მისაღწევად.

საპირისპირო მოსაზრებები არსებობს სხვადასხვა დარგში კომპეტენციის შესახებ (მაგ: სამშენებლო დავაში მედიატორი ინჟინერი უნდა იყოს, პროექტის მენეჯერი, თუ სამშენებლო იურისტი?). მედიატორის გამოცდილებასა და ცოდნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ, თუ დაახლოებით ერთნაირი გამოცდილების მქონე რამდენიმე კანდიდატიდან ერთის თავდაპირველი პროფესია დარგობრივია, შესაძლოა უპირატესობა მას მიენიჭოს. ამავე დროს, კლიენტს სჭირდება მედიატორის გამოცდილება და ცოდნა მედიაციის სფეროში.

მხარეებმა შეიძლება მიიჩნიონ, რომ გარკვეული პროფესიული ან პირადი გამოცდილების მქონე მედიატორი უფრო შეეფერება კონკრეტულ შემთხვევას. მაგალითად, მედიატორი, რომელიც არის ადამიანური რესურსების სპეციალისტიც, შეიძლება ადვოკატ-მედიატორზე უკეთესი არჩევანი იყოს დავებში, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილს ან მნიშვნელოვანწილად მოიცავს კონფლიქტს სამუშო ადგილზე. გარდა ამისა, ზოგჯერ კონკრეტული ცნებებისა და ტერმინოლოგიის გააზრება მედიატორის მიერ შეიძლება უპირატესობას ქმნიდეს დროის დაზოგვის კუთხით. თუმცა, მხარეებისთვის მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს არა კანდიდატის პროფესიული განათლება, არამედ მისი უნარები და გამოცდილება მედიაციის სფეროში.

ზოგჯერ მხარეებმა შეიძლება უპირატესობა მიანიჭონ ადვოკატ-მედიატორს, თუ კონკრეტული დავა მნიშვნელოვანწილად მოიცავს სამართლებრივ ასპექტებს, ან უკავშირდება სახელშეკრულებო, ნორმატიულ თუ სხვა სამართლებრივ უფლება-მოვალეობათა განმარტებას. თუმცა, მედიატორის იურიდიული ცოდნა ყოველთვის მეორეხარისხოვანი უნდა იყოს მედიაციის სფეროში გამოცდილებასა და ცოდნასთან შედარებით, ვინაიდან მედიატორს

არანაირი როლი არ აქვს შეპირისპირებული სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრასა ან შეჯერებაში. მედიაციის მხარეები თავიანთ ადვოკატებს უნდა დაეყრდნონ იმისათვის, რომ უკეთ შეაფასონ საკუთარი სამართლებრივი მდგომარეობა სამედიაციო მოლაპარაკების დაწყებამდე.

მედიატორის დანიშვნაში კლიენტის დახმარებისას, რეკომენდებულია შემდეგი ინფორმაციის დადასტურება (არსებობის შემთხვევაში):

- თავდაპირველი პროფესია;
- ქცევის კოდექსი;
- პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
- მედიატორთა მომზადება და აკრედიტაცია;
- მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განვითარება;
- გამოცდილება (ანუ მედიატორის საქმეთა ჟურნალი);
- რეკომენდაციები.

მედიატორის დანიშვნის შემდეგ, ადვოკატები უნდა დარწმუნდნენ, რომ გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

- მედიატორი მხარეებს მომსახურებას უწევს მათი მოთხოვნისა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მედიატორები უნდა იყვნენ მზად, რომ დანიშვნას უპირატესობა მიენიჭება მხარეთა მოთხოვნის შესაბამისად;
- მედიატორი მხარეებთან დებს სავალდებულო მედიაციის შეთანხმებას, რომელიც ადასტურებს მის მედიატორად დანიშვნას და ითვალისწინებს წესებს კონფიდენციალურობის, დადგენილი ვადების, ადგილის, დოკუმენტთა გაცვლის, მოსაკრებლების, შეთანხმების შეწყვეტისა და სხვა საკითხების შესახებ, რომელთა დაცვის ვალდებულებასაც იღებენ მხარეები და მედიატორი;
- მედიატორი ადასტურებს, რომ დაიცავს მედიატორთა ქცევის ევროპულ კოდექსს ან მის ეკვივალენტურ დოკუმენტს და რომ ფლობს მედიატორად მუშაობის პროფესიული პასუხისმგებლობის შესაბამის დაზღვევას (არსებობის შემთხვევაში);
- მედიატორმა უარი უნდა თქვას პროცესზე ან სხვაგვარად დაასრულოს ის ნებისმიერ ეტაპზე, თუ რაიმე მიზეზით მიიჩნევს, რომ ერთი ან რამდენიმე მხარე აჭიანურებს ან ხელს უშლის მედიაციას, კეთილსინდისიერად აღარ მოქმედებს მორიგების მისაღწევად, ან მოქმედებს სხვაგვარად და არა მედიაციაზე შეთანხმების პირობების შესაბამისად;
- ნებისმიერი თანამედიატორი, შემოთავაზებული დამხმარე მედიატორი, ან დამკვირვებელი მედიატორი არის აკრედიტებული მედიატორი, სტაჟიორი მედიატორი, ან თანაბრად დამოუკიდებელი, ნეიტრალური და შესაფერისი პირი ამ ფუნქციათა შესასრულებლად.

6. როგორ ვიპოვოთ მედიატორი

როგორ განსაზღვრავენ ადვოკატები საუკეთესო მედიატორს? ვის უნდა მიმართონ ასეთი შუამავლის საპოვნელად?
ამისათვის არსებობს მრავალი ვარიანტი:
ზოგ იურისდიქციაში ყველა მედიატორი აკრედიტებულია და მათი სიები, კონკრეტულ მედიატორთა კვალიფიკაციების მითითებით, თავისუფლად და ადვილად არის ხელმისაწვდომი (ბევრ შემთხვევაში - ონლაინ).

ადვოკატთა თუ იურისტთა ასოციაციებს აქვთ გამოცდილ ადვოკატ-მედიატორთა რეესტრები, რომლებიც ხელმისაწვდომია ადგილობრივად.

შეიძლება არსებობდეს მედიატორთა საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც აწარმოებს თავისი წევრების რეესტრს (მაგ: CIArb, CEDR, REUNITE და ა. შ.).

მედიატორთა სიები, ჩვეულებრივ, ინახება და ქვეყნდება მედიაციის სხვადასხვა სქემის ფარგლებში. ასეთი სქემების ადმინისტრატორები, ჩვეულებრივ, რჩევებსა და დახმარებას გვთავაზობენ კონკრეტული საქმისთვის ყველაზე შესაფერისი მედიატორის არჩევაში.

ადვოკატებმა შეიძლება წერილი მისწერონ მეორე მხარის ადვოკატს ალტერნატიული სახელების შეთავაზებით, ან კლიენტმა მიიღოს ასეთი წერილი მეორე მხარის ადვოკატისაგან.

7. მედიატორთა სახით მოქმედი ადვოკატები

სრულიად განსხვავებული აზროვნება და მიდგომა მოეთხოვებათ ადვოკატებს, როდესაც ისინი მოქმედებენ როგორც მედიატორები, და არა როგორც კლიენტის ადვოკატები სამართალწარმოებაში.

ამ კონკრეტულ როლში, განსხვავებით რომელიმე მხარის ინტერესებით მოქმედებისგან, ადვოკატებმა უნდა დააკმაყოფილონ მედიატორობის ყველა მოთხოვნა და იპოვონ გადაწყვეტა, რომელიც მხარეებს მისცემს შეთანხმების მიღწევის საშუალებას.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მედიატორი მუშაობს იურიდიულ სფეროში, ბევრი მათგანი არ არის იურისტი და მოდის სხვადასხვა პროფესიიდან, განსხვავებული ტექნიკური ცოდნით. მიუხედავად იმისა, რომ მედიატორს არ მოეთხოვება, იყოს ადვოკატი, ადვოკატები ფლობენ ბევრ უნარ-ჩვევას, რომლებიც მათ ეხმარება, რომ გახდნენ მოქმედი მედიატორები.

ქვემოთ ჩამოთვლილია იურიდიული უნარები, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყოს მედიატორისთვის:

- კომუნიკაცია;
- მოსმენა;
- მოლაპარაკება;
- ანალიზი;
- კომპლექსური საკითხების გააზრება;
- სამართლებრივი ცნებების გააზრება, როგორიცაა: კეთილსინდისიერება, კონფიდენციალურობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პრივილეგია, ზიანის მიუყენებლობა, კონტრაქტი, აღსრულებადობა, სავალდებულოობა, უფლებამოსილება, ნებაყოფლობითობა, თვითგამორკვევა, დამოუკიდებლობა, ნეიტრალობა, ინტერესთა კონფლიქტი, ეთიკა, პროფესიული გადაცდომა და ა. შ.
- კონფლიქტური სამართლებრივი არგუმენტების გააზრება;
- ხარჯთსარგებლიანობის გაანალიზება;
- რისკების შეფასება;
- პროექტის შემუშავება;
- რეპუტაცია საზოგადოებაში;
- პროფესიული სტატუსი;
- დავის გამოცდილება და საფრთხეები

მეორე მხრივ, ადვოკატის ყველა უნარი ავტომატურად არ „ითარგმნება“ მედიატორის უნარებად: ქვეყნის სისტემიდან გამომდინარე, შეიძლება არსებობდეს კონკრეტული მოთხოვნები მომზადებისა და აკრედიტაციის კუთხით, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს მედიატორად მუშაობისთვის. სხვა დამატებითი უნარები, რომლებიც აუცილებელია მედიატორისთვის, არის:

- აქტიური და გააზრებული მოსმენა;
- ემპათია, რომელიც მისცემს თითოეული მხარის თვალსაზრისისა და ღრმა ემოციების გააზრების საშუალებას;
- დავის ძირითადი პუნქტების შეჯამება და დადგენა;
- მიუკერძოებელი და ხელშემწყობი დამოკიდებულება: მედიატორი არ უნდა იხრებოდეს რომელიმე მხარეს ან არ უნდა იყოს შემჩნეული უსამართლო ქცევაში;
- ნდობის ჩამოყალიბება: წარმატებული მედიაცია მოითხოვს, რომ მედიატორმა თავიდანვე მოიპოვოს ნდობა თითოეულ მხარესთან და შეინარჩუნოს მთელ პროცესში.

ამიტომ, მედიატორის როლის შესრულებისას, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ არ არის საჭირო ზედმეტი ყურადღების დათმობა იურიდიული ცოდნისა და უნარებისთვის, ასევე, ფაქტების გარკვევისთვის მხარეებთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის ხარჯზე; ამასთანავე, ის უნდა მოერიდოს შეჯიბრებითი და სასამართლო მიდგომის გამოყენებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, მედიაცია არის არა არგუმენტებისა ან გადაწყვეტების ჩამოყალიბება, რომლებიც უბრალოდ შეესაბამება გარკვეულ პრინციპებსა ან ნორმებს, არამედ მხარეთა სხვადასხვა საჭიროებისა და ინტერესის გააზრება და შემდეგ შეჯერება.

დასკვნა

როგორც ზემოთ აღინიშნა, მედიაცია ეფექტიანი შემეცნებითი პროცესია, რომელიც მხარეებს ეხმარება საერთო ინტერესებისა და პოზიციების გააზრებაში. მედიაციის პროცესი, როგორც წესი, ძალიან ტრანსფორმაციულია ორივე მხარისთვის, რაც მათ ეხმარება, რომ უფრო რეალისტურად შეაფასონ თავიანთი მოთხოვნები და ინტერესები, ასევე, უბიძგებს, რომ უფრო გონივრულად იმოქმედონ მეორე მხარის მიმართ. ეს, ჩვეულებრივ, ცვლის მხარეთა შორის ურთიერთობას, აღადგენს კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ზოგიერთ ფორმას და ხელს უწყობს მთელი სიტუაციის გადაწყობასა და კონფლიქტის მოგვარებას. ამრიგად, მედიაცია კლიენტებმა შეიძლება აღიქვან კარგ და პოზიტიურ გამოცდილებად, რომელიც უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სასამართლო დავა, თავისი ზოგჯერ არაპროგნოზირებადი შედეგებით.

ადვოკატის დახმარებით მედიაცია შეიძლება უაღრესად მომგებიანი იყოს, თუ ორივე მხარეს მიეწოდება ხარისხიანი და დამოუკიდებელი იურიდიული კონსულტაცია, რომელიც საშუალებას მისცემთ, თავდაჯერებულად ჩაერთონ ინფორმირებულ დიალოგსა და ძალთა დისბალანსის მოგვარებაში. ცხადია, პროფესიონალი მედიატორის ამოცანაა, დარწმუნდეს, რომ მხარეებმა და ადვოკატებმა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს ახალი მონაცემები და ცოდნა, რათა ხელი შეუწყოს კონსტრუქციულ პროცესებს მხარეთა შორის და მათი ურთიერთობის განვითარებას. ამის შემდეგ, მედიატორი მხარეებს ეხმარება საბოლოო გადაწყვეტის პოვნასა და შემუშავებაში, რომელიც, პირველ რიგში, შეესაბამება მათ ინტერესებსა და კონკრეტულ სიტუაციას და, ამასთანავე, ნამდვილად მისაღებია ორივე მხარისთვის (მედიაციის გზით მორიგების შეთანხმება).

ამ მახასიათებელთა მქონე გადაწყვეტა იძლევა კონფლიქტის მშვიდობიანად დასრულების საშუალებას და რეალურად წყვეტს დავას. ეს შეიძლება იყოს ორმხრივად მომგებიანი გადაწყვეტა, კომფორტული ორივე მხარისთვის. რა თქმა უნდა, კლიენტთა თვალში ეს სასურველი სიტუაციაა, ამიტომ, მედიაციის გზით მორიგება მათ, ჩვეულებრივ, წარმატებად მიაჩნიათ. სწორედ ასე უნდა აღიქვან ის ადვოკატებმაც. გარდა ამისა, ადვოკატებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ წარმატებაში.

აღნიშნული მიზეზების გამო, რეკომენდებულია, საჭიროების შემთხვევაში, ადვოკატები აქტიურად მონაწილეობდნენ და მოქმედებდნენ მედიტაციის პროცესში, ისე, რომ კლიენტებმა აღიქვან პროცესის კრეატიულ და კონსტრუქციულ მონაწილეებად. მედიაცია კიდევ ერთ შესაძლებლობას აძლევს ადვოკატებს, რომ აჩვენონ თავიანთი სამართლებრივი, ანალიტიკური და მართვის უნარები, წარმოგვიდგენენ რა თავს კლიენტთა ინტერესების ინტერპრეტატორებად

და წარმომადგენლებად, ასევე, მათი წარმატების თანაავტორებად.

თავი 3 – ადვოკატთა და იურიდიულ საზოგადოებათა როლი მედიაციისთვის მეგობრული გარემოს შექმნაში

ეს ნაწილი გვთავაზობს სხვადასხვა ზომას, რომლებიც შეიძლება გაატარონ ადვოკატთა და იურიდიულმა საზოგადოებებმა მედიაციის გავრცელებისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად. ეს მოიცავს სასამართლოებთან თანამშრომლობას, მედიაციაზე ცნობიერების ამაღლებას და სასწავლო კურსების ორგანიზებას, რომლებიც ადვოკატებს საშუალებას მისცემს, რომ გახდნენ მედიატორები, ან თავიანთ კლიენტებს დაეხმარონ მედიაციის პროცედურებში.

ამ მიმართებით, ასევე მითითებულია: ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები ევროპარლამენტის 2017 წლის 12 სექტემბრის რეზოლუციიდან, რომელიც შეეხება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 21 მაისის 2008/52/EC დირექტივის („სამოქალაქო და კომერციულ საქმეებში მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ“) გადმოტანას ეროვნულ კანონმდებლობაში; ასევე, მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სახელმძღვანელო მითითებები ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში მედიაციის უკეთ განხორციელების შესახებ.
ეს ტექსტები ადვოკატთა და იურიდიულ საზოგადოებებს გასააზრებლად სთავაზობს საინტერესო იდეებს.

შესაბამისი გარემოს შესაქმნელად, რომელიც თანაბრად ღია იქნება სასამართლო დავისა და დავის გადაწყვეტის ყველა ალტერნატიული პროცესისთვის, ადვოკატთა და იურიდიულმა საზოგადოებებმა შეიძლება განიხილონ ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი ან ყველა აქტივობის განხორციელება, მათი იურისდიქციების გარემოებათა შესაბამისად:

- საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება ადვოკატებისა და მხარეებისთვის. ასეთი შეხვედრები უნდა შემუშავდეს სასამართლოების, მედიაციის ასოციაციების, მედიაციის სამსახურებისა და სხვა დაწესებულებების წარმომადგენლებთან ერთად;
- ადვოკატთა პროფესიულ ტრენინგებში იმ თემებისა და უნარ-ჩვევების შემუშავება-დანერგვა, რომლებიც აუცილებელია კონფლიქტის სამართავად (საქმის შეფასება, რისკის ანალიზი, ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი და ა. შ.);
- მედიაციის შესახებ ინფორმაციის კოორდინაცია სასამართლოებთან;
- ერთობლივი შეხვედრების ორგანიზება ადვოკატებისა და მოსამართლეებისთვის;
- იმ ოქმების გაფორმების პრაქტიკის გაფართოება სასამართლოთა მიერ, რომლებიც განსაზღვრავს მედიაციის დაწყებას, მედიაციის პროცესს და თანმხლები ადვოკატის როლსა და ადგილს;
- სასამართლოებსა და ხელისუფლების სხვა ორგანოებთან თანამშრომლობა მედიატორთა სიების შემუშავებისას, სადაც მითითებულნი იქნებიან მედიატორად აკრედიტებული ადვოკატები;
- მონაწილეობა სტატისტიკის წარმოებაში, რომელიც ასახავს მედიაციის სარგებლიანობას და საზოგადოების ცოდნას მისი ეფექტიანობის შესახებ;
- ხელშეწყობა, რომ კლიენტებისთვის შემუშავდეს სტანდარტული ინფორმაცია მედიაციის შესაძლებლობათა შესახებ, მედიაციის დებულებათა ნიმუში, და მხარეებსა და მედიატორებს შორის შეთანხმების მოდელი;
- კარგი პრაქტიკის გაცვლა მედიაციის შესახებ (ადვოკატებსა და იურისდიქციებს შორის);
- იმ ადვოკატთა სიების შედგენა, რომლებიც მოქმედებენ მედიატორის სახით და რომლებსაც შეუძლიათ კლიენტთა დახმარება მედიაციის პროცესში;
- იურიდიულ ფაკულტეტებთან ოქმების გაფორმება, რათა ხელი შეეწყოს მედიაციასა და კვლევებს უნივერსიტეტის დონეზე;

- ადვოკატთა ქცევის კოდექსში ვალდებულების ან რეკომენდაციის შეტანა, რომ შესაფერის საქმეებში, სასამართლოსთვის მიმართვამდე, განიხილონ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, მათ შორის მედიაცია, და თავიანთ კლიენტებს მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები;
- ადვოკატთა საბაზისო სასწავლო პროგრამებში მოდულების შეტანა მედიაციის პრაქტიკაში გამოყენების შესახებ;
- მედიაციის შეტანა უწყვეტი განათლების პროგრამებში, რომელთა შინაარსის კოორდინაცია, იდეალურ შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ევროპის მასშტაბით;
- მედიაციის ერთობლივი სასწავლო კურსების ინიციირება სასამართლო სისტემის სუბიექტებთან ერთად;
- ინფორმაციის შეგროვება და გამოქვეყნება მედიაციის არსებულ სასწავლო კურსებზე;
- ადვოკატთა წახალისება, რომ თავიანთი კლიენტებისთვის კონტრაქტების შედგენისას დოკუმენტში შეიტანონ დებულება მედიაციის შესახებ.